ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეათე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 247 (2290)

დ ღ ი უ რ ი

- კომუნისტური დემონსტრაცია ბერლინში.
- მარსელის მეზღვაურთა საპროტესტო გაფიცვა ფართოვდება.
- ლატვიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს მემარცხენეებმა.
- გაიხსნა სამხრეთ-სლავიის პარლამენტის სესია.
- მფრინავი მაკდონალდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
- ახალ აკადემიკოსთა არჩევნების შედეგები.
- დანიშვნები სამხედრო უწყებაში.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა ნოემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ამხ. სტალინის სიტყვა

მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტრ. კომისიის პლენუმზე

ამხ. უგლანოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს 19 ოქტომბერს

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა დავივიწყოთ წვრილმანები, პირადი მომენტები და სხვა ასეთი რამ, რომ გადავსჭრათ ჩვენთვის საინტერესო საკითხი მემარჯვენე გადახრის შესახებ. არის თუ არა ჩვენს პარტიაში მემარჯვენე ოპორტუნისტული საფრთხე, არსებობენ თუ არა ასეთი საფრთხისათვის ხელსაყრელი ობიექტიური პირობები, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ საფრთხეს,—აი რა საკითხები სდგანან ამჟამად ჩვენს წინაშე. მაგრამ ჩვენ ვერ გადავჭრით ამ საკითხებს, თუ არ ჩამოვაშორებთ მათ იმ წვრილმანებს და ნალექ ელემენტებს, რომლებშიაც გახვეულია ისინი და რომლებიც ხელს გვიშლიან გავიგოთ საკითხის ბუნება.

არ არის მართალი ზაპოლსკი, როცა ის ფიქრობს, რომ საკითხი მემარჯვენე გადახრის შესახებ შემთხვევითი საკითხია. ის ამტკიცებს, რომ აქ საქმე გვაქვს არა მემარჯვენე საფრთხესთან, არამედ კინკლაობასა, პირად ინტრიგებსა და სხვა ასეთ მოვლენებთან. დავუშვათ ერთი წუთით, რომ კინკლაობა და პირადი ინტრიგები აქ თამაშობენ ერთგვარ როლს, ისე როგორც ყოველგვარ ბრძოლაში. მაგრამ ყველაფრის ახსნა კინკლაობით, კინკლაობის იქით საკითხის ბუნების არ დანახვა—ნიშნავს სწორი მარქსისტული გზიდან აცდენას. არ შეიძლება, რომ ისეთი დიდი, ძველი შემჭიდროებული ორგანიზაცია, როგორიც ეჭვს გარეშეა არის მოსკოვის ორგანიზაცია, აემოძრავებია რამდენიმე ინტრიგანს ან კინკლაობის მოყვარულს. არა, ამხანაგებო, ასეთი სასწაულები ქვეყანაზე არ ხდება. მე უკვე არაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ასე დაუკარგოდ ფასი მოსკოვის ორგანიზაციის ძლიერებას. ეჭვს გარეშეა, რომ აქ მოქმედებდნენ უფრო ღრმა მიზეზები, რომელთაც არაფერი საერთო აქვთ არც კინკლაობასთან და არც ინტრიგასთან.

არ არის მართალი აგრეთვე ფრუნტოვი, რომელიც, თუმცა სცნობს მემარჯვენე საფრთხის არსებობას, მაგრამ მას არ სთვლის იმის ღირსად, რომ სერიოზული ყურადღება მიაქციოს სერიოზულმა საქმიანმა ხალხმა. მისი სიტყვით გამოდის, რომ საკითხი მემარჯვენე საფრთხის შესახებ საინტერესო საგანია მოლაყბეებისთვის და არა საქმიან ხალხისთვის. ჩემთვის სავსებით გასაგებია, რატომ ფიქრობს ფრუნტოვი ასე: ის იმდენად გართულია ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, რომ არც კი რჩება დრო იფიქროს ჩვენი განვითარების პერსპექტივებზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ზოგიერთი პარტიული მუშაკის ვიწრო საქმიანი პრაქტიციზმი უნდა გავხადოთ ჩვენი მშენებლობის დოგმატად.

ჯანსაღი საქმიანობა—კარგია, მაგრამ თუ ის მოკლებულია მუშაობის პერსპექტივებს და არ ეფარდება პარტიის ძირითად ხაზს—მინუსად იქცევა. არ არის ძნელი იმის გაგება, რომ მემარჯვენე საფრთხის საკითხი არის საკითხი ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზის შესახებ, არის საკითხი იმის შესახებ—სწორია თუ არა განვითარების ის პერსპექტივა, რომელიც ჩვენს პარტიას მისცა მეხუთმეტე ყრილობამ.

არ არიან მართალი ის ამხანაგებიც, რომლებიც მემარჯვენე საფრთხის პრობლემის განხილვის დროს ზედმეტ მნიშვნელობას აძლევენ იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ მემარჯვენე გადახრას. დაგვისახელეთ ჩვენ მემარჯვენე ან შერიგების მომხრე,—ამბობენ ისინი, დაგვისახელეთ პიროვნებები, რომ ჩვენ შეგვეძლოს გაუსწორდეთ მათ. ეს არ არის საკითხის სწორად დაყენება. პიროვნებები, რასაკვირველია, თამაშობენ ერთგვარ როლს. მაგრამ აქ საქმეა არა პიროვნებებში, არამედ იმ პირობებში და მდგომარეობაში, რომლებიც ქმნიან მემარჯვენე საფრთხეს პარტიაში. შეგვიძლია საქმეს ჩამოვაშოროთ პიროვნებები, მაგრამ ეს ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ ამით ჩვენ ნიადაგი გამოვაცალეთ მემარჯვენე საფრთხეს ჩვენს პარტიაში.

ამიტომ საკითხი პიროვნების შესახებ არ არის გადამწყვეტი, თუმცა ის აუცილებლად წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს. არ შემიძლია ამასთან დაკავშირებით არ მოვიგონო ერთი ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1919 წლის ბოლოს და 1920 წლის დასაწყისში ოდესაში, როცა ჩვენი ჯარები უკრაინიდან დენიკინელების განდევნის შემდეგ, ანადგურებდნენ დენიკინის ჯარების დარჩენილ ნაწილს ოდესის რაიონში. წითელარმიელთა ერთი ნაწილი მაშინ ოდესაში გააფთრებული ეძებდა ანტანტას. წითელარმიელები დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ ისინი დაიჭერდნენ ანტანტას, ომი საბოლოოდ გათავდებოდა. (საერთო სიცილი). შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ წითელარმიელებს შეეძლოთ ანტანტის რომელიმე წარმომადგენლის დაჭერა ოდესაში. მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ გადაწყდებოდა ანტანტის საკითხი, ვინაიდან ანტანტის ფესვები არის არა ოდესაში, თუმცა ის მაშინ დენიკინელების უკანასკნელი ტერიტორია იყო, არამედ საერთაშორისო კაპიტალიზმში. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს ზოგიერთ ამხანაგებზე, რომლებიც მემარჯვენე გადახრის საკითხში მთავარ ყურადღებას აქცევენ პიროვნებებს, რომლებიც წარმოადგენენ მემარჯვენე გადახრას, და ივიწყებენ იმ პირობების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობდა მემარჯვენე და აგრეთვე მემარცხენე (ტროცკისტულ) გადახრის აღმოცენებას ჩვენს პარტიაში.

მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში კაპიტალიზმის პირობებში ნიშნავს იმას, რომ კომუნისტების ერთ ნაწილში თავი იჩინა მარქსიზმის რევოლუციონურ ხაზიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ გადასვლის ტენდენციამ, რომელიც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და, თუ გნებავთ, საკმაოდ შეგნებულიც.

როცა კომუნისტების ესა თუ ის წრეები საარჩევნო კამპანიაში მიზანშეწონილად არ სთვლიან ლოზუნგს „კლასი კლასის წინააღმდეგ" (საფრანგეთი) ან გამოდიან კომპარტიის დამოუკიდებელ კანდიდატურების წინააღმდეგ (ინგლისი) ან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკითხს „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (გერმანიაში) და სხვ. და სხვ.—ეს ნიშნავს იმას, რომ კომპარტიის შიგნით არის პიროვნებები, რომლებიც ცდილობენ კომუნიზმი შეუფარდონ სოციალ-დემოკრატიზმს.

მემარჯვენე გადახრის გამარჯვება კაპიტალისტურ ქვეყნების კომპარტიებში იქნებოდა კომპარტიების იდეიური განადგურება და სოციალ-დემოკრატიზმის უაღრესად გაძლიერება. რას ნიშნავს სოციალ-დემოკრატიზმის გაძლიერება? ეს ნიშნავს კაპიტალიზმის განმტკიცებას და გაძლიერებას, ვინაიდან სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენს მუშათა კლასში. მაშასადამე მემარჯვენე საფრთხის გამარჯვება კაპიტალისტურ ქვეყნების კომპარტიებში იწვევს იმ პირობების გაძლიერებას, რომლებიც საჭიროა კაპიტალიზმის არსებობისათვის.

მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში საბჭოთა განვითარების პირობებში, სადაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ ჯერ არ არის ამოგლეჯილი მისი ფესვები, ნიშნავს იმას, რომ კომუნისტების ერთ ნაწილში თავი იჩინა ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზიდან ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაკენ გადახრის ტენდენციამ, რომელიც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და, თუ გნებავთ, საკმაოდ შეგნებულიც. როცა ჩვენი კომუნისტების ზოგიერთი წრეები ცდილობენ დააშორონ ჩვენი პარტია მეხუთმეტე ყრილობის გადაწყვეტილებებს, უარყოფენ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის აუცილებლობას, ან მოითხოვენ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებას, მიაჩნიათ რა ეხლანდელი ტემპი ქვეყნისათვის დამღუპველად, მიზანშეწონილად არ სთვლიან კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებზე თანხების გაღებას, რაც, მათი აზრით, ფულის წყალში გადაყრას უდრის, მიზანშეწონილად არ სთვლიან ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას თვითკრიტიკის ნიადაგზე, რადგან, მათი სიტყვით, თვითკრიტიკა არყევს ჩვენს აპარატს, ითხოვენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და სხვ. და სხვ.,—ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პარტიის რიგებში არის ხალხი, რომელიც ცდილობს, შეიძლება შეუგნებლად, შეუფარდოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმე „საბჭოთა" ბურჟუაზიის გემოვნებას და მოთხოვნილებებს.

მემარჯვენე საფრთხის გამარჯვება ჩვენს პარტიაში იქნებოდა კაპიტალისტურ ელემენტების უაღრესად გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში. ხოლო რას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერება? ეს ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის შესუსტებას და კაპიტალიზმის აღდგენის შანსების გაძლიერებას. მაშასადამე, მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში იქნებოდა იმ პირობების გაძლიერება, რომლებიც საჭიროა კაპიტალიზმის აღსადგენათ ჩვენს ქვეყანაში.

არსებობს თუ არა ჩვენში, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, პირობები, რომლებიც შესაძლოდ ხდის კაპიტალიზმის აღდგენას (რესტავრაციას)? დიახ, არსებობს. ეს შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, ამხანაგებო, მაგრამ ეს ფაქტია. ჩვენ დავამხეთ კაპიტალიზმი, დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა, გაძლიერებული ტემპით ვავითარებთ ჩვენ სოციალისტურ მრეწველობას. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ამოგვიგლეჯია კაპიტალიზმის ფესვები. სად არის ეს ფესვები? ეს ფესვები არის საქონლის წარმოებაში, ქალაქის და განსაკუთრებით სოფლის წვრილ წარმოებაში. კაპიტალიზმის ძლიერება მდგომარეობს, როგორც ლენინი ამბობს, „წვრილი წარმოების ძალაში, ვინაიდან წვრილი წარმოება ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, მეტად ბევრია ქვეყანაზე, ხოლო წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას მუდამ, ყოველდღე, ყოველ საათში, სტიქიურად და მასიური მასშტაბით" (იხ. ტომი 17, გვერდი 18). აშკარაა, რომ რამდენადაც წვრილ წარმოებას ჩვენში მასიური ხასიათი აქვს, რამდენადაც ის წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გამუდმებით და მასიური მასშტაბით—იმდენად ჩვენში არსებობს პირობები, რომლებიც შესაძლოდ ხდის კაპიტალიზმის აღდგენას.

არსებობს თუ არა ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში საჭირო საშუალებანი და ძალები, რომ მოვსპოთ და აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა? დიახ, არსებობს. სწორედ ამაზეა დაფუძნებული ლენინის თეზისის სისწორე იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში შეიძლება სრული სოციალისტური საზოგადოების შექმნა.

სამისოდ საჭიროა პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გაძლიერება, ბრძანებელი მაღლობების განვითარება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით, ინდუსტრიისა და ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარების სწრაფი ტემპი, მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანა ახალ ტეხნიკურ ბაზისში, გლეხობის მასიური გაერთიანება კოოპერაციაში, მისი მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება, გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათა თანდათანობითი გაერთიანება განსაზოგადოებულ მეურნეობებად, საბჭოთა მეურნეობათა განვითარება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა, მათი დაძლევა და სხვა და სხვა.

აი, რას ამბობს ლენინი ამის შესახებ: „სანამ ჩვენ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მანამდე კაპიტალიზმისათვის უფრო მკვიდრი ბაზა იარსებებს რუსეთში, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, ყველამ, ვინც სოფლის ცხოვრებას დაჰკვირვებია და ის ქალაქის ცხოვრებისათვის შეუდარებია, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიფხვრია და არ დაგვინგრევია საძირკველი, რომელიც შინაური მტრის საფუძველს წარმოადგენს. შინაურ მტერს ზურგს უმაგრებს წვრილი მეურნეობა; მის მოსასპობად ერთი საშუალება არსებობს; ეს არის ჩვენი ქვეყნის მეურნეობის, სხვათა შორის, მიწადმოქმედების გადაყვანა ახალ ტეხნიკურ ბაზისზე—თანამედროვე მსხვილი წარმოების ტეხნიკურ ბაზისზე. ასეთ ბაზისს მხოლოდ ელექტრონი წარმოადგენს. კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წვრილ-გლეხურ ქვეყნად დარჩება; საჭიროა ეს ნათლად გვქონდეს შეგნებული. ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე კაპიტალიზმი არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ეს ყველამ იცის. ეს გარემოება შეგნებული გვაქვს და საქმეს იქამდე მივიყვანთ, რომ სამეურნეო ბაზად წვრილ-გლეხური მეურნეობის ნაცვლად მსხვილი—სამრეწველო მეურნეობა გადაიქცეს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყნის ელექტროფიკაცია მოხდება, როდესაც მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს საფუძვლად დაედება თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტეხნიკური ბაზისი, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ საბოლოოდ". (მე-17 ტომი, 427—428 გვ.).

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ, ჯერ ერთი: სანამ ჩვენ ვცხოვრობთ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში, სანამ ჯერ კიდევ არ ამოგვიფხვრია კაპიტალიზმის ფესვები, მანამ კაპიტალიზმისათვის უფრო მკვიდრი ეკონომიური ბაზისი იარსებებს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ხდება ხოლმე, რომ ადამიანი ხეს მოსჭრის, მაგრამ ფესვებს კი არ ამოაყოლებს: ძალა არ შესწევს და იმიტომ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა.

მეორე: კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობის გარდა ჩვენში არსებობს აგრეთვე სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაც, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია მოვსპოთ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა, შეგვიძლია ამოვგლიჯოთ კაპიტალიზმის ფესვები, საბოლოოდ დავამარცხოთ კაპიტალიზმი, თუ გაძლიერებულ მუშაობას ვაწარმოებთ ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, თუ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს საფუძვლად დაუდებთ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტეხნიკურ ბაზისს. აქედან გამომდინარეობს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში.

ბოლოს, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ არ შეიძლება სოციალიზმის შენება მარტო მრეწველობაში და სოფლის მეურნეობის სტიქიური განვითარების ამარად დატოვება იმ მოსაზრებით, რომ სოფელი „თვითონ გაჰყვება" ქალაქს. ქალაქის სოციალისტური მრეწველობის არსებობა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ ეს იმას არ გულისხმობს, რომ ხსენებული ფაქტორი სრულიად საკმაოა. სოციალისტურმა ქალაქმა რომ ბოლომდე გაიყოლიოს გლეხური სოფელი, ამისთვის საჭიროა, როგორც ლენინი ამბობს, „ჩვენი ქვეყნის მეურნეობის, სხვათა შორის, მიწადმოქმედების გადაყვანა ახალ ტეხნიკურ ბაზისზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტეხნიკურ ბაზისზე".

ხომ არ ეწინააღმდეგება ლენინის ეს ციტატა მის მეორე ციტატას: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა სრულ შესაძლებლობას გვაძლევს, რომ შევქმნათ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი". არა, არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ეს ორი ციტატა სავსებით ეთანხმება ერთმანეთს. ლენინი სრულებითაც არ ამბობს, ვითომც ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოციალიზმს მზამზარეულად გვაძლევდეს. ლენინი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის შექმნის შესაძლებლობას გვაძლევს. სოციალიზმის შენების შესაძლებლობა და მისი ნამდვილი შენება ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. არ უნდა ავურიოთ შესაძლებლობა და სინამდვილე. სწორედ იმიტომ, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს, ლენინი თავის დიდ ციტატაში საჭიროდ სცნობს ქვეყნის ელექტროფიკაციას, საჭიროდ სცნობს, რომ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს საფუძვლად დაედოს თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ბაზისი, როგორც პირობა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

მაგრამ ერთი-ორი წლის განმავლობაში სოციალიზმის შენების ეს საჭირო პირობა ვერ განხორციელდება. არ შეიძლება ერთი-ორი წლის განმავლობაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განხორციელდეს, შეიქმნას მძლავრი მრეწველობა, კოოპერაციაში გაერთიანდნენ გლეხობის მრავალმილიონიანი მასები, ტეხნიკური ბაზისი შეექმნას მიწადმოქმედებას, გაერთიანდნენ გლეხების ინდივიდუალური მეურნეობანი მსხვილ კოლექტივებად, განვითარდნენ საბჭოთა მეურნეობანი, შეზღუდულ და დაძლეულ იქნან ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები. ამისათვის საჭიროა პროლეტარული დიქტატურის აღმშენებლობითი მუშაობის მრავალი წელი. სანამ ეს არ გაგვიკეთებია, ამას კი უცებ ვერ გავაკეთებთ,—ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყნად დარჩება, სადაც წვრილი წარმოება მუდამ და მასიური მასშტაბით კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას შობს, სადაც კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხე ძალაში რჩება. და, რადგან პროლეტარიატი ცხოვრობს არა მიწისა და ცას შუა, არამედ ნამდვილ რეალურ და მრავალფეროვან პირობებში, ამიტომ წვრილი წარმოების საფუძველზე წარმოშობილ ბურჟუაზიულ ელემენტებს „პროლეტარიატი ყოველის მხრით გარემოცული ჰყავთ წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიით, გამსჭვალული ჰყავთ იგი ამ სტიქიით, ეს ელემენტები რყვნიან მას ამ სტიქიით, მუდამ იწვევენ პროლეტარიატის შიგნით წვრილ-ბურჟუაზიულ უხასიათობის, დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის და გატაცებიდან მოდუნებაზე გადასვლის რეციდივებს" (ლენინი, მე-17 ტომი, გვ. 136) და, ამგვარად, პროლეტარიატსა და მის პარტიაში შეაქვთ ერთგვარი მერყეობა, ერთგვარი დაუდგრომლობა.

აი, სად არის ფესვები და საძირკველი ყველა იმ რყევისა და გადახრისა ლენინური ხაზიდან, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი პარტიის რიგებში.

აი, რატომ არის, რომ საკითხი მემარჯვენე ან მემარცხენე გადახრისა ჩვენ პარტიაში არ შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელო საკითხად.

რაში მდგომარეობს საფრთხე მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული გადახრისა ჩვენს პარტიაში? იმაში, რომ იგი ვერ აფასებს ჯეროვნად ჩვენი მტრების ძალებს, კაპიტალიზმის ძალას, ვერ ხედავს კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხეს, არ ესმის კლასობრივი ბრძოლის მექანიკა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში და ამიტომ უთმობს ასე ადვილად კაპიტალიზმს თავის პოზიციებს. ამიტომ არის, რომ იგი მოითხოვს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებას, მოითხოვს მდგომარეობის შემსუბუქებას სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტებისათვის, მოითხოვს მეორე ხარისხოვან ამოცანებად მივიჩნიოთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების საკითხები, მოითხოვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შემსუბუქებას და სხვა და სხვა. ეჭვს გარეშეა, რომ მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში ხელებს გაუხსნიდა კაპიტალიზმის ძალებს, ძირს გამოუთხრიდა პროლეტარიატის რევოლუციონურ პოზიციებს, გააძლიერებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის შანსებს.

რაში მდგომარეობს მემარცხენე (ტროცკისტული) გადახრის საფრთხე ჩვენს პარტიაში? იმაში, რომ იგი ზედმეტად აფასებს ჩვენი მტრების ძალებს, კაპიტალიზმის ძალებს, იგი ხედავს მხოლოდ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობას, მაგრამ ვერ ხედავს სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნის ძალებით, ეძლევა სასოწარკვეთილებას და იძულებულია ინუგეშოს თავი ლაყბობით ჩვენი პარტიის ტერმიდორიანობის შესახებ. ლენინის სიტყვებიდან იმის შესახებ, რომ „სანამ ჩვენ ვცხოვრობთ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზისი მოიპოვება, ვიდრე კომუნიზმისათვისო", ლენინის ამ სიტყვებიდან მემარცხენე გადახრა აკეთებს ისეთ შემცდარ დასკვნას, თითქოს რუსეთში, საერთოდ, შეუძლებელი იყოს სოციალიზმის აშენება, თითქოს ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ გლეხებთან, თითქოს იდეა მუშათა კლასის კავშირისა გლეხობასთან—დრომოჭმული იდეა იყოს, თითქოს თუ არ მოუსწრო დასავლეთში გამარჯვებულ რევოლუციამ, პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა კავშირში დაეცემა ან გადაგვარდება და, თითქოს, თუ არ იქნა მიღებული ფანტასტიური გეგმა ზეინდუსტრიალიზაციისა, რომელიც უნდა გატარდეს კიდეც, რომ მან გათიშვა გამოიწვიოს გლეხობასთან, მაშინ სოციალიზმის საქმე საბჭოთა კავშირში დაღუპულად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარეობს ავანტიურიზმი და უზარმაზარი ნახტომები მემარცხენე გადახრის პოლიტიკაში. ეჭვს გარეშე, რომ მემარცხენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში გამოიწვევდა მუშათა კლასის მოწყვეტას მისი გლეხური ბაზისისაგან, მუშათა კლასის ავანგარდის მოწყვეტას მუშათა დანარჩენ მასებისაგან,—მაშასადამე, გამოიწვევდა პროლეტარიატის დამარცხებას და შექმნიდა პირობებს კაპიტალიზმის აღდგენისათვის.

როგორც ხედავთ, ამ ორივე საფრთხეს, მემარცხენესაც და მემარჯვენესაც, ამ ორივე გადახრას ლენინურ ხაზიდან, მემარჯვენესაც და მემარცხენესაც, თუმცა სხვადასხვა გზით, მაგრამ მივჰყევართ ერთ და იმავე შედეგამდე.

რომელი საფრთხეა უარესი? მე ვფიქრობ, ორივე უარესია. განსხვავება ამ ორი გადახრის შორის მათთან წარმატებითი ბრძოლის თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ პირველი გადახრა უფრო ნათელია პარტიისათვის მიმდინარე მომენტში, ვიდრე მემარჯვენე გადახრა. ის გარემოება, რომ მემარცხენე გადახრასთან ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ვაწარმოებთ ბრძოლას, ტყუილად ვერ ჩაივლიდა, რა თქმა უნდა, პარტიისათვის. ცხადია, რომ მემარცხენე ტროცკისტულ გადახრასთან ბრძოლის წლებში პარტიამ ბევრი რამ ისწავლა და აღარ შეიძლება მისი ეგრე ადვილად მოტყუილება მემარცხენე ფრაზებით. რაც შეეხება მემარჯვენე საფრთხეს, რომელიც უწინაც არსებობდა და რომელიც დღეს უფრო მკაფიოდ გვევლინება, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონის გაძლიერების გამო, რაიც გამოიწვია წარსული წლის პურის დამზადების პერიოდის კრიზისმა—იგი, მე ვფიქრობ, არ არის ისე გარკვეული ჩვენი პარტიის განსაზღვრულ ფენებისათვის. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ ოდნავადაც არ შევასუსტოთ ბრძოლა მემარცხენე ტროცკისტულ საფრთხესთან და ამავე დროს, მეორე მხრივ, გავაძლიეროთ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ამ გადახრის საფრთხე ისევე ნათელი გახდეს პარტიისათვის, როგორც ნათელია მისთვის ტროცკისტული საფრთხე.

შესაძლებელია, რომ საკითხი მემარჯვენე გადახრის შესახებ არ იქნებოდა დასმული ისე მწვავედ, როგორც იგი სდგას ამჟამად ჩვენს წინაშე, რომ იგი დაკავშირებული არ იყოს ჩვენი განვითარების სიძნელეთა საკითხთან. მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ მემარჯვენე გადახრის არსებობა ართულებს ჩვენი განვითარების სიძნელეებს და აფერხებს ამ სიძნელეთა დაძლევის საქმეს. სწორედ იმიტომ, რომ მემარჯვენე საფრთხე აბრკოლებს ბრძოლის ამ სიძნელეებთან,—სწორედ ამიტომ იღებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენთვის მემარჯვენე საფრთხის დაძლევის საკითხი.

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა ხასიათისაა ეს სიძნელენი. საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ჩვენი სიძნელენი არ არიან დაქვეითებისა და

გადამწყვეტი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ

პარტიას და ხელისუფლებას მტკიცე კურსი აქვთ აღებული კულაკობის (და საერთოდ კაპიტალისტურ ელემენტები) შევიწროებისა და მოსპობისაკენ. თავის თავად ცხადია, კულაკობა ადვილად არ სთმობს თავის პოზიციებს, ყოველნაირი ხრიკით ცდილობს წინანდელ მდგომარეობის შენარჩუნებას და ალაგ-ალაგ აშკარა და თავხედურ შემოტევასაც აწარმოებს. ამის დამადასტურებელი მასალები ბლომად მოიპოვება; ამ მხრივ კერძოდ უაღრესად საყურადღებოა სათანადო ფაქტები, რომლებიც მოყვანილია ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში. (იხ. ჩვენი გაზეთის გუშინდელი №).

აქედან—უფრო ძლიერი, უფრო გადამჭრელი ბრძოლა კულაკობასთან—ჩვენი სოფლად მუშაობის ერთი ძირითადი ამოცანათაგანია. ამისათვის კი აუცილებელია ღარიბ გლეხობის და მასთან სოციალურ-ეკონომიურად ახლო მდგომ საშუალო ფენების მთლიანი ბლოკის განმტკიცება, ერთი მხრით ღარიბ გლეხობის პოლიტიკური შეკავშირება, მისი აქტივობის გაძლიერება და მისთვის მატერიალურ დახმარების საქმის ორგანიზაცია—მეორე მხრით. და შემდეგ—იმ გზების გადაჭრა კულაკობისათვის, რომლებითაც იგი სოფელზე გავლენის მოხდენას ახერხებს.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ჩვენი სოფლის სოციალურად დაყოფის საკითხი ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ამ გარემოებას ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები იყენებენ თავის გასამართლებლად, როცა მათ ბრალს სდებენ კლასობრივ ხაზის დამახინჯებაში.—ძნელია იმის გამორკვევა, თუ რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის მეურნეობანი და ამიტომ სხვადასხვა სოციალურ ფენებისადმი სწორი მიდგომა ფერხდებაო—აცხადებენ ისინი. გლეხობის სოციალური დიფერენციაცია უმოკლეს დროში უნდა იქნეს შესწავლილი.—მაგრამ თუ სოფლად მომუშავე ამხანაგებს კარგად ესმით ჩვენი საერთო პოლიტიკა გლეხობის საკითხში, თუ მათ შეგნებული აქვთ სოფლად მკაფიო კლასობრივი ხაზის გატარების აუცილებლობა, მაშინ ხსენებული დაბრკოლების დაძლევა ადვილი საქმეა.

და აი, ჩვენ ვხედავთ, როცა ასეთ შეგნებას ცალკე შემთხვევებში ადგილი არ აქვს. კიდევ მეტი: არის ფაქტები კულაკებისათვის აშკარად მხარის დაჭერისა პარტიის ზოგიერთ წევრების მხრით. დაუჯერებელია, მაგრამ სინამდვილეა, როცა პარტიის ცალკე წევრები, მაგ., შუამდგომლობდენ კულაკისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ, ან როცა ისინი იმის წინააღმდეგი იყვენ, რომ კულაკს ზედმეტი მიწა ჩამორთმეოდა. ზოგან კი ისეთ შეხედულებას გამოსთქვამდენ, თითქო კულაკობა ამა თუ იმ სოფელში სულაც არ იყოს. ამგვარად, ჩვენ მოწმენი ვართ კულაკურ ელემენტების პირდაპირი გავლენისა პარტიის ცალკე ფენებზე და მით უმეტეს ზოგიერთ საბჭოთა მუშაკებზე. თავი და თავია ამ მოვლენის გადამწყვეტი და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა. ამ მიმართულებით უნდა ხდებოდეს ადგილობრივ პარტორგანიზაციების და საბჭოთა აპარატის სისტემატიური შემოწმება და მათი გაჯანსაღება.

იმ იდეოლოგიური გავლენით და თავისი შედარებითი ეკონომიური სიძლიერით, რომელიც საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის შერყეული, კულაკი სარგებლობს თავის პოზიციების გასამარჯვებლად და ღარიბთა დასაჩაგრავად.

ამისათვის ის სხვადასხვა ოინებს მიმართავს. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა ჰგულისხმობს კულაკის მაქსიმალურ დაბეგვრას. მაგრამ ის ზოგჯერ ახერხებს, წარმოიდგინეთ, სიღარიბის მოწმობის მიღებასაც კი. ხოლო მისი საშუალო გლეხობის ფენაზე მიკუთვნების და მის მიერ თავის საგადასახადო ობიექტების გადამალვის ფაქტები ხომ ბლომად მოიპოვება.

ან აიღეთ მიწის იჯარა და მიწის ყიდვა-გაყიდვა. ზოგ ალაგას მიწის ფარულ ყიდვა-გაყიდვას მასიური ხასიათი აქვს მიღებული. რა თქმა უნდა, მიწას უმთავრესად შეძლებული გლეხი იძენს. ამასთან ის ხშირად მას დაქირავებული შრომით ამუშავებს. გარდა ამისა ბევრია შემთხვევები, როცა კულაკი მიწას იჯარით იღებს ღარიბი გლეხისაგან—უკანასკნელისათვის დამმონებელ პირობებში. ყველაფერ ამას საჭირო ბრძოლას ვერ უწევენ ადგილობრივი პარტორგანიზაციები და საბჭოთა აპარატი. ეს ხშირად იმიტომ, რომ მათ საამისო უნარი აკლიათ, ზოგჯერ კი ასეთ შემთხვევაში ცალკე მუშაკები ხელსაც აფარებენ კულაკებს.

ჩვენი საკრედიტო და კოოპერატიული ორგანიზაციებიც ვერ დაიტრაბახებენ კულაკობასთან ენერგიული ბრძოლით. კულაკები ახერხებენ კრედიტების მიღების და კოოპერატიულ ამხანაგობათა ხელმძღვანელ ორგანოებში გაძრომასაც.

სოფლად კლასობრივ ხაზის გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს. მაგრამ უკანასკნელიც ყოველგან ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. სამოსამართლო ხშირად ვერ იცავს ღარიბთა ინტერესებს კულაკებთან ბრძოლაში. ეს აიხსნება სამოსამართლო აპარატის როგორც ბიუროკრატიზმით, ისე იმით, რომ აქაიქ ამ აპარატში ჩვენთვის უცხო ელემენტები არიან მოკალათებულნი.

ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი მუშაობა, რომ კულაკობა ავლაგმოთ. სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების გაჯანსაღება და გაწმენდა იმ ელემენტებისაგან, რომელნიც ჩვენს კლასობრივ ხაზს ამახინჯებენ და კულაკობას გასაქანს აძლევენ—აი რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ეს ამავე დროს ნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციების განსავითარებელ მზრუნველობის საგნად უნდა გახდეს ღარიბი გლეხობა და ყოველგვარი ზომა უნდა იქნეს მიღებული მისი შეკავშირებისათვის. მის მიერ ყველა დაწესებულ შეღავათების და დახმარების გამოყენებისათვის და კოლექტივიზაციის გზით სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის.

ლოძი გასცეს

ლოძის გაფიცვა ჩაიშალა. მოხდა მუშების სამარცხვინო გაცემა. კაპიტალისტები ყოველნაირად ამცირებენ დამარცხებულთ.

აი როგორი ცნობები გადმოგვცა ტელეგრაფმა ლოძიდან.

პოლონეთის ფეიქრების გმირულ ბრძოლას, პოლონეთის მენშევიკ პროფბიუროკრატების საზიზღარ ღალატს მართლაც, რომ საერთოევროპული, სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. ევროპაში ყველგან მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობა, მუშები იბრძვიან კაპიტალისტური რაციონალიზაციის, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ. რამდენადაც უფრო საშიშია ბურჟუაზიისათვის კლასობრივი ბრძოლის აზვირთებული ტალღა, იმდენად უფრო გულმოდგინეთ, უფრო მოურიდებლად ახშობენ მას კაპიტალის საზიზღარი აგენტები—მაკდონალდები, მიულერები და დაშინსკები.

ლოძის გაფიცვამ ფეხზე დააყენა მთელი ევროპის ბურჟუაზია. ლოძის მუშების უდიდესმა კამპანიამ თავზარი დასცა ბურჟუებს მთელ პოლონეთში, შესწუხდნენ საერთაშორისო ბანკირები, რომელთაც პოლონეთში კაპიტალები აქვთ დაბანდებული.

საკატორღო შრომით განაწამები და გაძვალტყავებული ლოძის მუშები ერთსულოვნად აღსდგნენ კაპიტალის წინააღმდეგ. მათი გმირული ხმა გაისმა მთელ პოლონეთში, როგორც საყვირი, რომელიც მოუწოდებდა პროლეტარიატს კაპიტალიზმთან ბრძოლისკენ. სოლიდარობის საყოველთაო გაფიცვას, რომელიც დაიწყო ფეიქრების გაფიცვის გამოცხადებიდან ორი კვირის შემდეგ, მიემხრნენ თვით კაფეებისა და რესტორანების კელნერები, შოფერები, მუნიციპალიტეტის მოსამსახურეები და ხელზე მოსამსახურეებიც. ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა ძლიერი და უსაზღვროა კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა. რამდენმა დაგროვილმა შეურაცხყოფამ, რამდენმა კლასობრივმა სიძულვილმა სისხლის მწოველ მილიონერთა ხროვისადმი, მთელ კაპიტალისტურ წესწყობილებისადმი იჩინა თავი ამ დღეებში ლოძში!

ფაშიზმის ტერორმა, შიმშილმა, ფაბრიკანტების ხრიკებმა,—ვერაფერმა ვერ შესძლო გაფიცულთა გმირული სიმტკიცის დაძლევა. გაფიცვის ჩაშლა შეიძლებოდა მხოლოდ ზურგში მახვილის ჩაცემით, და აი პოლონელი მენშევიკები სისტემატიურად, თანდათანობით ამზადებენ ღალატს. იმ კავშირების წარმომადგენლობის სახით, რომელნიც საყოველთაო გაფიცვას შეუერთდნენ, მათ გაფიცვის კომიტეტში, რომელშიაც კომუნისტები სჭარბობდნენ, შეჰყავთ თავიანთი პროფბიუროკრატები. ამგვარად ქმნიან ისინი თავიანთვის ხელოვნურ უმრავლესობას და სხვადასხვა საბაბით ანთავისუფლებენ „გაფიცვის მოვალეობისაგან" მუშების სხვადასხვა კატეგორიებს: მბეჭდავებს, კომუნალური დარგის მუშებს, [illegible] მუშებს და სხვებს. დეზორგანიზაცია შეაქვთ დარჩენილ მუშებში და ფაქტიურად ახდენენ სოლიდარობის საერთო გაფიცვის ლიკვიდაციას და, ბოლოს, სდგამენ გადამჭრელ ნაბიჯსაც: 21—22 ოქტომბერს ღამით წინასწარ მომზადებული საგაფიცვო კომიტეტი ღებულობს გადაწყვეტილებას ფეიქართა გაფიცვის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ ყოველგვარი პირობის გარეშე. საზიზღარმა მოღალატეებმა ვერ გაბედეს წამდგარიყვნენ მუშების წინაშე და დაეცვათ ეს გადაწყვეტილება. მათ კვირას არ მოიწვიეს ფაბრიკა-ქარხნების დელეგატების კრებები და არც საანგარიშო მიტინგები. მათ მასებში გაავრცელეს ცრუ ხმები იმის შესახებ, რომ მუშების მოთხოვნათა უმრავლესობა უკვე მიღებულიაო. მათი მიზანი იყო დამშეულ გაფიცულების მოტყუება და ამრიგად ბრძოლის მთლიანი ფრონტის ჩაშლა. პოლიციელების, ჟანდარმების და ჯაშუშების მთელმა არმიამ, რომლითაც სავსე იყო ლოძის ქუჩები, მოიხმარა მთელი თავისი ძალღონე იმისთვის, რომ კომუნისტებს არ მოსცემოდათ საშუალება ემხილათ მასების წინაშე გაუგონარი საზიზღარი გამცემლობა და გაემაგრებიათ გაფიცულთა რიგები.

გაფიცვა ჩაიშალა. ორშაბათს მუშები სამუშაოზე გავიდნენ. მაგრამ ფაბრიკების პატრონები სრულებითაც არ გრძნობენ შებოჭილად თავს იმ საუბრებით, რომლებსაც ისინი დერეფანში აწარმოებდნენ თავიანთ ლაქიებთან—შჩერკოვსკებთან და ვალჩაკებთან. ისინი არა თუ არ აკმაყოფილებენ მუშების მოთხოვნებს, მათ სურთ გამოიყენონ მომენტი ხელფასის შესამცირებლად და ჯარიმების ისევ შემოსაღებად, რათა შური იძიონ მუშებზე.

ამ აბუჩად აგდების საპასუხოდ უდიდესი ფაბრიკების—ვიძევის მანუფაქტურისა და შაიბლერის ფაბრიკის მუშები ისევ გაიფიცნენ. ეს საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, რომ მუშები არ გატეხილან, რომ გაფიცვა მასებმა კი არ წააგეს, არამედ „ბელადებმა" გასცეს.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს—ფაშიზმის ერთგულ ქოფაკებს—გაფიცვის პირველი დღიდანვე უნდოდათ მისი ჩაშლა. მაგრამ ეს ასე ადვილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფეიქართა პროფკავშირის მთელი აპარატი მათ ხელშია, მუშათა მასაში უმრავლესობა კომუნისტებმა მოიპოვეს.

ფაბრიკების დელეგატებს შორის კომუნისტებმა უდიდესი გავლენა მოიპოვეს. ლოძელი კომუნისტი დეპუტატები ბიტნერი და როსიაკი დაუღალავად მუშაობდნენ გაფიცულთა მასებში, ლოძის ორგანიზაციამ შესძლო შეექმნა გაფიცვის ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრების ყოველ მანევრს.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს უნდოდათ, რათაც არ უნდა დასჯდომოდათ, ჩაეშალათ ბრძოლა. ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მუშები ფულად დახმარებას უგზავნიან გაფიცულებს, გამოიწვია ბურჟუაზიის უდიდესი გააფთრება და უკანასკნელი საბაბი მისცა სოციალ-ფაშისტების მოღალატურ მუშაობას. მათმა ამსტერდამელმა თანამოძმეებმა მხოლოდ ის განაცხადეს, რომ კომისიას გამოგზავნიდნენ ფეიქართა „მდგომარეობის გამოსაკვლევად". პილსუდსკის აგენტებს, რომელნიც ომს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არ შეუძლიათ დაუშვან, რომ საბჭოთა მუშამ ძმური დახმარება გაუწიოს შიმშილით ღონემიხდილ პოლონელ პროლეტარს.

თუმცა პოლონელმა მუშებმა მძიმე მარცხი განიცადეს, მაგრამ მათი გმირული ბრძოლის მნიშვნელობა უდიდესია. ლოძის გაფიცვამ თვალსაჩინოდ გამოააშკარავა პოლონეთის სტაბილიზაციის ძირითადი წინააღმდეგობანი: ამ ფაშისტური სტაბილიზაციის პირობას, მის ქვაკუთხედს წარმოადგენს მუშათა უსაზღვრო, უმაგალითო ექსპლოატაცია და მუშათა მორჩილი დუმილი სტაბილიზაციის წარმატებებისათვის. და ლოძმა ამაზე ასეთი პასუხი გასცა: არა, ამას არ დავუშვებთ!

ფაშიზმი ომს ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამისათვის საჭიროა „კლასობრივი მშვიდობიანობა". ფაშიზმის ყველა ზრახვა იქითკენაა მიმართული, რომ მოადუნოს, ჩაახშოს და ძირფესვიანად აღმოფხვრას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. ამ მიზანს ემსახურება ტერორი კომპარტიის და ყველა რევოლუციონური ორგანიზაციის წინააღმდეგ, ამისათვის მუშაობს პროფკავშირების სოციალ-ფაშისტური ზედა ფენა, ამისათვის იქმნება შრომის კანონმდებლობის მთელი სისტემა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ბორკავს მუშებს. მაგრამ ლოძის პროლეტარიატმა ლოძის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გადალახა ყველა დაბრკოლება და ასეთი პასუხი გასცა ყოველსავე ამას: ამას არ დავუშვებთ! ძირს შეთანხმებლობა, ძირს ომის პროვოკატორები!

ლოძის გაფიცვამ ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა მთელ მსოფლიოს წინაშე „სოციალისტების" და ამსტერდამელების ჭეშმარიტი როლი: ისინი არიან ფაშიზმის დამქაშები, მუშების ყველაზე უფრო ცუდი და საშიში მტრები, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების აგენტები.

რამდენადაც უფრო ძლიერია საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტების თავდასხმის საფრთხე, იმდენად უფრო მოურიდებლად, უფრო ცინიკურად ეცდება სოციალ-დემოკრატია ჩაშალოს მუშების ყოველგვარი ბრძოლა. ამიტომ მით უფრო საჭიროა ამ ვაჟბატონების დაუზოგავათ მხილება, მით უფრო ღრმად უნდა შეიჭრნენ კომუნისტები მასებში, მით უფრო დამოუკიდებლად უნდა გაატარონ მათ საგაფიცვო სტრატეგია, მოაწყონ მთლიანი ფრონტი ქვევიდან, შექმნან საგაფიცვო ბრძოლის რევოლუციონური ხელმძღვანელობა.

მთელს ევროპაში მუშათა მასებში დაგროვილია დიდი რევოლუციონური ენერგია. ეს ერთი წლის წინად დაამტკიცეს ვენის ამბებმა, ამას მოწმობს ლოძიც. ლოძის მაგალითი გვეუბნება, რომ პროლეტარიატის ძალა დაუშრეტელია, რომ არავითარი ტერორით და მოტყუებით არ შეიძლება მისი კლასობრივი ბრძოლის, კაპიტალიზმისა და ფაშიზმისადმი მისი შეურიგებლობის ჩახშობა.

კაპიტალისტები თავიანთ სამხედრო გეგმებში ემყარებიან პროლეტარიატის პასიურობას და მორჩილებას. რა დამარცხებებიც არ უნდა განიცადოს მომავალში პოლონეთის და საერთაშორისო პროლეტარიატმა, რამდენადაც საშიში და მძიმე არ უნდა იყოს ღალატი, რომელსაც მას უმზადებენ „სოციალისტური" [illegible], ლოძის ბრძოლა არის იმის თავდები, რომ კაპიტალისტები მოსტყუვდებიან, რომ პროლეტარიატი გაუცრუებს მათ იმედებს.

პოლონეთის პროლეტარიატი, რომელიც გამობრძმედილია გმირულ ბრძოლაში, კარგათ გაითვალისწინებს ლოძის გაფიცვის გაკვეთილებს და ახალი ძალებით გამოვა რევოლუციონური ბრძოლის ასპარეზზე.

„პრავდა", 23 ოქტომბერი.

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა

ცაკის მე-IV სესია მოწვეულია თბილისში

სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის
29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე
დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა.

2) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხსენებელი ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახკომისარი მ. დ. ჯუსეინოვი; თანამომხსენებელი ამ.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ნაზარეტიანი.

3) საბჭოების გადარჩევის შესახებ 1928—29 წ.—მომხსენებელი ამხ. ი. ტაგიევი.

4) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (მე-4 მოწვევის) პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესიებს შორის მიღებული დადგენილებების შესახებ—მომხსენებელი ამხ. ა. შავერდოვი.

5. საორგანიზაციო საკითხები.

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე
შესდგება

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

შეფერხების სიძნელენი. სიძნელეებს ადგილი აქვთ მეურნეობის დაქვეითებისა ან მისი შეფერხების დროს და ხალხი ცდილობს ნაკლებად მტკივნეული გახადოს მეურნეობის შეფერხება ან ნაკლებად ღრმა—მისი დაქვეითება. ჩვენ სიძნელეებს კი არაფერი აქვთ საერთო ამ სიძნელეებთან. ჩვენ სიძნელეთა დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან აღორძინების, ზრდის სიძნელენი. როდესაც ჩვენში სიძნელეებზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ ჩვეულებრივად იმას, თუ რამდენი პროცენტით გაძლიერდა მრეწველობა, რამდენი პროცენტით გაიზარდა ნათესების სივრცე, რამდენი ფუთით აიწია ნაყოფიერებამ და სხვ.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი სიძნელენი არა დაქვეითებისა და შეფერხებისა, არამედ აღორძინების სიძნელენი არიან, სწორედ ამიტომ არ უნდა წარმოადგენდნენ ისინი პარტიისათვის განსაკუთრებით საშიშ რამეს. მაგრამ სიძნელენი მაინც სიძნელეებად რჩება. და, რადგანაც სიძნელეთა დაძლევისათვის საჭიროა ყოველ ძალღონის შემოკრება, საჭიროა სიმტკიცე და გამძლეობა, ხოლო სიმტკიცე და გამძლეობა არ ყოფნის ყველას, შესაძლებელია იმის გამო, რომ ადგილი აქვს დაღლილობას და მოდუნებას, ან იმის გამო, რომ ამჯობინებენ მშვიდ ცხოვრებას და ერიდებიან ბრძოლასა და ღელვას, შესაძლებელია დაიწყოს და იწყება რყევა, ქანაობა და პირის მიბრუნება უმცირესი წინააღმდეგობის მიმართულებით—იწყება ლაპარაკი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელების შესახებ, კაპიტალისტური ელემენტებისათვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების და, საერთოდ, ყოველივე იმისი უარყოფის შესახებ, რაც სცილდება ჩვეულებრივ მშვიდ პირობების და ყოველდღიური მუშაობის ფარგლებს.

მაგრამ ჩვენ ვერ წავიწევთ წინ, თუ არ დავსძლევთ იმ სიძნელეებს, რომელნიც სდგანან ჩვენს წინაშე. ხოლო იმისათვის, რომ დავსძლიოთ სიძნელენი, საჭიროა დავსძლიოთ მემარჯვენე საფრთხე, დავსძლიოთ მემარჯვენე გადახრა, რომელიც აფერხებს სიძნელეებთან ბრძოლის საქმეს და ცდილობს მოადუნოს ჩვენი პარტიის ნებისყოფა სიძნელეებთან ბრძოლაში. მე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, არა სიტყვიერ და ქაღალდით ბრძოლაზე, არამედ ნამდვილ ბრძოლაზე მემარჯვენე გადახრასთან. ჩვენ გვყავს პარტიაში ისეთი ხალხი, რომელიც მზადაა სინდისის დასამშვიდებლად გამოაცხადოს ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან ისე, როგორც ხშირად გაიძახიან ხოლმე ხუცები „ალილუია, ალილუია"-ო, მაგრამ ამავე დროს არავითარ, სრულიად არავითარ პრაქტიკულ ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ სათანადო დონეზე დააყენონ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და ნამდვილად სძლიონ იგი, სძლიონ ეს მემარჯვენე გადახრა. ასეთ მიმართულებას ჩვენში შემარიგებელ მიმართულებას უწოდებენ მემარჯვენე აშკარად ოპორტუნისტულ გადახრის მიმართ. ძნელი გასაგები არაა, რომ ბრძოლა ასეთ შემარიგებლობასთან წარმოადგენს მემარჯვენე გადახრასთან, მემარჯვენე საფრთხესთან საერთო ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. და ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრის დაძლევა, თუ არ ვაწარმოებთ სისტემატიურ ბრძოლას შემარიგებლობასთან, რომელიც თავის კალთას აფარებს ოპორტუნისტებს.

მემარჯვენე გადახრის მომხრეებთან ბრძოლის საკითხი უდავო ინტერესს იწვევს, თუმცა იგი არ სწყვეტს საქმეს. ჩვენ გვქონდა შემთხვევა შევხვედროდით მემარჯვენე საფრთხის მატარებლებს ჩვენი პარტიის ქვედა ორგანიზაციებში პურის დამზადების კრიზისის დროს წარსულ წელში, როდესაც მრავალი კომუნისტი თემებში და სოფლად გამოდიოდენ პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ და ამით ხელს უწყობდა კულაკურ ელემენტებს. თქვენ იცით, რომ ამგვარი ელემენტებისაგან ჩვენ გავსწმინდეთ ჩვენი პარტია მიმდინარე წლის გაზაფხულზე, რაც სპეციალურადაა მოხსენებული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის თებერვლის ცნობილ დოკუმენტში. მაგრამ სწორი არ იქნება ვსთქვათ, რომ ასეთი ელემენტები აღარ დარჩა ჩვენს პარტიაში. თუ აიხედავთ უფრო მაღლა—სამაზრო და საგუბერნიო პარტორგანიზაციებისაკენ და რიგიანად ჩაუკვირდებით საქმის მდგომარეობას საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში, თქვენ ადვილად შეხვდებით აქ მემარჯვენე საფრთხის და მასთან შემრიგებლობის მომხრეებს. ცნობილია ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის მთელ რიგ მუშაკთა „წერილები", „განცხადებები" და სხვა დოკუმენტები, სადაც სრულიად გარკვეულად იჩინა თავი მიდრეკილებამ მემარჯვენე გადახრისადმი. თქვენ იცით, რომ ეს წერილები და დოკუმენტები მოხსენებულია ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტენოგრამაში. თუ ავიწევთ უფრო მაღლა და დავსვამთ საკითხს ცენტრალური კომიტეტის შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობაშიც მოიპოვება, მართალია სრულიად უმნიშვნელო ელემენტები, რომელნიც შერიგების განწყობილებით ხვდებიან მემარჯვენე საფრთხეს. ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტენოგრამა ამის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია.

როგორი მდგომარეობაა პოლიტბიუროში? არის თუ არა პოლიტბიუროში რაიმე გადახრები? პოლიტბიუროში ჩვენ არ გვყავან არც მემარჯვენენი, არც მემარცხენენი, არც მათთან შემარიგებელნი. ეს აქ სრულიად კატეგორიულად უნდა ითქვას, დროა დავანებოთ თავი იმ ჭორებისათვის ყურის დაგდებას, რომლებსაც ავრცელებენ ჩვენი პარტიის მტრები და ყოველგვარი ოპოზიციონერები, თითქოს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში ადგილი აქვს მემარჯვენე გადახრას ან მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას.

ჰქონდა თუ არა ადგილი მერყეობასა და ქანაობას მოსკოვის ორგანიზაციაში ან მის ხელმძღვანელ ორგანოში—მოსკოვის კომიტეტში? დიახ, ჰქონდა ადგილი. სისულელე იქნებოდა ეხლა იმის უარყოფა, რომ იქ ქანაობასა და მერყეობას ადგილი არ ჰქონია. ამხ. პენკოვის გულახდილი სიტყვა ამის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია. ამხ. პენკოვი უკანასკნელი კაცი როდია მოსკოვის ორგანიზაციაში და მოსკოვის კომიტეტში. თქვენ მოისმინეთ, რომ მან პირდაპირ და გულახდილად აღიარა თავისი შეცდომები ჩვენი პარტიული პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მთელი მოსკოვის კომიტეტი მერყეობას განიცდიდა. არა, არ ნიშნავს. ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა მოსკოვის კომიტეტის მიმართვა მოსკოვის ორგანიზაციის წევრებისადმი ამა წლის სექტემბერში, უდავოდ მოწმობს იმას, რომ მოსკოვის კომიტეტმა შესძლო ზოგიერთი თავისი წევრის მერყეობის დაძლევა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელი კადრი შესძლებს საბოლოოდ გამოასწოროს მდგომარეობა.

ზოგიერთი ამხანაგი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ამ საქმეში ჩაერივნენ რაიონული ორგანიზაციები და დასვეს საკითხი მოსკოვის ორგანიზაციის ამა თუ იმ ხელმძღვანელთა შეცდომებისა და მერყეობის ლიკვიდაციის შესახებ. არ ვიცი, რით შეიძლება ასეთი უკმაყოფილების გამართლება. რა უნდა იყოს ცუდი იმაში, რომ მოსკოვის ორგანიზაციის რაიონების აქტივმა აღიმაღლა ხმა და მოითხოვა შეცდომებისა და მერყეობის ლიკვიდაცია? განა ჩვენი მუშაობა ქვემოდან მომდინარე თვითკრიტიკის ნიშანქვეშ არ სწარმოებს? განა ეს დადებითი ფაქტი არ არის, რომ თვითკრიტიკა აძლიერებს პარტიული და, საერთოდ, პროლეტარული ქვედა ფენების აქტივობას? რა არის ცუდი ან საშიშარი იმაში, რომ რაიონების აქტივი თავის მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდა?

სწორად მოიქცა თუ არა ცეკა, რომ ამ საქმეში ჩაერია? მე ვფიქრობ, რომ ცეკა სწორად მოიქცა. ამხ. ბერზინს ჰგონია, რომ ცეკა სასტიკად იქცევა, როდესაც სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ მოხსნილ იქნას ერთ-ერთი რაიონული ხელმძღვანელი, რომლის წინააღმდეგაც ამხედრდა რაიონული ორგანიზაცია. ეს სრულებით არ არის სწორი. მე მოვაგონებ ამხ. ბერზინს ზოგიერთ ეპიზოდს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1919 ან 1920 წელს, როდესაც ცეკას ზოგიერთი წევრი, რომელმაც დაუშვა ზოგიერთი, ჩემის აზრით, არც თუ ძალიან სერიოზული შეცდომა პარტიული ხაზის მიმართ, ლენინის წინადადებით სამაგალითოდ დაისაჯა; ერთ-ერთი მათგანი თურქესტანში გაიგზავნა, ხოლო მეორე კინაღამ არ გამორიცხეს ცეკას შემადგენლობიდან. მართალი იყო თუ არა ლენინი, როდესაც ასე მოიქცა? მე ვფიქრობ, რომ ის სავსებით მართალი იყო. ცეკაში მაშინ ისეთი მდგომარეობა არ იყო, როგორც ეხლა. ცეკას ნახევარი მაშინ ტროცკის მისდევდა, და თვით ცეკაშიაც მტკიცე მდგომარეობა არ იყო. ახლა ცეკა გაცილებით უფრო რბილად იქცევა. რატომ? შეიძლება ჩვენ ლენინზე უფრო გულკეთილი გავხდით? ამაში როდია საქმე. საქმე იმაშია, რომ ცეკას მდგომარეობა ეხლა უფრო მტკიცეა, ვიდრე მაშინ და ეხლა ცეკას საშუალება აქვს უფრო რბილად მოიქცეს. მართალი არ არის ამხ. სახაროვი, როდესაც ამტკიცებს, რომ ცეკა დაგვიანებით ჩაერია საქმეშიო. მართალი არ არის, ვინაიდან, როგორც სჩანს, მან არ იცის, რომ, სწორად თუ ვიტყვით, ცეკა ამ საქმეში მიმდინარე წლის თებერვლიდან ჩაერია ამხ. სახაროვს შეუძლია დარწმუნდეს ამაში, თუ სურვილი აქვს. მართალია ცეკას ჩარევამ ერთბაშად ვერ გამოიღო დადებითი შედეგები, მაგრამ ახირებული იქნებოდა, რომ ამაში ცეკას დავდოთ ბრალი.

დასკვნები:

პირველი: მემარჯვენე საფრთხე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს პარტიაში, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა; მეორე—მემარჯვენე გადახრის საშიშროებას აღრმავებენ ის სიძნელენი, რომელთა დაძლევა შეუძლებელია, თუ დაძლეული არ იქნა მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულება; მესამე— მოსკოვის ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა მერყეობასა და ქანაობას, ადგილი ჰქონდა წონასწორობის დარღვევის ელემენტებს; მეოთხე— მოსკოვის კომიტეტის ძირითადმა კადრმა ცეკას და რაიონული აქტივების დახმარებით ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ მერყეობას ბოლო მოღებოდა; მეხუთე— ეჭვს გარეშეა, რომ მოსკოვის კომიტეტი შესძლებს იმ შეცდომების გამოსწორებას, რომლებსაც ჰქონდა ადგილი; მეექვსე— ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო მოვუღოთ შინაგან ბრძოლას, მჭიდროდ შევაკავშიროთ მოსკოვის ორგანიზაცია და წარმატებით ჩავატაროთ უჯრედების გადარჩევა გაშლილი თვითკრიტიკის საფუძველზე". (ტაში).

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკების პირობები

ნანკინის მთავრობა მოითხოვს ჯარების დაუყონებლივ გაყვანას შანდუნიდან

ამერიკაში ძლიერდება საფინანსო-სამრეწველო წრეების ინტერესი „ამტორგ"-ისადმი

იაპონია და ჩინეთი

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება

პეკინი, 22 ოქტომბერი. „სინ ვენ-ბაო"-ს ცნობით, იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება ნანკინში შემდეგ საფუძვლებზე მიმდინარეობს: იაპონია მზად არის ჯარები გაიყვანოს შანდუნიდან, თუ ნანკინი იცნობს იაპონიის მიერ ცინდაოში და შანდუნის რკინისგზაზე მოპოვებულ უფლებებს. იაპონია თანახმაა ჩინეთის საბაჟო ავტონომიაზე, თუ ნანკინი იცნობს იაპონიის მიერ პეკინის მთავრობისათვის მიცემულ სესხებს. იაპონია მოითხოვს, რომ ჩინეთმა იცნოს იაპონიის მიერ მანჯურიაში მოპოვებული უფლებები.

ნანკინის პირობები შემდეგია: იაპონიამ ბოდიში უნდა მოიხადოს ცზინანში ნანკინის კომისარის ცზაი-კუნ შის მოკვლისათვის და დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები შანდუნიდან. ინციდენტის გამოსარკვევად უნდა დაინიშნოს ჩინეთ-იაპონიის შერეული კომისია. ახალი ხელშეკრულება უნდა ემყარებოდეს თანასწორუფლებიანობის პრინციპს. მოლაპარაკება აღმოსავლეთის სამი პროვინციის შესახებ დადებულ და დაუმტკიცებელ ხელშეკრულებების გარშემო ცალკე უნდა გაიმართოს. ნანკინის მთავრობა მზად არის უმოკლეს დროში მოაგვაროს ნანკინის ინციდენტი.

ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმება ჩინეთში

შანხაი, 22 ოქტომბერი. შანხაის უცხოელთა წრეები აღელვებული არიან ცნობით, რომ ნანკინმა წინადადება მისცა სახელმწიფოებს ნებაყოფლობით სთქვან უარი ექსტერიატორიალობის უფლებაზე ჩინეთში.

ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა გომინის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დაადასტურა, რომ ასეთი შინაარსის ნოტა ერთი თვის წინად იქნა გაგზავნილი.

იაპონიის ჯარების ევაკუაცია

პეკინი, 22 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, შანდუნიდან გაჰყავთ იაპონიის ჯარის მესამე პარტია ორი როტიდან, რომელნიც პეკინში იაპონიის დიპლომატიური მისიას იცავენ, ერთს პეკინიდან გაიყვანენ 28 ოქტომბერს.

დაპატიმრებული კომუნისტების სია

შანხაი, 22 ოქტომბერი. ნანკინის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სია 110 კომუნისტისა, რომელნიც დაპატიმრებულ უნდა იქნან (ადს).

მუკდენ-ნანკინის ურთიერთობის გამოურკვევლობა

ხარბინი, 22 ოქტომბერი. მუკდენსა და ნანკინს შორის ურთიერთობა, როგორც წინეთ, ეხლაც მეტის-მეტად გამოურკვეველია. საკითხი საბუფერო ზონის შესახებ ლიანხე-შანხაი-გუანის რაიონში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. მუკდენის ჯარი ამაგრებს ლიანხეს მარცხენა ნაპირს და სწრაფ რემონტს უკეთებს საზამთრო ბინებს ამ რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ჩჟან სიუე-ლიანს არა ერთხელ განუცხადებია თავისი ლოიალური დამოკიდებულება ნანკინის მთავრობისადმი, მდგომარეობა მაინც საშიშია.

ამ დღეებში მუკდენში დაბრუნდა ჩჟან სიუე-ლიანის წარმომადგენელი ნანკინში სინ ში-ლიანი, რომელმაც განაცხადა, რომ, „მანჯურია დეილი ნიუს"-ის ცნობით, მემარცხენე გომინდანელების ენერგიული პროტესტის წყალობით ჩჟან სიუე-ლიანის დანიშვნა არ მოხდაო (ადს).

ამერიკა-საბჭ. სავაჭრო ურთიერთობა

„ამტორგ"-ის ხელშეკრულება

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. პრესა ისევე დიდ ყურადღებას აქცევს ელექტრონის გენერალური კომპანიის შეთანხმებას „ამტორგ"-თან. **საქმიან წრეებზე ამ შეთანხმებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვა ფირმების ინტერესი „ამტორგ"-ისადმი თანდათან იზრდება.** თვალსაჩინო ფინანსისტები და მრეწველები ულოცავენ „ამტორგ"-ს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაში ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას. ამერიკის გაზეთების ზოგიერთი მოსკოველი კორესპონდენტი, როგორც ეტყობა, ვერ გარკვეულა, როგორ მოგვარდა ელექტრონის გენერალურ კომპანიასთან რევოლიუციის წინადროის პრეტენზიების საკითხი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ნიუ-იორკის ბიუროს შეუძლია განაცხადოს, რომ გარიგება ნიშნავს რევოლიუციის წინა დროის ყოველი პრეტენზიების სრულს ლიკვიდაციას. ეს ახალი გარიგება გენერალურ კომპანიას უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია, ვიდრე რევოლიუციის წინადროის პრეტენზიების შენარჩუნება. განზრახულია დადება სხვა მსხვილ გარიგებებისა „ამოტორგ"-სა და ამერიკის ფირმებს შორის)ადს).

ლოძის ფეიქართა გაფიცვის ჩაშლის შემდეგ

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ სიცრუეს და ცილისწამებას მიმართა

ვარშავა, 22 ოქტომბერი. როგორც მოსალოდნელი იყო, პოლონეთის სოციალისტური პარტია სცდილობს ეხლა დაამტკიცოს, რომ გაფიცვა ჩაშალა მუშებს შორის გამეფებულმა შიმშილობამ და გაჭირვებამ. **მუშები შიმშილს განიცდიდნენ, მაგრამ მტკიცედ იდგნენ და დისციპლინას არ ღალატობდნენ. გაფიცვა ჩაშალა არა შიმშილმა და გაჭირვებამ, არამედ პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ.** ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მუშები მას შემდეგაც კი, როცა გადასწყდა გაფიცვის შეწყვეტა, ყოყმანით და უხალისოთ დაუბრუნდნენ დაზგებს.

თუ თვალს გადვავლებთ გაფიცვის მსვლელობას, დავინახავთ, რომ **მუშებმა განსაკუთრებული შეგნება და სიმტკიცე გამოიჩინეს. შტრეიკბრეხერობას, როგორც მასიურ მოვლენას, ადგილი არ ჰქონია. გაფიცულებმა უდიდესი აქტიობა გამოიჩინეს. ისინი მეტად აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ პოლიციას. როცა ეს უკანასკნელი მიტინგებს და დემონსტრაციებს ფანტავდა. არა ერთხელ მოხდა ხელჩართული შეტაკებაც პოლიციასთან. მუშათა რაიონებში პოლიციელებს ხშირად სცემდნენ. როდესაც პოლიცია მუშაქალების მიტინგს მიესია, მიტინგის მონაწილენი ფეხსაცმელს იხდიდნენ და იმით იგერიებდნენ პოლიციელებს.**

პროფკავშირთა საოლქო კომისიის ერთ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ მიემართათ საერთაშორისო პროლეტარიატისთვის და ეთხოვათ დახმარება. დამსწრე მუშები მოითხოვდნენ, რომ მოწოდებით საბჭოთა კავშირის მუშებისთვისაც მიემართათ. მაშინ პოლონეთის სოციალისტური პარტიის დელეგატი, ფეიქართა კავშირის თავმჯდომარემ, შენკოვსკიმ განაცხადა, რომ ლოძის 1925 წლის გაფიცვის დროს საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნეს ფული მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ფული ვითომ მარტო კომუნისტ-მუშებს შორის დარიგებულიყო. **შენკოვსკი იქვე დაიჭირეს ტყუილში.**

კომუნისტებმა გაფიცვაში უდიდესი როლი ითამაშეს. ამას ბურჟუაზიული პრესაც აღიარებს. კომუნისტ-დეპუტატებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. **მათ ბინებთან ჯაშუშები განუწყვეტლივ მორიგეობდნენ. როდესაც დეპუტატები ბინებიდან გამოდიოდნენ, პოლიციელთა ბრბო მათ გარშემო ეხვეოდა. ამგვარი თანხლებით მიდიოდნენ კომუნისტი დეპუტატები მიტინგებზე, სადაც მუშები ხელად ფანტავდნენ პოლიციის აგენტებს.** რეპრესიების მიუხედავად, კომუნისტებმა მოახერხეს მრავალი მიტინგის და დემონსტრაციის მოწყობა. **დეპუტატმა როსიაკმა** მიტინგზე კინოში სიტყვა წარმოსთქვა სრულ სიბნელეში, რადგან ადმინისტრაციამ ელექტრონი ჩააქრო. კომუნისტ-დეპუტატებს მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ცხარე ტაშით ეგებებოდნენ. **პროფკავშირების ხელმძღვანელნი ცდილობდნენ, კომუნისტ - დეპუტატებისთვის არ მიეცათ სიტყვების წარმოთქმის ნება, მაგრამ საკმაო იყო დეპუტატს განეცხადებია დამსწრეთათვის, რომ მას სხდომაზე დასწრების ნებას არ აძლევენ, რომ მუშები ძალით იჭრებოდნენ სხდომებზე და მოითხოვდნენ სიტყვის მიცემას კომუნისტ - დეპუტატისთვის.** იმ პოპულიარობის გამო, რომელიც კომუნისტ - დეპუტატებმა მოიპოვეს, პოლიციას შეეშინდა — იზოლიაციის წყალობით ჩამოეშორებია ისინი გაფიცულებს. (ადს).

ორი დემონსტრაცია

ბერლინი, 22 ოქტომბერი. კვირას, ლიუსტგარტენში (ბერლინის პარკში) გაიმართა ორი დემონსტრაცია ორმოცდა ათი წლის შესრულების გამო იმ დღიდან, რაც გამოიცა კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. ეს კანონი მოქმედებდა გერმანიაში 12 წლის განმავლობაში. ერთი დემონსტრაცია მოაწყვეს სოციალ - დემოკრატებმა „რესპუბლიკანური დროშის კავშირის" მონაწილეობით, მეორე — კომპარტიამ; **კომუნისტური დემონსტრაცია გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და გაცხოველებული იყო, ვიდრე სოციალ - დემოკრატების დემონსტრაცია.** სოციალ - დემოკრატ დეპუტატებს კლასობრივი ბრძოლის არავითარი ლოზუნგი არ წამოუყენებიათ. მათი სიტყვები „სახელმწიფოებრივ ფარგლებში" იყო მომწყვდეული. ზოგიერთი მათი სიტყვა კომუნისტების წინააღმდეგ გალაშქრებას წარმოადგენდა. ერთად - ერთი, რაც აგონებდა კაცს იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული კანონის ეპოქაში, იყო ის, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა პარტიის 40 ვეტერანი, რომელნიც მის წევრებად ირიცხებოდნენ აღნიშნულ ეპოქაში. პირიქით, **კომუნისტური დემონსტრაცია მებრძოლ მანიფესტაციის ხასიათს ატარებდა;** მისი ლოზუნგები რევოლიუციონური ლოზუნგები იყო. კომუნისტურ დემონსტრაციის რიგებში იდგა 100 ვეტერანზე მეტი, რომელნიც სოციალ - დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ მაშინ, როცა მოქმედებდა კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათი ათასი მუშა. ორატორები მოუწოდებდნენ რევოლიუციონური ძალების შემჭიდროებისაკენ სოციალ-დემოკრატების ღალატისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. (ადს).

ინგლის-ამერიკის უთანხმოება

ლონდონი, 22 ოქტომბერი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისისა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში კვლავ იჩინა თავი უკმაყოფილებამ, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინგლისი აჭიანურებს მოლაპარაკების დაწყებას საარბიტრაჟო ხელშეკრულების განახლების შესახებ. ამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 1927 წელს.

ამ დღეებში ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ლონდონში ინგლისის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელიც შეიცავს შეკითხვას გაჭიანურების მიზეზის შესახებ. თავის საპასუხო ნოტაში ინგლისის მთავრობამ აცნობა, რომ მას ჯერ კიდევ არ მიუღია პასუხი დომინიონებისაგან. (ადს).

ფაშისტების გამოსვლები

ვენა, 23 ოქტომბერი. ბუდაპეშტის რეაქციონური სტუდენტობის მტრული გამოსვლები პროლეტარიატის წინააღმდეგ, თანდათან გაძლიერდა. კვირას ფაშისტები შეეცადნენ თავს დასხმოდნენ მუშათა წიგნების გამომცემლობას და ოპოზიციონური გაზეთების რედაქციებს. მუშებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს [illegible] და ბევრს მათგანს სცემეს. ფაშისტების დაბეზღებით დააპატიმრეს 50 მუშა; ნაწილი მათგანი დააჯარიმეს, ხოლო ნაწილს ერთი კვირის პატიმრობა მიუსაჯეს პოლიციის სამმართველოს წინ შესდგა მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია. მთელი ოპოზიციონური პრესა პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ პოლიცია ხელს არ უშლის ფაშისტების გამოსვლებს. ოპოზიციონური გაზეთები აღნიშნავენ, რომ პოლიციის ასეთი მოქმედება წარმოადგენს მთავრობის ბლოკში ფაშისტების შესვლის პირველ თვალსაჩინო შედეგს. (ადს).

კანტონალური არჩევნების შედეგები საფრანგეთში

ძალთა განწყობილება არ შეცვლილა

პარიზი, 22 ოქტომბერი. კანტონალურ არჩევნებს არ შეუცვლია ძალთა განწყობილება გენერალურ საბჭოებში. კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც არჩევნებში პირველათ გამოიყენა ახალი ტაქტიკა, მთლიანად შეინარჩუნა თავისი პოზიციები. ტრუაში აირჩიეს კომუნისტური გაზეთის ამჟამად დაპატიმრებული რედაქტორი ციმბერლენი, რომელმაც მიიღო 1.599 ხმა (მისმა მოწინააღმდეგე სოციალისტმა ლემასონმა მიიღო 1.124 ხმა). ალეში კომუნისტმა ვალამ მიიღო 2.209 ხმა, ხოლო სოციალისტმა დეპუტატმა—1.374 ხმა. ვილნევში არჩეულ იქნა კომუნისტი პროვო, გარდა ამისა, კომუნისტები არჩეული არიან ვალანსიენში, ალლიეს დეპარტამენტში, რუბეში, სტრასბურგში და კარის დეპარტამენტში. ქვემო რეინის დეპარტამენტის ხუთ ოლქში 8 კანდიდატიდან ხუთი ელზასელი ავტონომისტია არჩეული.

ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა

ბერლინი, 22 ოქტომბერი. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვას შეუერთდნენ ნავთსადგურის საწყობების მუშებიც. მოსალოდნელია, გაფიცვის კიდევ უფრო გამწვავება. მეზღვაურებს გაფიცვის გამოცხადების სურვილი ემჩნევათ.

საპარლამენტო არჩევნების შედეგი ლატვიაში

რიგა, 22 ოქტომბერი. „რიგაშე რუნდშაუ"-ს (გერმანელთა უმცირესობის ორგანო) სიტყვით, საპარლამენტო არჩევნებში ლატვიაში გაიმარჯვეს მემარჯვენეებმა.

გაზეთი სწერს:

„საშიში შეცდომა იქნებოდა, მემარჯვენეებს რომ თავიანთი გამარჯვების მნიშვნელობა გადაეჭარბებინათ და ეფიქრათ მემარცხენე ფრთასთან ანგარიშის გასწორება. არ შეძლება სოციალური კანონმდებლობის და მოქალაქობრივი თავისუფლებების ხელის ხლება. ფიქრიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ლატვიის აღმოსავლეთის მეზობლის მიმართ დავიკავოთ მტრული პოზიცია, რომელიც დაარღვევს ძლივს-ძლივობით მიღწეულ კეთილ ურთიერთობასო. აი, ეს მოსაზრებები უნდა დაედოს საფუძვლად ახალი მთავრობის შექმნის შესახებ მოლაპარაკებასო". (ადს).

სამხრეთ-სლავიის პარლამენტის სესია

ვენა, 22 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს გაიხსნა პირველი სესია სამხრეთ-სლავიის პარლამენტისა. სკუპშტინის გახსნას არ დასწრებია მთელი ოპოზიცია. სკუპშტინის გახსნის დროს ბელგრადში მოხდა გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის დეპუტატების საიდუმლო სხდომა (ადს).

ბანკირების „კერძო ნაბიჯები"

ბერლინი, 22 ოქტომბერი. „იზვესტია"-ში მოთავსებულ იმ ცნობის გამო, რომელიც გერმანელი ბანკირების მოქმედებას შეეხებოდა, „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი და „ბელინერ ტაგებლატ"-ი ავტორიტეტული წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანელი ბანკირების ჯგუფის მოქმედება სავსებით კერძო ხასიათისაა; გერმანიის მთავრობას არა ჰქონია და არც სურს იქონიოს რაიმე გავლენა ამ მოქმედებაზეო.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი აცხადებს აგრეთვე, რომ ოფიციალური წრეები თავიდანვე არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ამ საქმეში; ისინი, როგორც წინად, ახლაც მოწადინებულნი არიან ეს საკითხები მოაწესრიგონ არსებულ ხელშეკრულების ფარგლებში.

ჩერჩილი „პროფკავშირის" წევრი

„კომედია" არასასიამოვნო სახეს ღებულობს

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ჩერჩილის ჩარიცხვის კომედია მშენებელთა პროფესიონალური კავშირის წევრად, „მოხალისე—კალატოზად", ტრედუნიონიზმის ხელმძღვანელებისათვის არასასიამოვნო სახეს ღებულობს.

მუშათა პარტიის ორგანოში, „დეილი ჰერალდ"-ში ამ ბოლო დროს იბეჭდება ბევრი წერილი მშენებელთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების და ტრედუნიონისტების ცალკე მოღვაწეებისა, რომელნიც აღშფოთებას გამოსთქვამენ მუშათა მოძრაობის დაუძინებელი მტრის, იმპერიალისტის, კონსერვატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის ბელადის ჩერჩილის პროფკავშირის წევრად ჩარიცხვის გამო. მშენებელთა კავშირის მდივანი ხიქსი, რომელიც პირველად მხარს უჭერდა პროფკავშირში ჩერჩილის ჩარიცხვას, ამჟამად სცდილობს ამ ჩარიცხვას ხუმრობის ხასიათი მისცეს. (ადს).

ახალი აკადემიკოსების არჩევნების გარშემო

საარჩევნო კომისიის მუშაობის შედეგები

ლენინგრადი, 23 ოქტომბერი. სამეცნიერო აკადემიის საარჩევნო კომისიის წევრმა ამხ. **კერჟენცევმა** განაცხადა, რომ 11 საგანგებო საარჩევნო კომისიამ ინტენსიური მუშაობა ჩაატარა. სულ მოხდა 24 სხდომა. კომისიებს 200 კანდიდატიდან უნდა გამოეყოთ 42 კაცი. ზოგიერთი კანდიდატი უკვე პირველ სხდომაზევე მოიხსნა. დაწვრილებით იქნა განხილული დაახლოვებით 80 კანდიდატურა. არჩევდნენ მათ მეცნიერულ შრომებს და არკვევდნენ იმას, თუ რამდენად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ მათ ნამუშევრებს და რამდენად შექმნეს მათ განსაზღვრული სკოლა. გარდა ამისა, კომისიები ითვალისწინებდნენ კანდიდატების საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ზოგიერთ კომისიაში ამა თუ იმ კანდიდატურის განხილვის დროს შეეხნენ თანამედროვე მეცნიერული აზროვნების უდიდეს საკითხებს.

კომისიის მონაწილეებმა მეტად სერიოზული მოთხოვნილება წარუდგინეს კანდიდატებს. კომისიების პირველი სხდომების შემდეგ გამოყოფილ იქნა 72 კანდიდატი, რომელთა შესახებ დამატებითი მსჯელობა გაიმართა. ამ 72 კანდიდატიდან გამოყოფილ იქნა 42 კაცი, იმდენი, რამდენიც თავისუფალი ვაკანსიაა. თვალსაჩინო უმრავლესობა (42-დან 35 კანდიდატი) დიდი ხმის უმეტესობით გავიდა. გამოყოფილ კანდიდატებს შორის არის თვალსაჩინო მარქსისტების ჯგუფი ამხ. **ბუხარინის, პოკროვსკის** და **რიაზანოვის** მეთაურობით. ამგვარად, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფში იქნებიან მარქსიზმის წარმომადგენლები, რაც პირველი შემთხვევაა. აკადემიაში ახლა გაცილებით მეტი შევა ისეთი მეცნიერი-მუშაკი, რომელიც ლენინგრადის გარეშე სცხოვრობს, ვიდრე წინათ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ არჩეულ კანდიდატებს შორის მოქცეულნი არიან საბჭოთა კავშირის უდიდესი ძალები. როდესაც ეს 42 კანდიდატი აკადემიაში შევა, როგორც სრულუფლებიანი წევრები, მაშინ აკადემია კიდევ უფრო ბრწყინვალე იქნება თავისი შემადგენლობით, ვიდრე დღემდე იყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ განყოფილებებში და აკადემიის საერთო კრებაზედაც ისეთსავე ერთსულოვნებას ექნება ადგილი, როგორი ერთსულოვნებითაც კომისიებმა კანდიდატთა სიები მიიღეს. ამ არჩევნებით აკადემია დაამტკიცებს, რომ ის ნამდვილად არის მზად, გადასდგას მტკიცე ნაბიჯი მუშაობის შემდგომი გაფართოებისათვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებით და იმ ახალი ამოცანების მხედველობაში მიღებით, რომლებიც დგანან საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე".

ამიერ-კავკასიის დაწესებულებების წარმომადგენელმა, სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს პასუხისმგებელმა მდივანმა ლუპოლმა სთქვა:

„კანდიდატების დასახვასა და განხილვაში ცხოველ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო საზოგადოებრივობა. სექციის ადგილობრივმა განყოფილებებმა და მისმა ცენტრალურმა ორგანომ ყურადღებით განიხილეს ყოველი კანდიდატურა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვალსაზრისით. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ კომისიების მუშაობა თითქმის 100 პროცენტით შეეფერება იმ სურვილებს, რომლებიც გამოსთქვა სექციებში გაერთიანებულმა 15.000 საბჭოთა მეცნიერმა".

თურქმენისტანის დაწესებულებათა წარმომადგენელმა ამხ. ვოლგინმა ხაზი გაუსვა იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს აკადემიის არჩევნებს ადგილობრივი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და განუმტკიცებელი სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის გაცხოველებისათვის. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ თურქოლოგიას, რომელსაც ესოდენი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში, აკადემიაში ეყოლება ბრწყინვალე წარმომადგენელი პროფესორ სამოილოვიჩის სახით (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ლოძის მუშები ზიზღს უცხადებენ გაფიცვის ლიკვიდატორებს.—გაფიცვის ჩაშლის შემდეგ ლოძის პოლიცია შეუდგა მუშების მასიურ დაპატიმრებას.—მარსელის მეზღვაურთა გაფიცვა ფართოვდება

მუშები გმობენ გამცემლებს

ვარშავა, 23 ოქტომბერი. ლოძის ფაბრიკებში მუშაობის განახლება ნელა ხდება. ფაბრიკების უმრავლესობა დღეს უკვე მუშაობს, თუმცა ჯერ კიდევ ყველა მუშას არ დაუწყია მუშაობა. გაფიცვის ლიკვიდატორებმა სრულიად არ უზრუნველჰყვეს სამუშაოზე დაბრუნებულთა უფლებები, როდესაც მუშები ფაბრიკებში გამოცხადდნენ, ზოგიერთმა ფაბრიკანტმა განკარგულება გასცა, რომ ფაბრიკაში არ შეეშვათ ის მუშები, რომლებმაც აქტიობა გამოიჩინეს გაფიცვის დროს. შეიბლერის ფაბრიკაში გამოაკრეს ახალი განკარგულება ჯარიმების შესახებ. ვიდევის მანუფაქტურამ განაცხადა, რომ არ გადაიხდის ხელფასს ახალი განაკვეთით. ამ ფაქტებმა საშინლად აღაშფოთა მუშები, რომლებიც მუშაობას აღარ შეუდგნენ და გაემართნენ პროფკავშირთა შენობისაკენ, იქ შესდგა სახელდახელო კრება, რომელზედაც მუშები სასტიკად ჰგმობდნენ გაფიცვის ლიკვიდატორთა გამცემლობას. მხოლოდ გუშინ, დღისით, ფეიქართა პროფკავშირმა, რომელსაც პოლონეთის სოცილაისტური პარტიის წევრები ხელმძღვანელობენ, მოიწვია ფაბრიკების დელეგატთა თათბირი. როგორც ვიცით, დადგენილება გაფიცვის ლიკვიდაციის შესახებ მიღებულ იქნა ფაბრიკების დელეგატთა დასტურის გარეშე. კრებაზე პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრმა შჩირკოვსკიმ გააკეთა მოხსენება გაფიცვის ლიკვიდაციის მიზეზების შესახებ. მოხსენების დროს კრების დარბაზში შევიდა მუშათა ერთი ჯგუფი, რომელმაც საშუალება არ მისცა შჩირკოვსკის დაემთავრებია თავისი სიტყვა, მუშებმა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, იმავე ბინაზე მოაწყვეს თავიანთი კრება, რომელიც კავშირის გამგეობის წევრებმა მიატოვეს დაუყონებლივ; კომუნისტებმა ლოძში დაიწყეს ფართო განმარტებითი კამპანია, რომლის მიზანია გამოარკვიოს და აღნიშნოს, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა გაფიცვის ჩაშლისათვის. პოლონეთის სოციალისტური პარტიის პრესტიჟი ლოძში საბოლოოდ დაეცა. მუშები გაბოროტებული არიან და მეტად მტრულად არიან განწყობილნი კავშირის წინააღმდეგ, ქრისტიან დემოკრატებისა და „ნაციონალური მუშათა პარტიის" პროფკავშირთა ორგანიზაციებმა, რომლებიც პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვის ჩაშლაში, შესძლეს მოეხდინათ ისეთი მანევრი, რომ მთელი პასუხისმგებლობა ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ეკისრება. ქრისტიან - დემოკრატებისა და ნაციონალური მუშათა პარტიის პროფკავშირებმა გვერდი აუხვიეს კოლექტიურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ვინაიდან ეს ხელშეკრულება პოპულიარული არ არის მუშებს შორის. გუშინ კოლექტიურ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთმა წევრმა. როგორც ირკვევა, ხელშეკრულება ბევრად უფრო ცუდ პირობებს შეიცავს, ვიდრე ამას გუშინ აცხადებდნენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები. ჯერ - ერთი მრეწველებმა თანხმობა არ განაცხადეს შეეტანათ ხელშეკრულებაში მუხლი საფაბრიკო-დელეგატთა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. მეორე — მრეწველებმა არ იკისრეს ვალდებულება მიეცათ მუშებისათვის დასაბრუნებელი სესხები ორი კვირის ხელფასის რაოდენობით. მრეწველთა კავშირმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ საწინააღმდეგო არაფერი ექნება, თუ ზოგიერთი ცალკე ფაბრიკანტი მისცემს მუშებს სესხს. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი მუხლი, იმის შესახებ, რომ გაფიცვაში მონაწილეობისათვის არავინ დათხოვნილი არ იქნება. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები დაკმაყოფილდნენ მრეწველთა ზეპირი განცხადებით, რომ არ დავითხოვთ მუშებს გაფიცვაში მონაწილეობისათვისო. (ადს).

მუშების მასიური დაპატიმრება

ვარშავა, 23 ოქტომბერი. იმ ფართო სააგიტაციო კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყეს კომუნისტებმა, ხდება მუშების მასიური დაპატიმრება. გუშინ ბევრი მუშა დააპატიმრეს პოზნანსკის და სხვ. ფაბრიკის ტერიტორიაზე. დაპატიმრებულ მუშებს უყენებენ ბრალდებას, რომ ისინი კომუნისტურ აგიტაციას ეწეოდნენ. (ადს).

მუშების გაფანტვა პოლიციის მიერ

ვარშავა, 23 ოქტომბერი. კვირას, კომუნისტ დეპუტატ როსიაკის გარშემო შეკრებილი მუშების გაფანტვის დროს, ცხენოსანმა პოლიციამ როსიაკს სიბრტყით დაარტყა ხმალი. როსიაკმა გრძნობა დაჰკარგა. მუშებმა ის მოაბრუნეს და სახლში წაიყვანეს. პოლიციელი დაუყოვნებლივ მიიმალა. (ადს).

მეზღვაურთა გაფიცვა მარსელში

პარიზი, 23 ოქტომბერი. მეზღვაურთა გაფიცვასთან დაკავშირებით, მარსელში მდგომარეობა მწვავდება. გუშინ მარსელში ჩამოსული გემები გაფიცვას შეუერთდნენ. გაფიცვის გამო მარსელში გაჩერებულია 10,000 მგზავრი. სანაოსნო კომპანიების და მარსელისა და ალჟირის სავაჭრო პალატების წარმომადგენელნი, აგრეთვე ალჟირის გენერალ-გუბერნატორი და ალჟირის დეპუტატები მოითხოვენ, რომ მთავრობა ჩაერიოს კონფლიქტში და მიიღოს ზომები, რათა კომერციულ გემებზე სამუშაოდ გაიგზავნონ სამხედრო ფლოტის მეზღვაურები. მემარჯვენე პრესა მოითხოვს მთავრობისაგან მიიღოს „გადამჭრელი ზომები", და აცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა კატასტროფიული გახდება და გაფიცვა „სრულ დეზორგანიზაციას შეიტანს საფრანგეთის ზღვაოსნობაში"-ო. მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ მარსელის გაფიცვა „საზოგადოებრივი უბედურების ხასიათს ღებულობსო". მეზღვაურთა რეფორმისტული პროფკავშირის მდივანი საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრ ტარდიესთან მოსალაპარაკებლად პარიზში გაემგზავრა. „ლიუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეფორმისტული ლიდერების სურვილის მიუხედავად, გაფიცვა თანდათან ფართოვდება. „ლიუმანიტე" მოუწოდებს მუშებს მხარი დაუჭირონ მებრძოლ მეზღვაურებს. (ადს).

სრულ გამარჯვებამდე

პარიზი, 22 ოქტომბერი. „ლიუმანიტე" იუწყება, რომ ფეიქართა გაფიცვა ალეუნში გრძელდება. უნიტარულ პროფკავშირთა საოლქო კომიტეტმა გამოსთქვა ის აზრი, რომ გაფიცვა ალეუნში უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ არ დააკმაყოფილებენ მუშების მოთხოვნას 50 სანტიმის მომატების შესახებ საათში (ადს).

მფრინავი მაკდონალდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ინგლისელი მფრინავი მაკდონალდი, რომელმაც პატარა აეროპლანით ატლანტის ოკეანეზე გადაფრენა განიზრახა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ლონდონში ფიქრობენ, რომ მაკდონალდის დაღუპვის მიზეზი იყო მოტორის გაფუჭება, ან აეროპლანის დამსხვრევა (ადს).

კომკავშირის კულტურული ლაშქრობა

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. ლენ. კომკავშირის ცეკას ბიურომ კულტურული ლაშქრობის ვადა გააგრძელა 1 დეკემბრამდე (ადს).

დახმარება ლოძის ფეიქრებს

ვლადიმირი, 23 ოქტომბერი. კოვროვის ქარხნის, „წითელი პროფინტერნი"-ს და სხვა ფაბრიკა - ქარხნების მუშებმა ლოძის ფეიქართა დასახმარებლად გადადვეს თავიანთი ხელფასის 2 პროცენტი. (ადს).

დანიშვნები სამხედრო უწყებაში

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით, შუა აზიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ავქსენტიევსკი დაინიშნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის უფროსად, ამხ. **ლევანდოვსკი**— წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსად, წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. **ლევიჩევი**—მესამე მსროლელთა კორპუსის უფროსად და სამხედრო კომისრად, წითელი არმიის მომარაგების უფროსი ამხ. **დიბენკო**—შუა აზიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად, ჩრდილოეთ- კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ამხ. **ფედკო**—ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ, მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ამხ. **პერემიტოვი**— ბელორუსიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, ბელორუსიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ამხ. **ხერგეევი** —სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებაში, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის უფროსის თანაშემწე ამხ. **შილოვსკი**— მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ამხ. **პუგაჩევი**— სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისართან განსაკუთრებულათ მნიშვნელოვან დავალებათათვის, წითელი არმიის შტაბის სამმართველოს უფროსი ამხ. **ტრიანდოფილოვი**— წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილედ. (ადს)

საბჭოების გადარჩევის შესახებ

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. საბჭოების გადარჩევაში ღარიბი გლეხობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ცეკამ საჭიროდ სცნო ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში გაზ. „ბედნოტა"-ში „კრესტიანსკაია გაზეტა"-ში, ჟურნალ „კრესტიანინ"-ში და ადგილობრივ საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო საგლეხო გაზეთებში, აგრეთვე სოფლის კედლის გაზეთებში, მოეწყოს გლეხობის ღარიბი ჯგუფების მუშაობის დათვალიერება. ადგილობრივ პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცა, საბჭოების არჩევნების წინ მოაწყონ გლეხობის ღარიბი ჯგუფების სათემო, სარაიონო, სამაზრო და საოლქო კონფერენციები და ამ კონფერენციებზე ფართოდ დასვან საკითხი საბჭოთა გადარჩევის შესახებ.

სოფლის და თემის საარჩევნო კომისიებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას გლეხობის ღარიბი ჯგუფების და სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშების მონაწილეობა. აგრეთვე მონაწილეობა გლეხობის ღარიბი ჯგუფებისა და სოფლების მოჯამაგირეთა აქტივისა საარჩევნო კომისიების ყოველდღიურს მუშაობაში

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლოძელ ფეიქართა ძირითადი მასა არ დაბრუნებია სამუშაოს

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს:

გაფიცულ ლოძელ ფეიქართა „ძირითადი მასა არ დაბრუნებია სამუშაოს. ბურჟუაზიული და „სოციალისტური" პრესა ყოველნაირად ცდილობს მდგომარეობა ისე დახატოს, რომ კონფლიქტი საბოლოოდ მოგვარებულია და მუშები დამორჩილებულია.

გაზეთების ცნობები იმის შესახებ, თითქოს ფეიქრების მასები დგანან ფაბრიკების კარებთან მუშაობის მოლოდინში, სიყალბეა. არაა მართალი აგრეთვე პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცნობა იმის შესახებ, თითქოს გაფიცულები სულიერად დაეცნენ.

ცოცხალია თუ არა ამუნდსენი

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ცნობილი ჰიდროლოგი ზუბოვი და მფრინავი ბაბუშკინი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ნობილეს ექსპედიციის დახმარების საქმეში და ამუნდსენის ძებნაში, ამტკიცებენ, რომ როალდ ამუნდსენი და მისი თანამხლებლები ცოცხალია. ზუბოვისა და ბაბუშკინის სიტყვით, ჰიდროპლან „ლატამ"-ის ეკიპაჟი იმყოფება მიწაზე და არა წყალში. ბენზინის ბაკი, რომელიც ამას წინად იპოვნეს და საბოლოოდ შეიცნეს, როგორც „ლატამ"-ის ბაკი, იმის მაჩვენებელია, რომ ამუნდსენმა და მისმა თანამხლებლებმა ამით გვანიშნეს თავიანთი მდგომარეობა.

23 ინჟინერი მიემგზავრება ამერიკაში

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით ახლო მომავალში ნავთის მრეწველობასთან გასაცნობათ ამერიკაში გაიგზავნება 23 ნავთის მრეწველობაში მომუშავე ინჟინერი, მათ შორის იქნება „აზნავთი"-ს თავმჯდომარე ამხ. ბასიანოვი და „გროზნავთი"-ს თავმჯდომარე ამხ. სოხანოვი.

კეთროვნებასთან ბრძოლა ამიერ- კავკასიაში

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. ამ დღეებში მოსკოვში დაბრუნდა ექიმი კოვალიოვი, რომელმაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დავალებით დაიარა საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რაიონების კეთროვნებასთან ბრძოლის გაცნობის მიზნით.

ექიმი კოვალიოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ამიერ- კავკასიაში კეთრის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ დიდი მუშაობაა ჩატარებული. განსაკუთრებით მოხსენებულია შემახაში ლეპროზორის (კეთროვანთა სამკურნალო) გახსნა.

სამგზაო აღმშენებლობა

მდ. ბუჟუჯზე მალე დამთავრდება ხიდის აგება.—სუფსა-ფოთის გზატკეცილი საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას—რაჭა-ლეჩხუმის სამაღმასკომმა დროზე უნდა მოაგვაროს ხონის მიმართულებით გზის გაყვანის საქმე.—ნაქერალის ულელტეხილის გზის შესაკეთებლად არავინ ზრუნავს

ბუჟუ-აჯისწყალის ხიდი

(წერილი ოზურგეთიდან)

მდინარე ბუჟუჯი და აჯისწყალი ოზურგეთთან ერთდებიან. მდინარეს გაღმა მდებარე სოფლები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ ხიდის უქონლობის გამო. პრიმიტიული საშუალებით გადებულ ხიდები ვერ უძლებდნენ წყალდიდობას, რაც ასე ხშირია ჩვენში. ბევრი მსხვერპლი უნახავს მოსახლეობას წყალდიდობის დროს. ხშირად მდინარის გაღმა მდებარე სოფლები მოწყვეტილი იყო სამაზრო ცენტრს. ეს სამწუხარო ფაქტები ისტორიის არქივს ბარდება. ხიდის საძირკ. მუშაობა მალე დასრულდება, რკინის სალტეებმა მაგრად შეაკავშირეს ორი მოუსვენარი მდინარეები. დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა, რაც შედეგია საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერი მუშაობის. მხოლოდ საჭიროა ხიდის ახლო-მახლო მდინარის ნაპირების გამაგრება შესაფერი დამბებით, რომ ხიდი მდინარეების გარეშე არ დარჩეს.

ეხლა ცოტა რამ სოფელ მაკვანეთის შოშმა-გზის შესახებ. ბეჟუისა და აჯისწყალის შუა მოქცეული სოფ. მაკვანეთი უხიდობასთან ერთად მწვავედ განიცდიდა ოზურგეთის მიმართულებით მდებარე გზის უვარგისობას. ხიდის გაკეთების შემდეგ ეს საკითხიც უნდა მოგვარდეს. სამწუხაროდ გზის გაყვანის საკითხში ერთსულოვნება არ არსებობს, წამოყენებულია გზის ორი მიმართულება: პირველი გზა უნდა გავიდეს ხიდიდან შედარებით სწორი მიმართულებით, და მაღლა სერზე შეუერთდეს ძველ შოშ-გზას. მეორე: ხიდიდან წამოსული გზა დაღმართით უნდა ჩავიდეს ვაკე მერეში და იქ გაღმით უნდა შეუერთდეს იმავე შოშგზას.

როგორც პირველს, ისე მეორე მიმართულებას აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. საღი გონებით თუ განვიხილავთ ამ ორ მიმართულებას, ცხადად დავინახავთ პირველის უპირატესობას.

საზოგადოების მოწინავე ნაწილმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საკითხის გადაჭრაში. კუთხური თავმოყვარეობით, ან კერძო ხასიათის მოსაზრებით არ უნდა დავაზიანოთ საზოგადო საქმე. სჯობს მეტი შრომისა და ხარჯის გაწევა და საიმედო გზის გაყვანა.

მოკეთე.

დანგრეულ [illegible] უნდა

ს. ბულაჩაური, თბილისის მაზრა

არა ერთხელ იყო აღნიშნული პრესაში ბულაჩაურის ხიდის შეკეთების საჭიროება. დუშეთის მაზრის თბილისთან შეერთებამდე, სამაღმასკომმა თითქოს კიდეც დაიწყო ხიდის შეკეთება. ამ ხანებში მოხდა დუშეთის მაზრის შეერთება თბილისის მაზრასთან. მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ გარემოებას. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ხსენებული ხიდი მალე შეკეთდებოდა, მაგრამ [illegible] ბულაჩაურის ხიდი მთლიანად წალეკა. უხეიროდ შეკეთების მაგიერ ხელახლა გასაკეთებელი გახდა. 4 ოქტომბერს მოსულ ნიაღვარმა ბულაჩაურის ხიდი მთლიანად წალეკა.

დარჩა წყალგაღმა 5 თემის მოსახლეობა. გლეხობა იმედს არ კარგავს, რომ თბილისის აღმასკომი დროზე მიიღებს ზომებს დანგრეული ხიდის გასაკეთებლად. თავის მხრივ გლეხობა აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას მუშახელის მიწოდებით.

ვ. ი—ლი.

სუფსა - ფოთის გზატკეცილი

(წერილი გურიიდან)

სუფსა-ფოთის გზატკეცილი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის პირად, დაბა სუფსიდან ქალაქ ფოთამდე, უდრის 22 კილომეტრს. ეს გზატკეცილი დიდი ხანია რაც ემსახურება გურია-სამეგრელოს მოსახლეობას. 1922 წელში წყალდიდობამ საგრძნობლად დააზიანა ხსენებული გზა და აგრეთვე დაანგრია მალთაყვის ხიდი. ამ მდგომარეობამ დიდად შეაფერხა მიმოსვლის საქმე. განსაკუთრებით გურიის გლეხები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ ფოთში ჩასვლელი გზის და ხიდის გაფუჭების გამო.

თუმცა ფოთის აღმასკომმა მალთაყვის წყალზე გააკეთა ბორანი, მაგრამ ამით მდგომარეობა დიდათ არ გაუმჯობესებულა. მაგალითად თუ კარგი ამინდები იყო და ქარი არ ქროდა, მაშინ მოსახერხებელი იყო გასვლა წყლის გაღმა ნაპირზე. მაგრამ ასეთი ამინდი მალთაყვაში, როგორც ზღვის ნაპირი, იშვიათია და ხშირად უხდებოდათ კვირაობით გაჩერება სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ურმებს და ცხენებს გაღმა-გამოღმა ნაპირებზე.

მიმოსვლის შეფერხებით გამოწვეულმა საკითხის ძლიერ გამწვავებამ, დააფიქრა ფოთის აღმასკომი და 1926 წელში შეკეთებულ იქნა მალთაყვის ხიდი. ამით დიდად გაუმჯობესდა მიმოსვლის მდგომარეობა. ამოძრავდა ეტლები და ავტომობილები ფოთიდან სუფსამდე, მიმოსვლამ ძველებური სახე მიიღო. მხოლოდ უდიდესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ შეკეთებულ იქნა მხოლოდ ხიდი და არა გზა, რომლის შეკეთება თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ არავის უცდია.

სუფსიდგან მალთაყვამდე განსაკუთრებით ზამთრობით დიდ გაჭირვებას განიცდიან ეტლები ურმები და ჩალანდარი გლეხები. გზა სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული და ძალზე გაფუჭებულია, რომლის შეკეთება ეკუთვნის სუფსის აღმასკომს. ეს უკანასკნელი რატომღაც ამას სრულებით ყურადღებას არ აქცევს, რის მიზეზით გზა თანდათან უარესდება.

საჭიროა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმაც მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ გარემოებას, რომ მომავალ ზამთრისათვის მაინც გვქონდეს ნაწილობრივად შეკეთებული ხსენებული გზა და მგზავრებს მიმოსვლის საშუალება დაურჩეს.

სევ-მოლი.

გზები შეაკეთეთ

ჩოჩხათის თემი, გურია

ჩოჩხათის თემის მოსახლეობას ხეირიანი გზების, [illegible] გამო დღემდის არ შეეძლო მჭიდრო ეკონომიური კავშირი დაემყარებინა მეზობელ თემებთან. განსაკუთრებით აფერხებდა ჩოჩხათის წინმსვლელობას სუფსის თემთან დაუკავშირებლობა ხსენებულ თემში კვირაობით იმართება ბაზრობა, სადაც გლეხობას გამოაქვს თავიანთი ნაწარმოები გასასაღად.

მიმდინარე წელში ჩოჩხათის თემ-აღმასკომის ხელმძღვანელობით, გზები საგრძნობლად შეკეთდა. გლეხობას შესაძლებლობა მიეცა აწარმოოს აღებ-მიცემობა მეზობელ თემებთან და თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა გამოაკეთონ.

კალამი.

ყველანი სარგებლობს—არავინ აკეთებს

(წერილი რაჭიდან)

როგორც ვიცით, ნაქერალის ულელტეხილის გზატკეცილი აერთიანებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქუთაისის მაზრებს. ქვემო-რაჭის მშრომელი გლეხობა მიდის სადგ. ტყიბულში ოჯახის სხვადასხვა საჭირო საგნების შესაძენად, მაგრამ აუტანელია ის გაჭირვება, რომელიც მას ხვდება ამ მოგზაურობის დროს. რაჭიდან ნაქერალის ულელტეხილამდე გზა კარგია, მაგრამ როდესაც ამ ულელტეხილს გამოსცილდები—ტყიბულამდე გზები ისეთი უვარგისია, რომ ურმით მათზე გავლა დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ხოლო გზის შეკეთებაზე კი არავინ არ ზრუნავს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ტყიბულის რაიონის გლეხობას ხე-ტყის მასალა რაჭის ტყეებიდან გამოაქვთ და ყოველ დღიურად რამდენიმე ათეული ხე-ტყით დატვირთულ ურმებს უხდება ხსენებულ გზაზე გამოვლა.

ხარისთვალზე გაშენებულია რაჭის აღმასკომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომლის მიერ დამუშავებული აურაცხელი ხე-ტყე მოაქვთ ნაქერალის გზით ქ. ქუთაისში, მაგრამ გზას შეკეთებაზე არც ესენი ფიქრობენ.

ხარისთვალის მიდამოებში საქართველოს ს. მ. უ. ს. ხე-ტყის მრეწველობის ტრესტს აქვს დამუშავებული აურაცხელი ტყის მორები, რომლის ზიდვა ტყიბულში უკვე დაიწყო, ხოლო გზები კი ისევ შეუკეთებელია.

კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: ჭელაღელის რაიონის მომხ. კოოპერატივს და სას.-სამ. საზ.-ბას ამ გზით უხდებათ საქონლის მოტანა, რომელიც უგზოობის გამო მეტიც უჯდებათ და მის მოსატანად წასული მეურმე-გლეხი აუტანელ გაჭირვებაში ვარდება.

ნაქერალის გზას რომ უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო ვის ევალება ამ გზის შეკეთება და თუ როდის უნდა გაკეთდეს, ამ საკითხს რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო.

ვ. მომცელიძე.

დააკმაყოფილეთ გლეხობის სურვილი

(წერილი ლეჩხუმიდან)

ლეჩხუმის მშრომელი გლეხობა ძალზე დაინტერესებულია საბჭოთა აღმშენებლობით და დიდ მონაწილეობასაც ღებულობს მასში. ცაგერ-ორბელის გზის გაყვანამ მშრომელ გლეხობაში გააღვივა ტრანსპორტის განვითარების აუცილებლობის აზრი.

იმ მოსახლეობისათვის, რომელიც დასახლებულია მდ. ცხენის წყლის ხეობაში და აგრეთვე ლეჩხუმის ეკონომიური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხონის მიმართულებით გზის გაყვანას, რასაც გლეხობა დაჟინებით მოითხოვს და ამბობს: გვიხელმძღვანელეთ, დაიწყეთ გზის გაყვანა და ჩვენ ჩვენს შრომას და ენერგიას არ დავიზოგავთ"—ო.

ხონის მიმართულებით გზის გაყვანას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ლეჩხუმისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვისაც, ვინაიდან ლეჩხუმიდან შეიძლება გაზიდვა სხვადასხვა საექსპორტო საქონლის. ეს გზა უშუალოდ დააკავშირებს ლეჩხუმის მოსახლეობას შავი ზღვის ნაპირებთან და დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც მოსახლეობას, ისე სახელმწიფოსაც.

საჭიროა რაჭა-ლეჩხუმის აღმასკომმა დროზე მოაგვაროს ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

რევენტი.

მეტი ყურადღება მუშათა ჯანმრთელობას

წყალტუბოს დასასვენებელ სახლში არ ექცევა სათანადო ყურადღება მუშათა ჯანმრთელობას—რკ. გზის ორთქლმავალების შემკეთებელ ქარხნის მავნე საქმეზე მომუშავე მუშებს არ ეძლევათ დამატებითი შვებულება—გავაძლიეროთ მუშათა ჯანმრთელობა

დაიცავით მუშათა ჯანმრთელობა

მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმე წარმოებებში და მის გარეთაც ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. როგორც წარმოებებთან არსებული ამბულატორიები, ისე საუბნო ამბულატორიები შესაფერისად ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. არ კმარა მარტო ის, რომ დაზღვეულმა მიიღოს ამბულატორიაში საექიმო დახმარება. საჭიროა ეს დახმარება დაზღვეულმა მიიღოს რაც შეიძლება მალე. ჩვენ ამბულატორიებში კი თუ ერთი საათი და ზოგჯერ მეტიც არ იდგეთ რიგში, ისე ვერ მოხვდებით ექიმთან.

ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ თითქოს არ იყოს საჭირო რიგები და საერთოდ წესრიგი. მაგრამ ეს რიგი არ უნდა იყოს ისე, რომ დაზღვეული იძულებული გახდეს გაანებოს თავი რიგში დგომას და წავიდეს კერძო ექიმთან დახმარების მისაღებად. ჩვენის აზრით გრძელი რიგების მთავარი მიზეზი, ეს არის საექიმო პერსონალის შტატის სიმცირე. ზოგიერთ ამბულატორიაში, ერთი საათის განმავლობაში ექიმი იღებს და სინჯავს 15—20 ავადმყოფს. ასეა მაგალითად რკ. გზის თბილისის ამბულატორიაში. ასეთ პირობებში რასაკვირველია შეუძლებელი იქნება ავადმყოფის საფუძვლიანად გასინჯვა და ექიმის მიერ შესაფერი ახსნა-განმარტებისა და დარიგების მიცემა.

ასეთივე მდგომარეობაა საბჭოთა აფთიაქებშიც. აქ ჯერ ერთი ვერასდროს თავის დროზე ვერ მიიღებთ წამალს და მეორეც ხშირად უფასოთ ვერ შოულობთ იმ წამალს, რომელსაც გიწერთ ექიმი. ამიტომ დაზღვეული იძულებული ხდება ან ისესხოს ფული და შეიძინოს საჭირო წამალი, ან სულ უწამლოდ დარჩეს. ეს გარემოებაც საგრძნობლად აფერხებს მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

რაც შეეხება მუშათა ჯანმრთელობის დაცვას წარმოებებში, აქაც არ არის ყველაფერი რიგზე. ბევრია ისეთი სამუშაოები, რომლებიც ძალიან მოქმედობენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაგრამ არც შრომის დაცვის ინსპექტორი და არც ადგილობრივი ექიმი ყურადღებას არ აქცევენ ამ გარემოებას და არ ღებულობენ ზომებს სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად: რკ. გზის ორთქლმავალების შემკეთებელ ქარხნის სადურგლო საამქროში იხერხება დამპალი და სხვადასხვა მავნე სითხეებით გაჟღენთილი ხეები, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ფილტვების დაავადებას. ამ საქმეზე მომუშავე მუშებს არც დამატებითი შვებულება ეძლევათ და არც სხვა შეღავათი. მუშებმა რამდენჯერმე აღძრეს ამის შესახებ საკითხი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი შედეგი არ სჩანს.

შრომის დაცვის ორგანოებმა და ადგილობრივმა ექიმებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი მუშაობა მუშათა ჯანმრთელობის დაცვაში. [illegible] სალაროსმა კი უნდა მიიღოს ზომები, რათა დაზღვეულს საშუალება ჰქონდეს ყველა საბჭოთა აფთიაქიდან მიიღოს უფასოთ წამალი.

X.

ასეთი შეცდომა დაუშვებელია

(საფთიაქო სამმართველოს საყურადღებოდ)

საბჭოთა აფთიაქებში უკანასკნელ ხანებში ძალიან უყურადღებოდ ამზადებენ წამლებს. გარდა ამისა, რომ ფარმაცევტები ვერ აქცევენ შემკვეთებლებს წესიერად და არ აძლევენ მათ სიტყვიერ ახსნა-განმარტებას წამლის მოხმარების შესახებ, ხშირად არც წამალზე დართულ რეცეპტზე აწერენ, თუ როგორ უნდა მოიხმაროს ავადმყოფმა იგი. აი ამის ერთი მაგალითი.

ამას წინად ტელეფონის ქსელის მუშამ, ამხ. ქ-ტიაშვილმა, საბაჟოს ქუჩაზე მდებარე აფთიაქიდან, ექიმის რეცეპტით გამოიტანა წამალი, რომელზედაც არ იყო აღნიშნული თუ როგორ უნდა მიიღოს ავადმყოფმა წამალი და როგორ უნდა გამოიყენოს იგი. ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. იშვიათობა ისაა, რომ აფთიაქი, სადაც გულდასმით უხსნიდნენ დაზღვეულებს წამლის მოხმარებას. ამას კი შესაძლებელია მოჰყვეს უბედური შემთხვევები.

საფთიაქო სამმართველომ ზომები უნდა მიიღოს აფთიაქებში ასეთი შეცდომების აღმოსაფხვრელად.

მანტიორი.

ჯანმრთელობას აზიანებს

ა.-კ. რკ. გზ. ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში არის ისეთი საამქროები, სადაც მუშებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა; ასეთია მაგალითად სადურგლო საამქრო. აქ არის ერთი ხე-ტყის სახერხი მექანიკური დაზგა, რაზედაც იხერხება ძველი ვაგონების დამპალი და სხვა მავნე სითხეებით გაჟღენთილი მასალა, რომელიც ძალზე მოქმედობს მუშების ჯანმრთელობაზე და ავადმყოფებს მუშებს ფილტვებით. ამის შესახებ მუშებმა განცხადებით მიმართეს ადგილკომს, რათა არსებულ კანონების თანახმად მისცემოდათ მათ დამატებითი შვებულება მაინც, მაგრამ ადგილკომმა არავითარი ზომები არ მიიღო მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბოლოს აღნიშნული საამქრო დაათვალიერა შრომის ინსპექტორმა და ექიმმა გურგენოვმა, რომლებიც შეპირდნენ მუშებს დახმარებას, მაგრამ დაპირება დღესაც შეუსრულებელია.

საჭიროა ადგილკომმა მიიღოს ზომები რკინისგზელთა მეცხრე სრულიად საკავშირო ყრილობის დადგენილების შესასრულებლად მუშების ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

დარტყურელი.

სინესტემ შეგვაწუხა

(ხაშური)

სად. ხაშურის რკ. გზელთა სახლების უმეტესი ნაწილი დიდ შეკეთებას მოითხოვს. განსაკუთრებით № 5 სახლის მცხოვრებნი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. სახლის ჩრდილოეთის მხარე ძალზე ნესტიანია და მცხოვრებლებიც ავადდებიან. ექიმებმა რამდენიმეჯერმე შეამოწმეს ეს სახლები და ურჩიეს მცხოვრებლებს გადასახლებულიყვნენ სხვაგან, რადგან ამ სახლებში ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ მათ ამ სახლებიდან გადასვლას საშველი არ დაადგა. არც საუბნო კომიტეტი და არც სალიანდაგო დარგის ადმინისტრაცია, რომელსაც ევალება საცხოვრებელ ბინების თვალყურის დევნება, არ ღებულობს ზომებს აღნიშნულ სახლების შესაკეთებლად და მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დროა რკ. გზის სალიანდაგო დარგის ხელმძღვანელებმა მიაქციონ ყურადღება საცხოვრებელ ბინებს და შეაკეთონ ისინი საფუძვლიანად.

გაჯავრებული.

აბანო გვჭირდება

(შავი ზღვის რკინისგზა)

შავი ზღვის რკინისგზის მუშები მთელი სამუშაო დროის განმავლობაში მუშაობენ მტვრიან და ტალახიან ადგილებში. ამიტომ მათთვის აუცილებელი საჭიროა აბანო. ამის შესახებ არა ერთხელ მოთავსებულა გაზეთში წერილი, სადაც ავტორები მოითხოვდნენ, რათა—სად. ზუგდიდში აშენებულიყო აბანო მუშა-მოსამსახურეთათვის, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია. წარმოება თანდათან ფართოვდება, მუშა მოსამსახურეთა რიცხვიც იზრდება, მაგრამ მათ არა აქვთ აბანო, რომ საშუალება მიეცეთ კვირაში ერთხელ დაიბანონ ტანი. მუშა-მოსამსახურენი საბანაოდ მიდიან ქ. ზუგდიდში, რომელიც სამუშაოდან ხუთი ვერსის მანძილით არის დაშორებული ამის შესაძლებლობა მოეცეს ყველას, ავადმყოფობაც, რაც უფრო ძვირად დაუჯდება ჩვენს წარმოებას, ვიდრე აბანოს მოწყობა.

შავი ზღვის რკ. გზის გამგეობამ ამ გარემოებას უნდა გაუწიოს ანგარიში და მოაწყოს მუშებისათვის აბანო.

ნ. გ. შეროზია.

ზედმეტ საათებში ნუ ამუშავებთ

(საქ. „ღვინო კონიაკის" ქარხანა)

ღვინო კონიაკის ქარხნის მეორე საწყობში, სადაც მზადდება არაყი, კონიაკი და ლიკიორი, ორმოცდა ათ მუშამდე მუშაობს. მუშაობა ორ ცვლად სწარმოებს. მეორე ცვლაში მომუშავე მუშებისათვის არ არის გამორკვეული სამუშაო დრო; იმ დროს, როდესაც საღამოს ცვლამ უნდა იმუშაოს შვიდი საათი, ხშირად ამუშავებენ რვა საათს, რაც დაუშვებელია.

არ არის დაცული სისუფთავე: ბოთლების გასარეცხი ოთახი სავსეა ობობის ქსელით. იატაკი ხომ თითქმის ყოველთვის სველია. ყველაფერი ეს მოქმედობს მუშის ჯანმრთელობაზე. საწყობში არ არის საათი, რაც ძალიან აფერხებს ნაყოფიერ მუშაობას. გამგეობამ უნდა შეიძინოს საათი და მიიღოს ზომები შრომის დასაცავად.

დ. კველიშვილი.

წყალტუბოს დასასვენებელი სახლი

წყალტუბოს დასასვენებელი სახლი გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ შიგნით სახლში საშინელი სიბინძურეა გამეფებული. განსაკუთრებით სასადილოში და სამზარეულოში ისეთი მტვერი დგას, რომ არამც თუ სადილობა, ტყვილა გაჩერებაც კი შეუძლებელია. ვაი იმის ბრალი, ვინც გაბედავს და შენიშვნას მისცემს დამლაგებელ ქალს. პასუხად კარგად გამოგლანძღავს და მიაძახებს თავს. ოთახები ძალზე პატარებია და უსინათლო. შიგ ათავსებენ ოთხ დამსვენებელს, რაც ყოვლად შეუძლებელია. იმდენად სივიწროვეა ოთახებში რომ ყოველ დილას თავი სტკივა დამსვენებელს. არ არის მოწყობილი ჰაერის გასაწმენდი საშუალებები და სხვა. სასადილო ოთახი ძალზე ბნელი და ულამაზოა. ასეთ ადგილას სადილობა ეს იმას ნიშნავს, რომ მიიღო რაიმე ავადმყოფობა.

დასასვენებელი სახლის გამგე, იმის მაგივრად, რომ თვალყური ადევნოს წესრიგს და ზრუნავდეს სახლის კეთილდღეობაზე ყოველთვის მთვრალია. იგი ხშირად, ღამის თორმეტ საათზე, როდესაც ყველას სძინავს, გაუფრთხილებლად შედის ქალების ოთახში და აპატიჟება მათ გასასეირნებლად.

ასევე იქცევა დასასვენებელ სახლის სამზეო ნაწილის გამგეც. იგი ძალიან უხეშად ეპყრობა დამსვენებელ ქალებს და ათასგვარ სიტყვიერ შეურაცყოფას აყენებს მათ. იყო შემთხვევა, როდესაც სამზეო ნაწილის გამგის უხეში საქციელის გამო დამსვენებელი ქალი იძულებული იყო დაეტოვებინა დასასვენებელი სახლი.

კვებაც შედარებით უვარგისია. მზარეული ვერ შეეფერება დასასვენებელ სახლს; საჭმელი მზადდება უსუფთაოთ და ყოველგვარ საკაზმავს გარეშე ერბოს მაგიერ საჭმელში ქონს ხმარობენ. ამას იმით ამართლებენ, რომ თითქოს ისინი ვერ შოულობენ საჭირო სანოვაგეს, ეს რასაკვირველია არ არის მართალი.

დასასვენებელ სახლში ასეთ უწესრიგობასთან ბრძოლა უხდება ექიმ მამალაძეს, რომელიც რასაკვირველია, არ მოსწონს ადმინისტრაციას. მამალაძე თითქმის ყოველდღე ეჩხუბება ადმინისტრაციას სხვადასხვა უმსგავსოებისა და უვარგისი საჭმლის დამზადებისათვის, მაგრამ ნაკლი მაინც არ სწორდება. ამის წინად ჩამოვიდა რესპ. სოც. დაზღვევის წარმომადგენელი ამხ. გორგოლაძე, რომელმაც გამოარკვია დასასვენებელ სახლის მდგომარეობა და მრავალი ნაკლიც აღმოაჩინა, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ სჩანს.

საერთოდ წყალტუბოს დასასვენებელ სახლში ბევრ უმსგავსობას აქვს ადგილი. ამ უმსგავსობების მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ადმინისტრაცია შეიცვლება და მათ ადგილზე დაინიშნებიან უფრო მუყაითი და პატიოსანი მუშები.

სოც. დაზღვევის სამმართველომ საფუძვლიანად უნდა გამოარკვიოს წყალტუბოს დასასვენებელ სახლის მდგომარეობა და მიიღოს ზომები მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ლენა.

მუშკორთა წერილებიდან

მოსაცდელი ოთახი არ გვაქვს. სოცდაზღვევის კომიტეტთან არსებულ საექიმო-საექსპერტო ბიუროს ყოველდღე აურაცხელი ავადმყოფი მუშა-მოსამსახურე აწყდება. ავადმყოფები თავიანთ რიგს უცდიან დერეფანში სადაც არც სკამია დასაჯდომი და არც სხვა რამე. ამავე [illegible] საექიმო-საექსპერტო ბიუროს ოთახის გვერდით, ერთი ოთახი უჭირავს შინაგან სახ. კომისარიატს, რომელსაც რამდენიმე [illegible] აქვს შენახული ამ ოთახში. საჭიროა სოცდაზღვევის კომიტეტმა იზრუნოს ამ ოთახის ხელში ჩაგდებაზე, თორემ ზამთარში შეუძლებელი იქნება ავადმყოფის დერეფანში მოცდა.

მუშა.

მღვრიე წყალი (ტყიბული). ტყიბულის ახალ მაღაროების სასადილოში დასალევი წყალი ძალზე მღვრიე და ჭუჭყიანია. ნუ თუ არ შეიძლება სასადილოში სუფთა წყალის შენახვა?

ლითონი.

დაიცავით სისუფთავე. ქვანის აგურ-კრამიტის ქარხანაში არსებობს სასადილო, რომელიც ეკუთვნის მუხრანის მომხმარებელ ამხანაგობას. სასადილოში სადილობენ, როგორც აგურ-კრამიტის ქარხნის მუშები, ისე მგზავრებიც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასადილოში არამც თუ სადილობა, ტყვილა შესვლაც კი ყოვლად შეუძლებელია. სასადილოში საშინელი უსუფთაობაა. სადილიც ძალზე ბინძურად მზადდება. ხშირად ნახავთ კერძში ჭიებს, ბუზებს და სხვა.

ქარხნის ადგილკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

შილდიმი.

უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის პლენუმი

22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის პლენუმი.

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

პლენუმის გახსნის შემდეგ კომისიის წარსულ და მომავალ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფილიპე მახარაძემ.

მე აღვნიშნავ, — დაიწყო მომხსენებელმა, — კომისიის მუშაობის მთავარ მომენტებს. 3 წელია, რაც საქ. ცაკთან დაარსდა უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია. პირველ ხანებში კომისიას არავითარი საშუალება არ ქონდა თავის მუშაობა სავსებით წარემართა დასახულ მიზნების განსახორციელებლად. მას არ ჰქონია არავითარი წამოწყებანი, რომ შესაძლებოდა ნაწილობრივ მაინც დაეფარა თავისი ხარჯები და დამოკიდებული იყო მარტო დახმარებებზე.

თუ როგორ პირობებში მუშაობდა პირველ ხანებში კომისია და რა გააკეთა მან დღემდე, ეს სჩანს შემდეგი ციფრებიდან:

კომისიამ თავის დაარსების პირველ წელში დახმარება აღმოუჩინა 974 ბავშს, 1926-27 წელში — 1005 ბავშს, 1927-28 წელში კი—1759 ბავშს. სულ 3738 ბავშს.

აქედან კომისიამ თავის ხარჯით სამშობლოში გააგზავნა პირველ წელში 681 ბავში, მეორე წელში — 252, მესამე წელში — 1116 ბავში. ერთ-დროული დახმარება მისცა პირველ წელიწადს — 258 ბავშს, მეორე წელში — 544, უკანასკნელ საანგარიშო წელში — 865 ბავშს.

სამივე წლის განმავლობაში კომისიის შემოსავალი უდრის სულ 704.942 მანეთს. აქედან ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ლენინის სახელობის ფონდიდან კომისიას მისცა 603.250 მანეთი. დანარჩენი თანხა კომისიას შემოუვიდა სხვადასხვა დახმარების სახით და სხვა წყაროებიდან.

ამავე წლების განმავლობაში კომისიამ ბავშთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეზე დახარჯა სულ 519.006 მანეთი.

კერძოდ, უკანასკნელ 1927-28 წელში კომისიას სულ შემოუვიდა 426.624 მანეთი (ლენინის სახ. ფონდიდან კომისიამ მიიღო 342.500 მანეთი). აქედან უპატრონო ბავშებისათვის დახმარების გასაწევად კომისიამ ავტონომიურ რესპუბლიკებს მისცა 22.200 მან., მაზრებს — 19.300 მან., ბავშების სამშობლოში გასაგზავნად დახარჯა — 938 მან., ერთდროული და მუდმივი დახმარების სახით გასცა 3589 მან.

გარდა ამისა საანგარიშო წლის განმავლობაში მცხეთის ახალშენის შესანახათ დახარჯა 79.131 მანეთი. დანარჩენი თანხები გაღებულ იქნა სხვადასხვა საბავშო ორგანიზაციების დასახმარებლად. კომისიამ 1927-28 წელში უპატრონო ბავშთა დახმარების საქმეზე, სულ დახარჯა 256.616 მანეთი. 1928-29 წლისათვის დარჩა 161.963 მანეთი.

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, კომისიამ გასულ წელში შესამჩნევად გააფართოვა თავისი მუშაობა. იმავე წელში კომისიამ ჩაატარა მცხეთის ახალშენის რეორგანიზაცია და შეუდგა მის სათანადოთ მოწყობას. პირველ ხანებში ახალშენის საქმეები არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, რის გამო მისი მუშაობა სუსტი იყო.

რეორგანიზაციის შემდეგ ახალშენთან მოეწყო საზეინკლო, სადურგლო, კერამიკის და ხელსაქმის სახელოსნოები.

ჩვენი მიზანია ახალშენი იმგვარათ მოვაწყოთ, რომ მას შეეძლოს თავისივე შემოსავლით დაფაროს ხარჯები. მცხეთის ახალშენს ექნება პროფტეხნიკური სკოლის ხასიათი და მასში მოთავსებული ბავშები მიიღებენ საერთო განათლებას.

რამდენათ კარგათ სწარმოებდა ცენტრში ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლა, იმდენათ მოისუსტებდა ეს საქმე მაზრებში. კახეთის მაზრაში, რომელიც ერთ-ერთ მდიდარ მაზრათ ითვლება საქართველოში, დღემდე არ არსებობს არც ერთი საბავშო სახლი.

გაცილებით უფრო ღარიბ მაზრაში, ლეჩხუმის მაზრაში ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. იქ საბავშო სახლიც არსებობს და იგი სათანადოთაცაა მოწყობილი.

ავტონომიურ რესპუბლიკებიდან ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლა კარგათ სწარმოებს აფხაზეთში. სამხრეთ - ოსეთში სულ არ არსებობს საბავშო სახლი და უპატრონო ბავშები შეკედლებულნი არიან კერძო ოჯახებში, რისთვისაც ამ უკანასკნელებს ეძლევათ შესაფერი დახმარება. ასეთი მდგომარეობა არ არის სასურველი და იმ ადგილებში, სადაც დღემდე შესაფერ სიმაღლეზე არ არის დაყენებული უპატრონო ბავშთა მოვლის საქმე, უნდა გაძლიერდეს მუშაობა.

წელს განზრახული გვაქვს გავაფართოოთ მცხეთის ახალშენი და მასში მოთავსებულ ბავშთა რიცხვი ავიყვანოთ 400-მდე. განზრახულია აგრეთვე რესპუბლიკანურ საბავშო სანატორიუმის მოწყობა. ამ მიზნით კომისია უკვე აწარმოებს მუშაობას ჯანმრთელობისა და განათლების კომისარიატებთან ერთად.

კამათი

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ხუმარიანმა, კუჭაიძემ, შულგინამ, მგელაძემ, ესაიანმა. ვ. ბოქლავაძემ, ს. თოდრიამ და ჯიჯაძემ. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა სანატორიუმის მოწყობასთან ერთად, გაიხსნას სახელოსნო-სასწავლებელი ჰასაკ-გადაცილებულთათვის მოეწყოს საბავშო სახლები, სადაც ასეთები არ არსებობს და სხვ.

660.000 მან. ბავშთა უპატრონობასთან საბრძოლველად

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ცომაიას მოხსენება კომისიის მუშაობის გეგმის შესახებ 1928-29 წლისათვის. რის შემდეგ დამტკიცებული იქნა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვით საანგარიშო წელში უპატრონო ბავშთა დახმარების საქმეზე დაიხარჯება 600.000 მანეთი. აქედან ბავშთა სანატორიუმის მოსაწყობათ — 154.000 მ., მცხეთის ახალშენის შესანახათ და მის გასაფართოებლად 320.000 მანეთი. 12.000 მ. გადაეცემა შრ. სახ. კომისარიატს ჰასაკგადაცილებულთათვის სახელოსნო - სასწავლებლის მოსაწყობათ, მაზრებს — 50.000 მანეთი, ავტონომიურ რესპუბლიკებს და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 25.000 მ., ჯანმრთელობის კომისარიატს დედათა და ბავშთა დაცვის საქმისათვის — 6.000 მ. და 10.000 მან. ბავშთა მეგობართა საზ-ბას. დანარჩენი თანხები მოხმარდება უპატრონო ბავშთათვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევის საქმეს.

ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმი

ასოციაციის სამუშაო გეგმა მიმდინარე წლისათვის

მომხსენებელი ამხ. იურინი

ამიერ - კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ, — ამბობს მომხსენებელი — ორი ხაზით უნდა წარმართოს თავისი მუშაობა: ორგანიზაციული და სასწავლო შემოქმედებითი ხაზით.

პირველ ყოვლისა, ასოციაციის ამოცანას შეადგენს გაეცნოს მდგომარეობას ადგილებზე. ამ მიზნით მას მოუხდება ადგილებზე საანგარიშო კრებების მოწვევა, რესპუბლიკების პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან ერთად სამუშაო გეგმების გამომუშავება და ამ ასოციაციების მუშაობის შეთანხმება ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საერთო მუშაობასთან. იმ მიზნით, რომ ა.-კ. ასოციაცია ჩაერკვეს რესპუბლიკანურ ასოციაციების საქმიანობაში და უხელმძღვანელოს მას, რესპუბლიკანურმა ასოციაციებმა ა.-კ. ასოციაციას უნდა მიაწოდონ ყოველგვარი მასალები, რომლებიც მათ მუშაობას ახასიათებენ (გამგეობის სხდომების, საერთო კრებების ანგარიშები, სამუშაო გეგმები, პროგრამები და სხვ.)

ამიერ - კავკასიის ასოციაციამ მარტო რესპუბლიკანურ ასოციაციებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებით არ უნდა შემოფარგლოს თავისი მუშაობა და უნდა ეცადოს მუდმივი რეგულიარული ურთიერთობა იქონიოს სრულიად საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების გაერთიანებასთან.

წერილობითი კავშირი საკმაო არ არის მუშაობის გასაცხოველებლად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სარესპუბლიკო ასოციაციებს შორის ცოცხალ ურთიერთობის დამყარებას. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ერთი ინტერნაციონალური ლიტერატურული ჯგუფის მოწყობა. ამ ჯგუფს დაევალება ამიერ - კავკასიის ყველა რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქების შემოვლა იმ მიზნით, რომ მოეწყოს მუშათა ცენტრებში ლიტერატურული საღამოები მოხსენებები და დისპუტები ლიტერატურის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე.

ამასთან ერთად ასოციაციას მოუხდება კავშირის გაბმა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთანაც: უკრაინასა, ბელორუსიასა, ჩრდილოეთ კავკასიასა, დაღესტანსა და უზბეკისტანთან. ასოციაციამ უნდა მოაგვაროს ზემოხსენებულ რესპუბლიკების ასოციაციებთან წერილობითი სახით თავიანთი გამოცდილების გაზიარება და ამხანაგების გაგზავნა მოხსენებისა და ლიტერატურულ საღამოების მოსაწყობად.

ამ უახლოეს ხანში ა.-კ. ასოციაცია უნდა შეუდგეს თავისი წევრების ხელახალ რეგისტრაციას. ვიდრე რეგისტრაცია დაიწყებოდეს, მოწვეულ უნდა იქნეს ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რის შემდეგაც გამომუშავებულ იქნება ნამდვილ წევრთა სია, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ა.-კ. ასოციაციას.

უფრო რთულია ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ამოცანები სასწავლო შემოქმედებით მუშაობის დარგში. შემოქმედებითი მუშაობა ამ პერიოდში პროლეტარულ მწერლობისათვის ძირითადი ამოცანაა. ამიტომ ასოციაციამ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც ამ თავითვე მიღებულ უნდა იქნეს, — შემდეგია: ამიერ - კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან უახლოეს ხანში უნდა მოეწყოს სასწავლო მეთოდიური კომისია, რომელშიაც შევლენ უფრო მომზადებული ამხანაგები და საგანგებოდ მოწვეულნი სპეციალისტები (პროფესორები, სიტყვიერების დარგის მეცნიერნი და სხვ.)

ა.-კ. ასოციაციასთან მოწყობილმა სასწავლო - მეთოდიურმა კომისიამ კავშირი უნდა გააბას პრ. მწ. ასოციაციების სრ. საკავშირო გაერთიანებასთან რომელმაც მას უნდა მიაწოდოს ამ მიმდინარე სალიტერატურო სეზონისათვის საჭირო სამუშაო მასალები.

თვით სარესპუბლიკო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებთან უნდა მოეწყოს ერთი ტიპის სალიტერატურო სემინარები, სადაც სამუშაოდ მოწვეულნი იქნებიან მომზადებული ამხანაგები, სემინარებში შესწავლილი უნდა იქნეს შემდეგი საგნები: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია და ხელოვნების ისტორია.

ამიერ - კავკასიის პრ. მწერალთა ასოციაციამ უნდა დაამუშაოს ზემოხსენებულ სემინარების პროგრამები, რომელიც წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივ სასწავლო მეთოდიურ კომისიებს.

გარდა ამისა, როგორც ა.-კ., აგრეთვე რესპუბლიკანურ ასოციაციებთან უნდა შეიქმნეს კრიტიკულ გამოკვლევითი კომისიები, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება პროლეტარულ მწერალთა დაბეჭდილ მხატვრულ პროდუქციის აღრიცხვა. ამ კრიტიკულ-გამოკვლევითმა კომისიებმა ეს პროდუქცია წინასწარ ყურადღებით უნდა შეისწავლონ და შემდეგ ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე გაუკეთონ დაწვრილებითი ანალიზი. ამ საერთო კრებაზე უნდა აღინიშნოს ნაწარმოების დადებითი მხარეები და ამავე დროს დაუნდობლად შეფასებული იქნეს ის ნაწარმოები, რომელსაც რაიმე მავნე გადახრა ემჩნევა. მასალის მხოლოდ ასეთი დამუშავების შემდეგ, იგი უნდა გადაეგზავნოს ა.-კ. ასოციაციის გამოკვლევით კომისიას.

ასეთია მოკლედ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამუშაო გეგმა 1928-29 წლის ლიტერატურულ სეზონისათვის.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამხანაგებს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეუტანიათ წარმოდგენილ გეგმაში. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: სუტირინმა, ვანანდეცმა ეშტუნიმ, ხ. ეულმა, ჰ. სამსონიძემ და ალაზანმა.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

მეორე დღე

თათბირის მეორე დღის დილის სხდომა მთლიანათ მოუნდა კამათს ადგილებიდან გაკეთებულ და ამხ. ს. ეგიკოვის მოხსენებების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 28 ამხანაგმა.

ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ თავდაცვა - ავიაქიმს აქვს უდიდესი მიღწევები მშრომელთა გასამხედროების დარგში. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას მოპოვებული აქვს მოსახლეობის ფართე მასების ნდობა, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ საზოგადოების რიგები იზრდება სწრაფად.

აღნიშნულ იყო აგრეთვე, რომ გაუმჯობესებულია თვით საზოგადოების საქმიანობაც. მუშაობა ადგილობრივ ორგანიზაციებში მიმდინარეობს გეგმიანად, აღარ აქვს ადგილი ძალების დაქსაქსვას და არევ-დარევას.

მიღწევებთან ერთად ამხანაგები შეეხენ აგრეთვე იმ დეფექტებს, რომელიც თან ახლავს ავიაქიმის მუშაობას.

მაზრებიდან ჩამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ჯერ-ჯერობით არ არის მოგვარებული ხელმძღვანელობის საკითხი. სუსტად არის დაყენებული ცოცხალი ხელმძღვანელობა. მაგ., ლორი-ბამბაკის რაიონში ავიაქიმის ინსტრუქტორი ჩასულა ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა მაზრებშიაც.

კამათში ხაზგასმით აღნიშნული იყო კომკავშირის სუსტი მონაწილეობა თავდაცვა-ავიაქიმის საქმიანობაში. არის შემთხვევები, როდესაც კომკავშირი დამოუკიდებლად აწარმოებს სამხედრო საქმიანობას, რითაც იქმნება ერთგვარი პარალელიზმი მუშაობაში.

ქალების მონაწილეობა ავიაქიმის მუშაობაში არ არის დამაკმაყოფილებელი. ქალთა რიცხვი ავიაქიმში ძალიან მცირეა.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბარკაის მოხსენება ახალგაზრდათა გასამხედროების საქმის მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდათა გასამხედროების საქმე ამიერ-კავკასიაში არ არის დაყენებული დამაკმაყოფილებლად. სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე ახალგაზრდობის ჩაბმა თავდაცვა - ავიაქიმის რიგებში.

ავიაქიმმა კომკავშირის და ახალგაზრდობის გასამხედროება უნდა ჩაატაროს თავისი ხელმძღვანელ ორგანოების საშუალებით, როგორიც არის—საბჭოები, პრეზიდიუმი, სექციები, უჯრედები. ავიაქიმმა უნდა ჩამოაყალიბოს სამხედრო ცოდნათა წრეები და უნდა უზრუნველჰყოს ეს უკანასკნელები ყველა საჭირო მასალით.

ყურადღება უნდა მიექცეს მასიურ სამხედრო პროპაგანდის წარმოებას ახალგაზრდათა შორის. დაარსებულ უნდა იქნენ სამოდელო და საპლანერო წრეები ავიაციის შესწავლის მიზნით; ახალგაზრდათა კლუბებში ნაჩვენები უნდა იქნეს სურათები სამოქალაქო ომის პერიოდიდან და წითელი არმიის ცხოვრებიდან; ახალგაზრდათა სამხედრო ლაშქრობებს უნდა მიეცეს აღმზრდელობითი ხასიათი; კომკავშირი ჩაბმულ უნდა იქნეს ავიაქიმის პრაქტიკულ მუშაობაში.

არ უნდა იქნეს დავიწყებული აგრეთვე მუშაობა პიონერთა შორის.

ქალთა შორის მომუშავე სექციებმა თავის გეგმებში უნდა შეიტანონ მუშაობა ახალგაზრდა ქალებს შორის. აქ მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში მათი მოთხოვნილება და ინტერესები. საჭიროა ახალგაზრდა ქალებისათვის ჩამოყალიბდეს შემდეგი წრეები: სტელეფონო, სამხედრო-სამეურნეო, ძიების შესწავლის და სხვა.

იმისათვის, რომ ახალგაზრდათა გასამხედროების საქმე დაყენებულ იქნეს საღ ნიადაგზე, საჭიროა გასამხედროების ხელმძღვანელთა მომზადება, მტკიცე აქტივის შექმნა. ავიაქიმმა უნდა იზრუნოს ამ აქტივის მომზადებაზე. ქალაქებში და მსხვილ წარმოებებში უნდა მოეწყოს მოკლე - ვადიანი კურსები და სემინარები სამხედრო საქმის ორგანიზატორთა მოსამზადებლათ. ამ სემინარებსა და კურსებზე ფართედ უნდა იქნენ ჩაბმული ის კომკავშირელნი, რომლებსაც აქვთ მიღებული სამხედრო ცოდნა (ყოფილი წითელი არმიელნი). ამ გზით შესაძლებელი იქნება სამხედრო ცოდნათა წრეების საუკეთესო ხელმძღვანელების მომზადება.

დღეს, დილით დაიწყება კამათი ამხ. ბარკაის მოხსენების გარშემო.

პარასკევს, 26 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, გაიხსნება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი.

საქ. სახკომსაბჭოში

კრედიტი აჭარისტანის საბჭოთა მამულებისათვის

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაავალა საქართველოს სას.-სამ. — ბანკს აჭარისტანის საბჭოთა მამულების მმართველობას სეზონური სამუშაოთა შესასრულებლად გაუხსნას 30.000 მან. კრედიტი.

სამთო-სატეხნიკო შრომის ინსპექციის 1928-29 წ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა

შრომის სახ. კომისარიატის სამთო-სატეხნიკო შრომის ინსპექციის დამატებითი ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდა 4.352 მან. რაოდენობით.

საქარხნო - საფაბრიკო და სასოფლო - სამეურნეო შრომის ინსპექციების ხარჯთაღრიცხვა

შრომის სახ. კომისარიატის საქარხნო - საფაბრიკო და სასოფლო - სამეურნეო შრომის ინსპექციის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა 64.407 მან. რაოდენობით.

სპეცმეთოდისტების ხელფასი

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ საგანაკვეთო კომისიის დადგენილება განათლების სახ. კომისარიატის ინსტრუქტორების (სპეცმეთოდისტების) ხელფასის (თვეში 180 მან.) გადიდების შესახებ

წყალსადენის გაყვანა ტიბაანის თემსაბჭოში

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დააკმაყოფილა კახეთის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა ტიბაანის თემსაბჭოსათვის წყალსადენის გასაყვანად საჭირო 10.898 მან. თვითდაბეგვრის წესით შეკრების შესახებ.

საკავშირო სინდიკატების საბჭოს საქართველოს ბიურო

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო საკავშირო სინდიკატების საქართველოს ბიუროს არსებობა ა.-კ.-ის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამით.

თივის რეალიზაციის წესი

ფურაჟის გასაყიდი ფასის გადიდების თავიდან ასაცილებლად სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო თივის მომარაგების საქმე გატარდეს დამამზადებელ და შემომზიდველ ორგანიზაციების საშუალებით.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. მიქაძის მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების მდგომარეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ კავშირების ცენტრ. გამგეობები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეს, რაც სჩანს იქიდან, რომ თითქმის არც ერთ კავშირს (მცირე გამონაკლისით) არ ჩაუტარებია წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწორი აღრიცხვა. არ შეუდგენიათ აგრეთვე კონკრეტული გეგმა ამ საქმის ჩასატარებლად, არაა მოგვარებული სალიკვიდაციო სკოლებისა და პუნქტების ქსელის საკითხი და სხვა.

ამის გამო წინადადება მიეცა ყველა კავშირების ცენტრ. გამგეობებს დაუყონებლივ შეუდგნენ ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების დირექტივების ცხოვრებაში გატარებას და სათანადო ცნობები წარადგინონ კულტგანყოფილებაში.

ბიბლიოთეკების მომუშავეთა გადასამზადებელი კურსები

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, რათა მათ მიიღონ სასწრაფო ზომები საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დაუყოვნებლივ შესასრულებლად, ბიბლიოთეკების მომუშავეთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის შესახებ.

კურსების გახსნა შეფარდებული უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავთან.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

21 ოქტომბრისათვის საქართველოში — გასაღებული იყო 6.700.000 მანეთის ობლიგაცია

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ა.-წ. 21 ოქტომბრისათვის მთელს საქართველოში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი გასაღებული იყო 6.700.000 მანეთის რაოდენობით. საკონტროლო ციფრების მიხედვით კი გასაღებული უნდა ყოფილიყო ოთხი მილიონი მანეთის ობლიგაცია.

მაზრების მიხედვით სესხის რეალიზაცია ასეთ სურათს იძლევა:

ახალქალაქის მაზრაში გასაღებულია 53.220 მანეთის ობლიგაცია, **ახალციხის**—120.570 მანეთის, **ბორჩალოს**—63.780 მან., **გორის**—400.395 მან., **თბილისის** (ქ. თბილისის გამოკლებით)—60.420 მან., **კახეთის**—134.430 მან., **ქუთაისის** მაზრაში—512.525 მან., **რაჭა-ლეჩხუმის**—67.175 მან., **სენაკის**—101.035 მან., **ზუგდიდის**—87.910 მ., **შორაპნის**—175.000 მან. და **ოზურგეთის**—89.300 მანეთის.

აფხაზეთში, აჭარისტანში და **სამხრეთ-ოსეთში** სესხი გასაღებულია—894.010 მანეთის რაოდენობით. აქედან: **აფხაზეთში**—312.000 მანეთის, **აჭარისტანში**—531.465 მან. და **სამხრეთ-ოსეთში**—50.545 მანეთის.

კერძოდ ქ. თბილისში გასაღებულია 3.846.560 მან. და ქ. ფოთში—93.290 მანეთის ობლიგაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საკონტროლო ციფრი საქართველოში დაფარულია გადაჭარბებით, სესხის რეალიზაციის კამპანია დამთავრებული არ არის და იგი წარმატებით მიმდინარეობს.

საბჭოთა აღმშენებლობა სამხრეთ-ოსეთში

(საუბარი სამხრეთ-ოსეთის ცაკ ის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯატიევთან)

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ჯატიევმა სამხრეთ-ოსეთში წარმოებულ აღმშენებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

წელს სამხრეთ-ოსეთის მთიან ადგილებში პირველად ტარდება საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები. ნაწილობრივი არჩევნები ჩატარებული იქნება 6 რაიონში. რამდენიმე რაიონში არჩევნები უკვე დამთავრდა. მიუხედავად ს.-შემოდგომო მუშაობისა, არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს. იმ რაიონებში, სადაც არჩევნები უკვე ჩატარებული იქნა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 70 პროცენტმა. საარჩევნო კრებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ღარიბესი გლეხები. აგრეთვე აღსანიშნავია ნაწილობრივ არჩევნებში ქალების ფართე მონაწილეობა და მათი დაინტერესება არჩევნებით.

განსაკუთრებული სიცხოველით მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანია. საორიენტაციო ციფრის თანახმად სამხრეთ-ოსეთში უნდა გავრცელებულიყო სულ 45.000 მანეთის ობლიგაციები ნამდვილად კი მარტო მუშა-მოსამსახურეებში დღემდე გავრცელებულია 50.000 მანეთის ობლიგაციები. გლეხებში ობლიგაციების გავრცელება დაიწყო მოგვიანებით. გლეხებში გავრცელებული იქნა ობლიგაციები 10.000 მანეთის რაოდენობით. ობლიგაციები უფრო მეტი რაოდენობით იქნებოდა გავრცელებული გლეხებში, რომ მოსავალი კარგი ყოფილიყო. მთიან ადგილებში, სადაც მხოლოდ ქერი ითესება, მოსავალი მეტად მცირეა, დაბლობ რაიონებში ქერის მოსავალი საშუალოა, პურის—საშუალოზე ნაკლები.

საერთოდ წელს სამხრეთ - ოსეთში ხორბლეულის ცუდი მოსავალია, რისთვისაც გლეხებს თავის დროზე უნდა გაეწიოს დახმარება, რომ გაზაფხულისათვის საჭირო თესლი არ მოაკლდეთ.

შემოდგომის თესვის კამპანია ვერ ტარდება განზრახული გეგმით, რაც გამოწვეულია სათესლე მასალის ნაკლებობით შემოდგომის თესვის საჭიროებისათვის ცენტრიდან სულ მივიღეთ 6.000 ფუთი თესლი და ისიც დაგვიანებით, ასე, რომ მოსალოდნელია უკვე დახნული მიწების საგრძნობი ნაწილი დარჩეს დაუთესავი. სასოფლო - სამეურნეო მანქანები საკმაო რაოდენობით მივიღეთ, ხოლო დაუკმაყოფილებელი დარჩა მოთხოვნილება ტრაქტორებზე. წელს ცენტრიდან მივიღეთ მარტო ერთი ტრაქტორი. ამჟამად მთელ სამხრეთ - ოსეთში მუშაობს 3 ტრაქტორი.

გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის ბიუჯეტი გადიდებულია 18 პროცენტით, რაც მთლიანად მოხმარდება სასოფლო მეურნეობის გაძლიერებას და განათლების საქმეს.

რაც შეეხება აღმშენებლობის საქმეს, ამ მხრივ, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ცხინვალში შენდება სრულიად ახალი უბანი წინასწარ შემუშავებულ გეგმით. ორთავისა და ოქონის რაიონებში გაიხსნა კარგად მოწყობილი საავადმყოფოები, თვით ცხინვალში მოეწყო ამბულატორია, ცხინვალშივე გასულ საანგარიშო წელში მუშა - მოსამსახურეებისათვის აგებული იქნა 32 სახლი, ამჟამად კიდევ შენდება 4 სახლი. იქვე ეწყობა ხე-ტყის კომბინატი, წელსვე აგებული იქნება კულტურის სახლი და სხ.

გასულ წელს აგრეთვე სწარმოებდა გორი—ცხინვალი — როკის გზატკეცილის გაყვანა, რომლის როკამდე გაგრძელება შეუძლებელი გახდა სათანადო კრედიტების მიუღებლობის გამო. ამჟამად ამ გზაზე სწარმოებს ბეტონის სამი ხიდის აგება. ხიდები აგებული იქნება მდ. ფაწაზე, ლიახვზე, და ქსანზე. მდ. ფაწაზე ხიდს ექნება 50—60 მეტრი სიგრძე და სიმაღლე 19 მეტრი. ეს ხიდი პირველი იქნება მთელ სამხრეთ - ოსეთში თავის სიდიდით და კაპიტალური ნაგებობით.

საანგარიშო წელში დამთავრდა კუდარის ტყვია-ცინკის მადნების გამოკვლევა. საგამოკვლეო კომისიის დასკვნით კუდარის ტყვია-ცინკის მადნები საუკეთესო თვისებისაა და მათი მარაგიც დიდია. განზრახულია მიმდინარე წელში დაიწყოს ამ მადნების ექსპლოატაცია რისთვისაც შესაფერი მუშაობა უკვე სწარმოებს, გარდა ამისა, ოქონისა და ახალგორის რაიონებში ინჟ. ფლორინსკიმ აღმოაჩინა მარმარილოს, ლითოგრაფიულ და სხვა ძვირფასი ქვების მდიდარი ბუდობები. ახალგორის რაიონშივე აღმოჩენილი იქნა ე. წ. მთის ფისი. უკვე დამთავრდა ტუფის ბადების შესწავლა. კომისიის დასკვნით ტუფის მარაგი ისე დიდია, რომ შეიძლება მისი დიდი რაოდენობით გატანა საბჭ. კავშირის სხვა რესპუბლიკებშიაც. ტუფი გამოსადეგია სახლების ასაგებად და ფასადებისათვის. ტუფის ქვა არის ლურჯი, წითელი, შავი, ყვითელი და სხვა ფერის, გარდა სილამაზისა, ტუფის ქვა მეტად გამძლეა და მსუბუქი.

ამ მადნების დამუშავების პროექტები ამჟამად მუშავდება საქ. სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საქ. წყალთა - მეურნეობის სამმართველო არავითარ მუშაობას არ აწარმოებს ადგილობრივ მელიორაციის დარგში; სავსებით არაფერი არ კეთდება, რაც თავის დროს ასეთ მთელ მხარეს. აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: წელს სამხრეთ-ოსეთში დიდი გადასახადების გამო, სოფლებში იხურება კერძო სავაჭროები. კერძოდ, ახალ-გორში უკვე დაიხურა ყველა კერძო სავაჭრო. რა თქმა უნდა, ეს გარემოება თავის თავად მეტად სასიხარულოა, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია კოოპერატივების დაარსება, რომ მოსახლეობას შესძლოს პირველი საჭიროების ნაწარმოების დაკმაყოფილება. კოოპერაცია სამხრეთ - ოსეთში კი ჯერ - ჯერობით მეტად სუსტია, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ხალხს.

საჰაერო ხაზი თბილისი-სოხუმი-კრასნოდარი

თბილისში ჩამოვიდა სამოქალაქო ავიაციის ინსპექციის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს მომავალი საჰაერო ხაზის მიმართულების გამოკვლევა და შესწავლა თბილისიდან კრასნოდარამდე. კომისიაში შედიან — სამოქალაქო ავიაციის ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. ლ. პოპოვი, „უკრავოზდუხპუტ"-ის წარმომადგენელი ამხ. ბ. ქებურია, სამხედრო - საჰაერო ძალთა სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ნ. ლოგინოვი და საჰაერო გზათა უფროსი ამხ. ვ. ბოკაე.

აღნიშნული საჰაერო ხაზის მოწყობის შესახებ კომისიის წევრებმა ჩვენს თანამშრომელს გადასცეს:

— ჩვენ დავალებული გვაქვს გამოვიკვლიოთ ყველა ის ადგილები, სადაც მოწყობილი უნდა იქნეს ჰაეროპლანების დასაშვები ადგილები და აეროდრომები. თბილისიდან პირველი დასაშვები ადგილი მოწყობილ უნდა იქნეს ხაშურში, ან სურამში. შემდეგ ქუთაისში მოეწყობა აეროდრომი. ზუგდიდში და ოჩემჩირეში დასაშვები პუნქტი, სოხუმში აეროდრომი, შემდეგ დასაშვები პუნქტი—ტუაპსეში, გაგრაში. სად. კომსომოლსკაიასთან და კრასნოდარში აეროდრომი. აეროპლანების ფრენა, მაშასადამე იწარმოებს შემდეგი მარშრუტით: თბილისი — ხაშური — ქუთაისი—ზუგდიდი — ოჩემჩირე — სოხუმი—გაგრა — ტუაპსე — კომსომოლსკაია და კრასნოდარი, აქედან მანქანები გაფრინდებიან მოსკოვისაკენ უკვე არსებული მიმართულებით.

კომისიას ამასთანავე დავალებული აქვს ეს გამოკვლევითი სამუშაოები დასრულოს ერთ კვირაში. კომისიის დასკვნა წარდგენილი იქნება სამოქალაქო ავიაციის საბჭოში, სადაც საკითხის გადაწყვეტისთანავე დაიწყება პრაქტიკული სამუშაოები აეროდრომებისა და დასაშვებ მოედნების მოსაწყობათ.

— სამოქალაქო ავიაციის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს რაც შეიძლება დაჩქარებით გახსნას მოძრაობა თბილისიდან კრასნოდარამდე. უეჭველ შემთხვევაში 1-ლი იანვრიდან უნდა დაიწყონ ფრენა აეროპლანებმა. გადასაფრენი ფასი იქნება დაახლოებით კილომეტრზე 5 კაპ., ე. ი. იმდენივე, რამდენიც ღირს რკ. გზის რბილი ვაგონით მოგზაურობა. დასაშვებ პუნქტებზე აეროპლანები არ შეჩერდებიან, თუ ამისი აუცილებლობა არ იქნა.

კრასნოდარიდან ხაზის გამოკვლევის შემდეგ კომისია კვლავ თბილისში დაბრუნდება.

ტფ. ახალი წყალსადენი

ამიერ - კავკასიის ტეხნიკურ - სამშენებლო კომიტეტის პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ახალი წყალსადენის გაყვანის შესახებ თბილისში. ამიერკავკასიის ტეხნიკურ - სამშენებლო კომიტეტის წევრების გარდა სხდომაზე დაესწრნენ ა.-კ. საგეგმო კომისიის, საქართველოს საგეგმო კომისიის, ა.-კ. შრომის კომისარიატის, საქ. ჯანსახკომის, თბილისის აღმასკომის, თბილისის ახალ წყალსადენის გასაყვან სამუშაოების სამმართველოს წარმომადგენლები და 8 კონსულტანტი - ინჟინერი.

პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ თბილისში ამჟამად არსებულ წყალსადენს არ შეუძლია მილიონ-ნახევარ ვედროზე მეტი წყალი მიაწოდოს ქალაქს დღე-ღამეში; ეს რაოდენობა კი საკმარისი არ არის, მილები გაცვეთილია, წყალის თვითღირებულება ამჟამად თბილისში მეტად დიდია. ვინაიდან აუცილებელი ხდება წყალსადენის გაცვეთილ ნაწილების აღდგენა და ხელ-ახლა მოწყობა. წყალსადენის სიმძლავრე არ შეეფერება ქალაქის გაძლიერებულ მოთხოვნილებას წყალზე, რაც გამოიხატება 2.450.000 ვედრო წყალში დღე-ღამის განმავლობაში.

შემდეგ პლენუმმა აღნიშნა, რომ ნატახტარის წყაროები, საიდანაც გამოყვანილი იქნება ახალი წყალსადენი, სავსებით საიმედოა იმ მხრივ, რომ თბილისი მიიღებს წყალის საჭირო რაოდენობას. მიწის ქვეშა ნაკადი, რომელიც წყალს აწვდის ნატახტარის წყაროებს, თვალსაჩინოთ აღემატება თბილისისათვის მომავალი განვითარების დროს საჭირო 7-8 მილიონ ვედრო წყალს დღე-ღამეში. წყალსადენის სათადარიგო აუზები მოთავსებული იქნება დრმა-ღელეში.

პლენუმმა ახალი წყალსადენის გაყვანისათვის საჭირო პირველი რიგის სამუშაოების ღირებულება განსაზღვრა 9936000 მანეთით, ხოლო მეორე რიგის სამუშაოები — 5.320 000 მანეთით.

მეტეოროლოგიური ექსპედიცია მყინვარ წვერზე

ყაზბეგიდან თბილისში დაბრუნდა მყინვარწვერზე გაგზავნილი რადიოექსპედიცია. ღრუბლიანი და ცუდი ამინდის გამო ექსპედიციამ მყინვარ წვერზე ასვლა და იქ რადიო სადგურის დადგმა გადასდო მომავალი ზაფხულისთვის.

ექსპედიციის ტეხნიკურ ხელმძღვანელს ს. ჯაფარიძეს განზრახული აქვს ავიდეს მყინვარ წვერზე, აიტანოს სხვადასხვა მეტეოროლოგიური მოწყობილობანი და მწვერვალზე დადგას საქართველოს გეო-ფიზიკური ობსერვატორიის მეტეოროლოგიური ბუდრუგანა.

ყაზბეგში მეტეოროლოგიური დაკვირვებების ჩასატარებლად დარჩა რადიო-ექსპედიციის ორი მონაწილე —ალექსანდრა ჯაფარიძე და ევასია კალანდარიშვილი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მეტეოროლოგიურ ექსპედიციაში.

მეტეოროლოგიური ექსპედიციის ასვლას ხელმძღვანელობას გაუწევს ს. ჯაფარიძე, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება ყაზბეგში.

შემოდგომის თესვა

ბრძოლა მავნებლებთან

სექტემბერ-ოქტომბერში მიწსახკომთან არსებულ მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ სიმინდის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა ჩაატარა რაჭის მაზრაში. ამავე მაზრაში შემოდგომის თესვის კამპანიის საჭიროებისათვის დაწამლა 22962 ფუთი სათესლე ხორბალი.

ბიურომ აგრეთვე სათესლე მასალის დაწამვლის კამპანია ჩაატარა გორის და კახეთის მაზრებში. ორივე მაზრაში ფორმალინით მოწამლული იქნა 600 ტონა ხორბალი. პირველ რიგში ხორბალი დაწამლული იქნა იმ მეურნეობებისათვის, რომლებთანაც დადებულია კონტრაქტები, შემდეგ კოოპერირებულებისათვის და ღარიბთა მეურნეობებისათვის.

დანარჩენ მაზრებში გაგზავნილი იქნა ფორმალინი; იქ სათესლე მასალის დაწამვლას აწარმოებენ ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციები.

ტრაქტორისტები კახეთში

ტრაქტორზე მომუშავეთა მოსამზადებელ კურსების მსმენელები უკვე დაბრუნდნენ ყარაიიდან და გაიგზავნენ კახეთში პრაქტიკული მუშაობის [illegible]. კურსანტები დაყოფილი არიან ჯგუფად და მუშაობენ [illegible] რაიონებში. პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად მაზრაში გაგზავნილია ტრაქტორები საჭირო რაოდენობით.

ნარჩენების გამოყენების საქმის მოწესრიგება

ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატთან შესდგა ფართო თათბირი ამიერ-კავკასიაში ნარჩენების შეგროვებისა და მისი უტილიზაციის საქმის მოსაწესრიგებლად. თათბირში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატის, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საქციო საზ-ბის, ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატის, საქ. ვაჭრობის სახკომისარიატის, აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ყოველგვარი ნარჩენები, როგორიცაა ჩვრები, ძვლები, ნაცარი, ძველი [illegible], ძველი სახვევი ქაღალდი, ძველი ფეხსაცმელები და ტყავის ნაჭრები, თუნუქის ყოველგვარი კოლოფები და ნაჭრები, ძველი კინო-ლენტები და მრავალი სხვა, რომელიც ბლომად გროვდება ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში და კერძო სახლებში უსარგებლოდ იყრება და იკარგება. ამ ნარჩენების მოგროვებას და უტილიზაციას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ამიერ-კავკასიაში სასირცხვილო საქმედაც არის მიჩნეული ასეთი ნარჩენების შეგროვება. დასავლეთ ევროპაში—კი სახალხო მეურნეობის ამ დარგს უდიდესი ყურადღება ექცევა, ყოველგვარ ნარჩენზე დიდი მოთხოვნილებაა და იგი კარგ ფასებშიაც [illegible].

ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ მარტო ძველი ჩვრების ექსპორტმა 1925—26 წ. მოგვცა 2.600.000 მან., 1926-27 წ.—4500000 1927—28 წ:—6.200.000 მან. 1928—29 წელს—კი განზრახულია 10000000 მან. ჩვრების დამზადება. ძვალი განზრახულია დამზადდეს რამდენიმე მილიონ მანეთის, ძველ სახვევ ქაღალდზე და ქაღალდის ყოველ ნაჭრებზე დიდი მოთხოვნილებაა პოლონეთში. ეს უკანასკნელი მზადაა შეკრას სათანადო ხელშეკრულება 6000 ტონა ძველ ქაღალდზე. ნაცარი ფასობს 13 დოლარი ტონა, ძვალი 40 მან. ტონა, ძველი ტყავის ნაჭრები 100 დოლარი ტონა, სახვევი ქაღალდი 100 სტერლინგი ტონა და სხვ.

ამ ახალ საქმეში აუცილებლად უნდა იქნან ჩაბმული უმუშევრები. ამ მხრივ მოსკოვსა და ლენინგრადში უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. იქ შრომის ბირჟებთან დაარსებულია უმუშევართა სპეციალური კოლექტივები, რომლებმაც უკვე გაშალეს მეტად ნაყოფიერი მუშაობა.

თათბირმა მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის საქმის განვითარება ამიერ-კავკასიაში და ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა საკითხების გამოსარკვევად აირჩია კომისია ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატის, ს. მ. უ. საბჭოს, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საქციო საზ-ბას და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატთან დაარსდეს მუდმივი კომისია, რომელსაც დაევალება ყველა საკითხების მოგვარება, რომელიც დაკავშირებული იქნება სახალხო მეურნეობის ამ დარგის მოწესრიგება-განვითარებასთან.

ყოფ. სახლის პატრონის თავხედობა

(მილიციის საყურადღებოდ)

ყოფილი სახლის მეპატრონე ცხენოვსკაიას ქვრივი თავისი ამქრებით [illegible]. მართალია, მას სახლი ჩამოერთვა, მაგრამ ის ისევ ძველებურად განაგრძობს მობინადრეთა შევიწროვებას და მათ ცემა-ტყეპას. ამის შესახებ უკვე იყო ერთი წერილი მოთავსებული გაზეთში, მაგრამ მას არაფერი შედეგი არ მოჰყოლია. ცხენოვსკაიას ქვრივმა, ბინის გაფართოებისა და შენარჩუნების მიზნით თავისი ქალიშვილი, რომელიც მასთან სცხოვრობს [illegible], მეორე სართულიდან მესამე სართულზე აიყვანა, ხოლო ვაჟი, ქალიშვილის ოთახში ჩაასახლა. ვაჟის ოთახი კი გადასცა თავის ძმისწულს.

ცხენოვსკაიას ასეთ საქციელში ხელს უწყობს [illegible] ოტია ლორთქიფანიძე. ოტია ამ შემთხვევაში ნაფიც ვექილის როლს ასრულებს და ამართლებს იმას, რომ ცხენოვსკაია თავის ამქრებით [illegible] სახლში მდგმურებს და ამტვრევს ცხვირ-პირს. ხშირად თითონ ოტიაც ღებულობს მდგმურების დარბევაში მონაწილეობას.

გასულ წელს ცხენოვსკაიამ მდგმურებს წაართვა აბაზანის ოთახი და, სტუდენტს მიაქირავა. წელს სტუდენტსაც წაართვა ეს ოთახი: სტუდენტის სახლში არ ყოფნის დროს გააღეს ოთახი, საოჯახო ბარგი მიყარ-მოყარეს და გალახული სტუდენტი გარეთ გამოისტუმრეს. ეს მოხდა სახლის ჩამორთმევის შემდეგ. [illegible] სტუდენტმა მიმართა მეორე უბნის მილიციას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

როდის მოეღება ბოლო ცხენოვსკაიასა და ოტია ლორთქიფანიძის თავისუფალ თარეშს?

ხელს აწერს 16 მდგმური.

ქრონიკა

სამრეწველო კოოპერაციის საკავშირო თათბირი

დღეს, 24 ოქტომბერს დღის 11 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნება სამრეწველო კოოპერაციის საკავშირო თათბირი, ხალიჩა - ნოხების ქსოვის საკითხების შესახებ.

ა.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიაში

26 ოქტომბერს შესდგება ა-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ა-კ. ს.ფ.ს.რ. და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ; ა-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის 1928-29 წლის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საქონლის გაცემის წესის გამარტივება

ამ.-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა თავის საწყობებში შემოიღო საქონლის გაცემის ახალი წესი. რამდენიმე დღის ნაცვლად, საქონლის გაცემა ხდება 20-30 წუთში. ამ ხნის განმავლობაში კლიენტს შეუძლია მიიღოს ყველა საბუთი და ანგარიში. ამ ღონისძიების წყალობით შესაძლებელი გახდა შტატის და ხარჯის შემცირება და სხვადასხვა ინსტანციის განთავისუფლება მუშაობისაგან.

ქიმიური ქარხანა

ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილება შეუდგა საქართველოში ახალი ქიმიური ქარხნის მოწყობის საკითხის დამუშავებას. ქარხანამ უნდა დაამზადოს ხელოვნური სასუქები სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის.

საქართველოში ასეთი ქარხნის ასაგებათ გამოყენებული იქნება ზაჰესის და რაიონჰესის იაფი სეზონური ენერგია. ქარხნის აგების ეკონომიურ და ტეხნიკურ საკითხებს შეისწავლის ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილებასთან დაარსებული სპეციალური კომისია.

ქარხნის აგება განზრახულია დასავლეთ საქართველოში.

მოზარდთა მდგომარეობის გამოკვლევა

რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებს დაევალა ჩაატარონ მოზარდთა ჯავშანის მდგომარეობის გამოკვლევა საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობაში.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი სათანადო ორგანოების წინაშე აღიძრას შუამდგომლობა მრეწველობის აღნიშნულ დარგებში ჯავშანის გადიდებული ნორმების დაწესების შესახებ.

რკინისგზელთა ექსკურსია შორეულ აღმოსავლეთიდან

გუშინ თბილისში ჩამოვიდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზელთა ექსკურსია 46 კაცის შემადგენლობით. ექსკურსიაში შედიან ჩინელი რკინისგზელებიც.

აგრონომების ექსკურსია

მიწად - მოქმედების კომისარიატმა მიწა-ტყის კავშირთან ერთად მოაწყო და ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნა სოფლად მომუშავე აგრონომების ექსკურსია. ექსკურსიაში შედის 16 აგრონომი. ექსკურსიას ხელმძღვანელობს აგრონდახმარების ინსპექტორი **ჯაფარიძე.**

ექსკურსიის მონაწილენი გაეცნობიან აგრონდახმარების საქმეს და კოლექტიურ მეურნეობების მუშაობას.

თბილისის აღმასკომში

◆ **დიფტერიტისა და ხუნაგის** წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 14 ათასი მანეთი.

◆ **პოლიტგანის გამგეთ** დაინიშნა ამხ. სოსიანი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა ვერის ხიდიდან მუხრანის ხიდამდე სანაპირო გზის დამთავრების შემდეგ გაიყვანოს ტრამვაის ხაზი.

◆ **ავლაბრის თეატრი.** კომუნალური განყოფილება შეუდგა მუშათა ახალი თეატრის აგებას ავლაბარში.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობაში

◆ **ლიკპუნქტები სვანეთში.** პოლიტგანათლების მთავარი მმართველობის ცნობით სვანეთში წ.-კ. უცოდინარობასთან საბრძოლველად დამატებით გაიხსნება 5 სკოლა.

სხვადასხვა

◆ **კასპში ცემენტის ქარხნის** ასაგებათ საკავშირო თანხებიდან გადადებულია 3 მილიონი მანეთი.

◆ **კალოშები.** მუშკოოპმა მიიღო და თავის მაღაზიებს შორის გაანაწილა 10.000 წყვილი კალოში.

◆ **თბილისი - ბათომი.** დამთავრდა სატელეფონო ხაზის გაყვანა თბილის - ბათომს შუა.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სახ. კონსერვატორიაში** დღეს, დღის 12 საათზე გაიმართება სანიმუშო კონცერტი სვანეთიდან ჩამოსულ გლეხთა გუნდისა და დამკვრელების მონაწილეობით.

◆ **რუსთაველის თეატრის** საკონცერტო დარბაზში 26 ოქტომბერს გაიმართება ნიჟალსკაიას კონცერტი.

კინო

საქ. კინო-მრეწველობის პერსპექტივები

უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით „ელისოს" და „პირველი კორნეტი სტრეშნევის" გამოშვების შემდეგ, მთელი, როგორც ადგილობრივი, ისე მოსკოვის პრესა აღნიშნავს გადამწყვეტ გარდატეხას სახკინმრეწვის მუშაობაში.

ამასთან დაკავშირებით სახკინმრეწვის დღევანდელი საქმიანობისა და საქართველოს კინო-მრეწველობის მომავალი პერსპექტივების შესახებ წარმოების დირექტორად ახლად დანიშნულმა ამხ. **ბრუსილოვსკიმ** ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

სახკინმრეწვმა, რომელიც ოდესღაც სამაგალითო კინო-ორგანიზაციად იყო მიჩნეული საბჭოთა კავშირში, შემდეგში ვერ გაამართლა საბჭოთა საზოგადოებრიობის იმედი და განვითარების მაგიერ, დაქვეითების გზას დაადგა.

ამის მიზეზი მრავალია. მაგრამ მთავარი, რაც აფერხებდა საქართველოს კინო-მრეწველობის განვითარებას, ეს იყო უგეგმობა და წარმოების მოუწესრიგებლობა. წარმოება დღემდე არ იყო ჩამოყალიბებული მტკიცე ორგანიზაციულ ფორმებში. მას არ ყავდა მთლიანი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც სათანადო კონტროლს გაუწევდა მის მოქმედებას ყველა დარგებში და გეგმიან საფუძველზე დააყენებდა მუშაობას.

კონტროლის და საერთო ხელმძღვანელობის სისუტემ ხელი შეუწყო წარმოებაში ჩაბმულ მუშაკების უპასუხისმგებლობას. ამის გამო, წარსულში ადგილი ჰქონდა დროს გაცდენას (იყო შემთხვევა, როდესაც რეჟისორები 6 თვის განმავლობაში უსაქმოდ დადიოდნენ), დადგმის კალენდარული გეგმის დარღვევას და სურათის გადაღების გაჭიანურებას. რეჟისორები ხშირად ყოველგვარ გეგმის გარეშე მუშაობდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც ექსპედიცია პროვინციაში უსცენაროთ გაემგზავრა. არ სწარმოებდა ჩატარებული მუშაობის შემოწმება და აღრიცხვა. არ იყო გატარებული სამუშაოს მტკიცე განაწილება წარმოების დარგებს შორის.

ამასთანავე ფაბრიკის ტეხნიკური მოწყობილობაც მეტად არადამაკმაყოფილებელი იყო. სხვას, რომ თავი დავანებოთ, ფაბრიკას ხეირიანი შენობაც არ მოეპოვებოდა, სადაც შეიძლებოდა სურათის გადაღება. სურათის გადაღება სწარმოებდა სახელდახელოდ აგებულ ატელიეში და გადაღების მთელი პროცესიც მეტად პრიმიტიული იყო. ეს აძვირებდა სურათს და ადიდებდა ხარჯთაღრიცხვას. ამის გამო ფაბრიკის პროდუქციაც მეტად არადამაკმაყოფილებელი გამოდიოდა, როგორც ტეხნიკური შესრულების მხრივ, ისე იდეოლოგიური თვალსაზრისითაც.

წარმოების გასაჯანსაღებლად საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება და ამ მიმართულებით გადაიდგა საჭირო ნაბიჯი. ამჟამად ფაბრიკაში გატარებულია ცენტრალიზაცია. ფაბრიკის მთელი საქმიანობა ექვემდებარება ერთ ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც სასტიკ კონტროლს უწევს ცალკე დარგების მუშაობას. შემოღებულია მტკიცე გეგმიანობა. გაყვანილია საზღვარი ფაბრიკის ცალკე დარგების მოვალეობა — საქმიანობაში, მიღებულია ზომები მომუშავე აპარატის, განსაკუთრებით სარეჟისორო ჯგუფების ნორმალურად დატვირთვისათვის: თვითეულმა სარეჟისორო ჯგუფმა უნდა შესძლოს 1 ნახ.—2 დადგმის განხორციელება წლის განმავლობაში.

გადადგმულია საჭირო ნაბიჯები ფაბრიკის ტეხნიკური მოწყობილობის გასაუმჯობესებლადაც. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ახალი კინო-ატელიეს აგება. ეს ატელიე თავისი მოწყობილობით ერთ-ერთ საუკეთესო ატელიეს წარმოადგენს მთელ საბჭოთა კავშირში. ატელიე უკვე თითქმის დასრულებულია. ამასთანავე შეძენილია და უკვე მიღებულიცაა საზღვარ-გარეთიდან ეგრედ წოდებული „ანრე დებრის მექანიკური ლაბორატორია". ეს ლაბორატორია კინო-ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს და პირველია მთელს საბჭოთა კავშირში. ის დიდათ გააიაფებს და გაამარტივებს ფილმების ლაბორატორიულ დამუშავებას და საგრძნობლად გაადიდებს ფაბრიკის პროდუქციას.

მთავარი ყურადღება ამჟამად მიქცეულია სურათების მხატვრულ და იდეოლოგიურ მხარეზე. წარმოებამ საბოლოოდ უარყო ძველი გზა, რომელიც აახლოვებდა სახკინმრეწვს ხანჟონკოვის და რუსეთის სხვა, რევოლიუციის წინადროინდელ ფირმებთან. სახ. კინმრეწვთან შექმნილია სამხატვრო საბჭო, რომელიც კონტროლს უწევს სურათების მხატვრულ და იდეოლოგიურ მხარეს. დაარსებულია სასცენარო განყოფილება და სახელოსნო. მუშავდება თემატიური გეგმა. ნაწილობრივ ის უკვე შემუშავებულია და დაწყებულია სცენარების დამუშავება და თვით სურათების გადაღებაც. სულ განზრახულია 26 სურათის დადგმა. ამათში ნაწილი შეეხება საბჭოთა სოფლის დღევანდელ ცხოვრებას, ნაწილიც კოოპერაციის მუშაობას და მრეწველობას. დანარჩენების შინაარსი შეეხება კულტურულ რევოლიუციას და საბჭოთა ყოფა-ცხოვრებას, რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლას, საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობას და სხვა. ამას გარდა განზრახულია რამდენიმე კულტურული ფილმების დადგმაც.

სერიოზული ყურადღება მიექცა აგრეთვე ფართე საზოგადოებრიობის შექმნას, რისთვისაც განზრახულია სურათების წინასწარი, საზოგადო განხილვის და სისტემატიური დისკუსიების მოწყობა და ფართე პროლეტარული მასების ჩაბმა ამ მუშაობაში.

ქუთაისი

მიწების ჩამორთმევა

ქუთაისი, 23 ოქტომბერი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სადგილ - მამულო განყოფილების კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა 1922 — 23 და 24 წლების რეფორმების დროს დარჩენილი დეფექტების გამოსწორება, ოთხი თვის განმავლობაში გამოიკვლია 14 თემი. გამოკვლევას შედეგად მოჰყვა ის, რომ ყოფილ თავად-აზნაურებს, ვაჭრებს, სასულიერო პირებს და სხვებს ჩამორთმევათ უკანონოთ მითვისებული 1.073 დესეტინა. ყველაზე უფრო მეტი ჩამორთმეული მიწა ყოფილ თავად-აზნაურებს ეკუთვნოდა. (ადს).

გზების შეკეთება დასავლეთ საქართველოში

ქუთაისი, 22 ოქტომბერი. გზატკეცილების სამმართველოს მიერ გათვალისწინებული გეგმა დასავლეთ საქართველოს გზების შეკეთების საქმეში, შესრულებულ იქნა 100 პროცენტით. სავსებით შეკეთებულ იქნა შემდეგი გზები: ქუთაისის — მამისონის უღელტეხილი, (ოსეთის სამხედრო გზა)—168 კილომეტრი, ქუთაის — აბასთუმანი—91 კილომეტრი, ქუთაისი—ხონი — 26 კილომეტრი, და ქუთაის — წყალტუბო—14 კილომეტრი. (ადს).

ახალი ჟურნალი

ქუთაისში გამოვიდა პირველი ნომერი პერიოდული ჟურნალის „პროლეტარული მწერლობა" — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ორგანო. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ანაზარდი, ბესოშვილი, ჩიანელი, მუშა და კომკავშირელი მწერლები. (ადს)

პროფსკოლები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან ქვემოდასახელებულ კავშირებთან იხსნება პროფესიონალური სკოლები ქართულ და რუსულ ენებზე.

თითო სკოლა იხსნება მელითონეთა, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა, კომუნალურ მეურნეობის, რკინისგზელთა, განათლების მუშაკთა, გემო-კვების, მბეჭდავთა და მედსანშრომის მუშაკთა კავშირებთან.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირისათვის ეწყობა რესპუბლიკანური სკოლა ქართულ ენაზე.

სკოლების ხელმძღვანელებათ დამტკიცებული არიან: ამხ. **მარკმანი, იზრაელი, გოდერძოვი, ელბაქიანი, მინასი, ჯაფარიძე, ბოკუჩავა, ჯიჯაძე** და **გეგენავა.**

სკოლების შემადგენლობა განსაზღვრულია 10—30 კაცამდე. მეცადინეობა გაგრძელდება თვე-ნახევარი, რის შემდეგაც გაიხსნება სკოლები დანარჩენი კავშირებისათვის. პროფსკოლები სამაზრო პროფორგანიზაციებთან არ გაიხსნება.

სასამართლო

ყაჩაღების გასამართლება

სოფელ კუმბატში (წალკის რაიონი) ამ ორი წლის წინად ადგილი ჰქონდა საზიზღარ მკვლელობას.

ადგილობრივმა გლეხებმა, რომლებიც სამუშაოზე მიდიოდნენ, მათ თანასოფლელ **სოფიო ჩამჩიევას** ეზოსთან გავლისას, სახლიდან გაიგონეს ქალის გულშემზარავი კივილი.

გლეხები გაიქცენ ამბის გასაგებად და იმ სახლის კარი, რომელშიაც ქალი ჰკიოდა, გარედან დაკეტილი დაუხვდათ. გლეხებმა შეამტვრიეს კარები და ნახეს ასეთი სურათი: სოფიო ჩამჩიევას გვამი სისხლში სცურავდა. გვამი დასახიჩრებული იყო, ემჩნეოდა 25 ჭრილობა სხვადასხვა ადგილას.

იქვე ახლოს გაშეშებული იდგა ჩამჩიევას მოსამსახურე **ელისაბედ ბალაბანოვა,** რომელმაც გლეხებს განუცხადა, რომ მან არ იცის—ვინ ჩაიდინა მკვლელობა. მას მეორე ოთახში ეძინა და მხოლოდ გათენების შემდეგ გაეღვიძა და ნახა მოკლული სოფიო. აშკარა იყო, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო გაძარცვის მიზნით. სახლიდან წაღებული იყო ხალიჩები და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ეჭვით დაპატიმრებულ იქნა მოსამსახურე **ელისაბედ ბალაბანოვა,** რომლის განცხადება, რომ მას არაფერი გაუგია მკვლელობის და გაძარცვის შესახებ, საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

დაიწყო ძიება. ბალაბანოვის ქალი გადაჭრით უარყოფდა რაიმე მონაწილეობას გაძარცვისა და მკვლელობის მოწყობაში.

გავიდა დრო. მილიციის მიერ მიღებული ენერგიული ზომებით ნაძარცვი ნივთების ნაწილი აღმოჩენილ იქნა იმავე სოფლის მცხოვრებ **დიმიტრი და სიმონ ბოლოთაშვილების** სახლში.

ბოლოთაშვილები დაპატიმრებულ იქნენ. მათი დაკითხვის შემდეგ შეპყრობილ იქნა კიდევ ერთი მათი თანამონაწილე **იაკიმ კარაკეტოვი.**

გამოძიებით დადასტურდა, რომ ეს საზიზღარი მკვლელობა ჩაუდენიათ **იაკიმ კარაკეტოვს** და **სიმონ ბოლოთაშვილს,** ხოლო დიმიტრი ბოლოთაშვილის დანაშაული გამოიხატა ბოროტმოქმედების კვალის დაფარვაში და ნაძარცვი ნივთების გადამალვაში.

თბილისის სამაზრო სასამართლოს სესიამ ამ რამდენიმე დღის წინ ადგილობრივ მოაწყო ყაჩაღების საჯარო გასამართლება.

იაკიმ კარაკეტოვს და სიმონ ბოლოთაშვილს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა. მსჯავრდადებულებს შეეფარდა გასული წლის ამნისტია და დახვრეტა შეეცვალა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით.

დიმიტრი ბოლოთაშვილს ბოროტმოქმედების კვალის დაფარვისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით,

ელისაბედ ბალაბანოვა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—**ა. კალანდაძე,** სახალხო მსაჯულები: **პოპოვი, კოლასოვი,** პროკურორი—**კუპრაშვილი,** მდივანი—**ტატიშვილი.**

—:—

ალექსანდრე ივანოვის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. **კალანდაძის** თავმჯდომარეობით გუშინ გაარჩია სახკინმრეწვის ყოფილ თანამშრომელ **ალექსანდრე ივანოვის** საქმე.

როგორც ვსწერდით, ალექსანდრე ივანოვი 1927 წლის სექტემბრიდან მუშაობდა საქ. კინომრეწველობაში ადმინისტრატორის თანამდებობაზე და ამ ხნის განმავლობაში მას გაფლანგული აღმოაჩნდა 1065 მანეთი.

ივანოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით და გაფლანგული ფულის გადახდა სახკინმრეწვისათვის.

—:—

მიწის კანონის დარღვევისათვის

ბორჯომის უბნის სახალხო სასამართლომ მიწის კანონის დარღვევისათვის გაასამართლა მოქ. **კოტე კოზანაშვილი** და **ილია დიაკონაშვილი.**

კოტე კოზანაშვილმა, რომელსაც ბაკურიანში ხელუხლებლად და უქმად ჰქონდა თავის განკარგულებაში მამული, გადასწყვიტა მისი გაყიდვა ფარულად, რისთვისაც მიმართა ასეთ ოინს.

მან ხელისუფლების თვალის ასახვევად ფიქტიურად მარტო ის ბოსელი გაჰყიდა, რომელიც მამულში ჰქონდა ჩადგმული.

მისი მუშტარი გახლდათ იმავე სოფლის მცხოვრები **ილია დიაკონიშვილი,** რომელმაც ორი ათასი მანეთი აღუთქვა კოზანაშვილს ბოსელის ფასად (!).

კოზანაშვილმა ფულად მიიღო 250 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხის მაგიერ (რომ არავის ეჭვი არ აეღო) „ნატურით" დაიკმაყოფილა თავი. მიიღო ორ ოთახის გასამზადებელი მასალა, 2 ძროხა ხბოებით, ოცი სული ცხვარი და სხვ....

კოზანაშვილის და დიაკონაშვილის ეს ოინი მალე გაიგო ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საბრალმდებლო სკამზე წამოასკუპა ორივე ბოროტმოქმედი: მყიდველიც და გამყიდველიც.

ორთავეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა თვით, გაყიდული მიწა გადაირიცხა ადგილობრივ სახაზინო ფონდში, გარდა ამისა კოტე კოზანაშვილმა 1000 მანეთი უნდა შეიტანოს ბაკურიანის თემაღმასკომის სალაროში.

გერ.

შემთხვევები

დახრჩობა

22 ოქტომბერს მოქ. ევგენია **სოლომონის** ქალმა ალმიბაიამ ძილის დროს უცაბედათ დაახრჩო თავის სამი თვის ბავში ნათელა.

მკვლელობა ზუგდიდის მაზრაში

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჯვარის შარა გზაზე (ზუგდიდის მაზრაში) საღამოს 7—8 საათზე თოფით მოკლეს ზუგდიდის აგროტეხნიკუმის მე-4 კურსის მოწაფე ქალი ფუხუ (იგივე ნინა) ეგუტია. როგორც ზუგდიდიდან გვატყობინებენ მაზრის მილიციის უფროსის **ვ. როგავას** ხელმძღვანელობით მკვლელები უკვე შეპყრობილი არიან.

ისინი აღმოჩნდნენ სოფ. კორცხელის მცხოვრებნი ფუცა (იგივე ვლადიმერი) კოწიას ძე ქობალია და ვარლამ ფილიპის ძე ქობალია. როგორც გამოირკვა. მათ ეგუტია მოუკლავთ გაძარცვის მიზნით. იმავე პირებს ბრალდებათ მგზავრების გაძარცვა წალენჯიხის გზაზე.

დაჯახება

22 ოქტ. დიდუბის ქუჩის კუთხეში ანტონინა ანდრეევას დაეჯახა ფურგონი და დააშავა.

შეპყრობა

22 ოქტომბერს შეიპყრეს ივანე ზაქარიასძე შინგერაშვილი. რომელმაც გიორგი გრიქუროვს ჯიბიდან ამოართვა 77 მ.; ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს მურად გოჯოსძე გუსეინიანი, — მოქ. ტყეშელაშვილის ბინიდან ნივთების მოპარვის დროს შეიპყრეს ოლღა ილიას ასული კოდაჩენკო.

ქურდობა

22 ოქტ. გაქურდეს ივანე გაწერელიას ბინა (გუნიბის ქ. № 23), — ხაჩატურ არუთინოვის ბინიდან (ვერის ბაზარი № 15) მოიპარეს 150 მან. ნივთები, — დიმიტრი არაყიშვილის ბინიდან (ანჩისხატის ქ. № 1) მოიპარეს ოქროს საათი;—გაქურდეს სარქის ყაზაროვის სავაჭრო (კახეთის მოედანი № 12), — გაქურდეს არამ ქეროვიანცის ბინა (პლეხ. პრ. № 139).

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურული მუშაობა მაზრებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **მერკვილაძის** მოხსენება მაზრებში ფიზკულტურული მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა მაზრებში ფიზკულტურული მუშაობის გაჯანსაღების მიზნით მიღებული იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

დაარსებული იქნეს არა უგვიანეს 1929 წ. მარტის თვისა თბილისში ფიზკულტურის კურსები სამაზრო ინსტრუქტორების მოსამზადებლად, რისთვისაც დაევალოს ყველა სამაზრო პროფბიუროს მოავლინონ აღნიშნულ კურსებზე ერთი თვით 1—4 ფიზკულტურელი ახალგაზრდათა აქტივიდან და გაითვალისწინონ ხარჯთაღრიცხვაში თვითეულისათვის 50 მან. სტიპენდია თვეში.

აუცილებლად ჩაითვალოს მოედნების მოწყობა ქუთაისში და აგრეთვე სპორტ-დარბაზების მოწყობა ბათომში, ფოთში, და ქუთაისში, რისთვისაც მიეცეს აღნიშნულ ორგანიზაციებს წინადადება გამონახონ სათანადო თანხა.

ამასთანავე პრეზიდიუმმა დაადგინა სადირექტივო წერილით მიმართოს ადგილებს, რათა მათ გააძლიერონ ფიზკულტურული მუშაობა და ფართო მასების ჩაბმა გასამხედროების საქმეში, რისთვისაც საერთო კულტფონდიდან გადარიცხული უნდა იქნეს ამ მუშაობისათვის 15 პროცენტი. მცირე კავშირების მუშაობა ფიზკულტურის დარგში გაერთიანებული უნდა იქნეს.

კავშირებს წინადადება მიეცა შემოიღონ პრაქტიკაში ბიუროების პერიოდული თათბირების მოწვევა და ჩაატარონ ბიუროების არჩევნები ფიზკულტურის ძირითად უჯრედებში.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა ადგილობრივ პროფკავშირთა ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევის დროს ყურადღება მიაქციონ ამ ორგანიზაციების მუშაობას ფიზკულტურის დარგში.

ლენინგრადი—ნიკოლაევი

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა ლენინგრადის და ნიკოლაევის ნაკრები გუნდების შეჯიბრება ჟურნალ „ფიზკულტურა და სპორტის" ჯილდოს გასათამაშებლად. ლენინგრადის მხრიდან მატჩში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორიც არიან: **სოკოლოვი, ეჟოვი, ბუტუსოვი, ბატირევი** და სხვები.

შეჯიბრება დამთავრდა 5:1 ლენინგრადის სასარგებლოდ. როგორც მოსკოვის პრესა აღნიშნავს, ლენინგრადელები ძალიან უხეშად თამაშობდნენ. მატჩის დროს დაშავდა ნიკოლაევის გუნდის მეკარე, რომელიც უგრძნობ მდგომარეობაში წაიყვანეს საავადმყოფოში.

დოღი

„თურქესტანი"-ს გამარჯვება

19 ოქტომბერს ბაქოს იპოდრომზე გამართულ დოღში, რომელშიაც მონაწილეობდა წმინდა სისხლის 5 ცხენი, პირველი ჯილდო (500 მანეთი) მიიღო საქ. ცხენთსაშენის ცხენმა — „თურქესტან"-მა.

რკინის გზეზე

სპეც-ტანსაცმელის საკითხი

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა 1928—29 წელში რკინის გზის მუშა - მოსამსახურეებისათვის სპეც-ტანსაცმელის დამზადების საკითხი.

გამოირკვა, რომ მიუხედავად გზათა გამგეობის მიერ დაკვეთების თავის დროზე გაცემისა, სათანადო სავაჭრო - საწარმოო ორგანიზაციები წესიერათ არ ასრულებენ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს.

გზათა გამგეობას წინადადება მიეცა 1929 წლის იანვრამდე მისცეს ფულადი კომპენსაცია იმ რკინისგზელებს, რომელთაც ამ დროისათვის ვერ დაურიგდებათ სპეც-ტანსაცმელი.

იმისათვის, რომ მომავალში აღარ განმეორდეს დაბრკოლებები სპეც-ტანსაცმელის დარიგების საქმეში, საგზაო კომისიამ აგრეთვე საჭიროდ სცნო, რათა 1929—30 წლისათვის საჭირო სპეც-ტანსაცმელის დამზადების დაკვეთა გაიცეს 1929 წ. იანვარ - თებერვალში მძლავრ ტრესტებზე

6,000 კუბ. მეტრი შეშა

წნორის - წყალზე დამზადებულია 6,000 კუბ. მეტრი შეშა. მიღებულია ზომები ამ შეშის თბილისში გადმოსაზიდად.

შეშა გაუნაწილდებათ რკინისგზელებს.

ახალი ჩიხი

ჭიათურა - დარკვეთის შუა გაიხსნა ახალი ჩიხი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

საზოგადოება „აერო-არკტიკ"-ის (დირიჟაბლების საშუალებით ჩრდ. ქვეყნების შემსწავლელი საზ-ბა) საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ბერლინში შესდგა, განხილულ იქნა ჩრდ. პოლიუსისაკენ ახალი ექსპედიციის გაგზავნასთან დაკავშირებული საკითხები. გაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ მოხდება 1930 წ. აპრილში (განზრახული იყო კი 1929 წ.) დირიჟაბლით „L. Z. 127". ექსპედიციის ერთი ბაზა მოეწყობა ლენინგრადში, მეორე—ნომში (ალიასკა). უკანასკნელი ბაზის მოწყობა დაიწყება მომავალი წლის ზაფხულზე. კონგრესზე განსაკუთრებით დეტალურად იქნა შესწავლილი დირიჟაბლის ავარიის შემთხვევისათვის დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული საკითხები. შედგენილ იქნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა მთელ რიგი ღონისძიებები. გასაფრენად იქნება გამზადებული დირიჟაბლი (ლოს-ანჟელოს" (ყოფ. „L. Z. 126") გაფრენის დროს გავლილი იქნება 7000 კილომეტრი, ფრენის მაქსიმალურ სიმაღლეთ მიღებული 1.000 მეტრი. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს 50 კაცი: 11 მეცნიერი და 39 კაცისაგან შემდგარი რაზმი. საბჭოთა მეცნიერებს ექსპედიციაში დათმობილი აქვთ 3 ადგილი. სამეცნიერო დაკვირვებებისათვის განზრახულია რამდენიმეჯერმე გაჩერება გზაში. დაშვება დირიჟაბლიდან მოხდება პარაშუტების საშუალებით. დირიჟაბლს ექსპედიციისათვის საზ-ბას უთმობს გერმანიის მთავრობა, ექსპედიციის ბაზებს—ერთს აწყობს (თავის ხარჯზე) საბჭ. მთავრობა, მეორეს—შეერთებული შტატები. გარდა ამისა ექსპედიციისათვის საჭირო იქნება 1.000.000 ოქროს მარკა, რომლის შეკრებას საზ-ბა აპირობს პრესის დახმარებით და სპეციალური კინო-ფილმების ჩვენებით.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი

დღეს, 24 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება — „შემნახველი სალაროები და მათი მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის" — ქართულ ენაზე; მუშათა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი; საუბარი—„აბორტი, მისი შედეგები და მასთან ბრძოლის ღონისძიებები" — რუსულ ენაზე; მოხსენება — „კოოპერაცია და დახმარება ღარიბებს" — რუსულ ენაზე; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები — ქართულ და რუსულ ენებზე; დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

დღეს, 24 ოქტომბერს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გააგზავნის შემდეგ უმუშევრებს: **შავმუშათა სექციიდან:** ლიუბა ვართანოვა, ევდოკია პროკოპენკო, ნინო სირბილაძე-ცინცაძე, მარიამ პრომენკო, ნადეჟდა ტიტჩენკო, ოლღა ხაჩატუროვა, ასტღიკ იარალოვა; **მედსექციიდან:** დარო კიკალეიშვილი, ნადარეიშვილი, ვარლამ მეუნარგია, ოთარიშვილი-ფილიპპა, პავლე ბახტაძე, ფრიც გლეზერი, ამავე სექციაში მიღებულია მოთხოვნილება ჭიათურიდან, სადაც საჭიროა 5 ფარმაცევტი; **საგარანტიო სექციიდან:** აკაკი ურდია, ვასილ ურუმბეგიშვილი, ვასილ ფილიპოვი, ნინო ფოდოსიენკო, ალექსანდრე ოგანეზოვი, ოგანეზ ოგანეზოვი, ნიკოლოზ ოდილავაძე, ნინო ნეფელეძე, ერმილე ნიკურაძე, გრიგოლ ნიკოლაევი, ლასა ნინუა, იაკიმ ნიკურაძე; **რკინისგზელთა სექციიდან:** ნალბანდოვი, იოსებ სამიდბეგოვი; **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** იასონ კოდოევი, ალექსი ჯაბუა, ნიკიფორე ჩარგეიშვილი, გიორგი ჩაგუნაშვილი, მირიმანოვი, ჟულია არგუნტინსკაია-დოლგორუკოვა, ოსიპ კარაპეტიანი, არამ ჩილიპიანცი, ხერო ოგანეზოვი, ნიკოლოზ ბევალიაროვი, ალექსანდრე კორაშვილი, ვასილ ერიკოვი, კირილე აბულეძიანი, სტეფანე მიზვლაძე, ივანე გურგენიძე; **კვალიფიციურ მუშათა სექციიდან:** მიხეილ სადაგაშვილი, გიორგი ლოლუა, საქულ მერაბიშვილი, ევა პავლიაშვილი.

—:—

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, დღის 12 ს. შრომის ბირჟაში საკონტროლო განყოფილებაში ამხ. სიხარულიძესთან უნდა გამოცხადდენ შემდეგი პირები: ლავრენტი თევდორაძე, სევერიან გოგინეიშვილი, ალექსანდრე ბუხაშვილი, ასატურ გიაზაროვი, სარქის ზიროიანცი, სოსო უსეინიშვილი, ნიკოლოზ ბასილიძე, სანდრო ზუმბურიძე, იოსებ ზერეზადაშვილი, ნესტორ მაისურაძე, კონსტანტინე მაღლაკელიძე, ქიტეს ცაბილაშვილი, აბრამ კაშიბაძე.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ოფიციალური ცხრილი № 2

მეჩვიდმეტე სერიის მეორე ტირაჟისა, რომელიც შესდგა ქ. ვაგარშაპატში (სომხეთი)

სატირაჟო კომისიის 19 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე გათამაშებულ იქნა ასი ორმოცდაათ მანეთიანი (თითოეული) მოგება, რომლებიც ხვდა მეჩვიდმეტე სერიის შემდეგ ობლიგაციებს.

000.216	021.978	043.961	082.306	095.250	123.319	141.893	175.111	204.737	232.501
006.595	023.886	050.489	083.118	095.388	124.085	144.748	178.791	205.152	235.300
008.287	027.555	054.445	086.560	097.248	124.359	145.904	181.599	205.190	237.413
010.685	031.393	060.153	087.168	104.037	128.460	152.305	183.117	209.413	239.559
011.555	032.372	064.988	087.616	105.667	129.399	156.872	189.006	210.129	240.946
012.245	033.568	066.512	088.383	106.675	129.871	162.616	196.477	220.942	241.268
115.965	036.156	068.956	088.683	107.814	130.827	163.039	197.234	222.647	241.515
016.324	040.572	074.811	091.742	111.153	133.372	163.416	198.242	225.685	245.349
017.949	042.568	075.792	091.928	112.378	139.202	165.909	200.440	227.847	247.420
021.359	043.896	081.298	092.726	114.289	140.707	170.524	202.258	230.266	249.118

იურიდიული დახმარება

უმუშევარს № 5707

კითხვა:

ვარ დაზღვეული უმუშევარი დახმარებას ვღებულობს დამზღვევ სალაროდან წიგნაკი № 5707. ვარ მოხუცი ავათმყოფი, კავშირის წევრი არ ვარ, კოოპერატიულ სავაჭროებში არ მომყიდეს ზოგი ერთი ფართალი, კავშირის წევრებზედ ვყიდითო, არც აღმასკომის წყალსადენში მომცეს შეღავათი და არც ბორჯომის წყალზედ. გთხოვთ, მაცნობოთ, ამ სამ საგანზედ მეძლევა კანონით შეღავათი თუ არა ან ვის მივმართოთ?

პასუხი:

ბორჯომის წყლისა და კოოპერატიულ სავაჭროებში ფართლის გაყიდვის შესახებ კანონები არ არსებობს, ხოლო რაც შეეხება გადასახადს წყლით სარგებლობისათვის, თქვენ უნდა სარგებლობდეთ შეღავათით თბილისის წყალსადენიდან წყლით სარგებლობის წესების 111 § პუნ. „გ" თანახმად.

მუშა ა. გ—იას

კითხვა:

ვმუშაობდი დაქირავებით ერთი წლის ვადით. ვასრულებდი საამშენებლოზე სხვადასხვა დღიურ სამუშაოებს, ვმუშაობდი აგრეთვე ნარდით. ვიმუშავე სრული ორი თვე რომლის შემდეგ ვიქენი დათხოვნილი სამუშაოდან, რადგან საამშენებლოზე შემცირდა სამუშაოები. გთხოვთ განმარტებას:

1. როდესაც მუშა გადადის ნარდ სამუშაოდან დღიურ სამუშაოზე, ითვლება თუ არა ის დღიურ მუშად-დღიდან მისი დღიურ სამუშაოზე გადასვლისა?

2. მერგება თუ არა გასასვლელი დახმარება ორი კვირის საშუალო ხელფასის რაოდენობით თუ დაქირავებული ვიყავი ვადით ერთ წლამდე, ვმუშაობდი დღიურათ და ნარდად ორი თვე და დამითხოვეს საამშენებლოზე სამუშაოთა შემცირების გამო.

პასუხი:

რაკი თქვენ ერთი წლით იყავით დაქირავებული, თქვენ ითვლებოდით მუდმივ მომუშავეთ და ამის გამო თქვენ გერგებათ გასასვლელი ორი კვირის ხელფასის რაოდენობით, თუ თქვენ არ ყოფილხართ დათხოვნამდე გაფრთხილებული ორი კვირით ადრე.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი. დღეს, 24 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მიმღებ კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ავეტის კარაპეტიანი. საჩე ჯაფაროვი, ართაიაზ კაზარიანი, ამაიაკ ადამიანი, ხამშა ნაბოევი, სერგო ზარაფიანი, ამო ასოევი, ელიზბარ მკრტიჩიანი, მიხეილ კალანტაროვი, ტარასი ფილიპოვი, სერგო კავშოვი, ივანე მურუნოვი, ივანე ნოვოკრეშჩენოვი, აგრაფინა დოლიძე, სერგო ვართანოვი, ლაზარე აბაევი, ილია კვირკველია, ესტატე შაუტაშვილი, შალვა სალუქვაძე, ბარბალე სახოკია, ბარბალე ქილიფთარი, ალექსანდრე სხირტლაძე, სიმონ თაბაძარი, ლიდა ყორღანი, თამარა ნადირაძე, დავით კვიცინაძე, ლევან სალამბეკოვი, ზოსიმე კირვალიძე, მარო ოგანჯანოვი, სტეფანე რომანოვი, რუბენ ათაბეგოვი, ევგენია სემიონოვა, სერგო პატარკალიშვილი, გრიგოლ ლობჟანიძე, ალექსანდრე მამალაძე, აკაკი კობახიძე, ილო იხასარიძე, არტაშეს მელკუმიანი, ქეთო ნუცუბიძე, აკაკი ახობაძე, დავით კობახიძე, ნიკოლოზ ბასმანოვი, გიორგი მოხოვი, გერვასი იაკობაშვილი, ნიკოლოზ რუდნიკი, ვახტანგ კოკილაშვილი და ელენა ვაშაკიძე.

—:—

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია სადელეგატო კრებების ყველა ხელმძღვანელთა თათბირი:

1-ლი რაიონიდან: ირაკლი შველიძე, (მე-10 შრომის სკოლა), მარო მეივიკი; აბრამოვა (რკინის გზის მე-5 სკოლა № 32), დოლიძე (რკინის გზის სკოლა).

26 კომუნართა სახელობის რაიკომიდან: კიდაიშვ (ჯანმრთელობის განყოფილება), მოჯარიანი (მე-70 შრომის სკოლა), ელბაქიანი, იანკო - ტრინევი მალაიანი (სამთო ტრესტი), ომაროვი, მასან-საბრი.

ქალაქის რაიკომიდან: გეგენავა, ბერგმანი, კარკლინისა, ნადეჟდა ცომაია და ადელხანოვისა. სავალდებულოა აგრეთვე რაიკომების ქალთა განყოფილებების გამგეების დასწრება.

დამწუხრებული დედა ელენე, დაი ანასტასია, ძმები: ვასილი და ყორა ინჯიევი, შვილი პატარა ადიკო კოჯაევი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქობულეთში 20 ოქტომბერს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და უსაყვარლესი

ალექსანდრა (შურა) ნიკოლოზის ასული

ინჯია-კოჯაევისა

დასაფლავება 24 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. ქ. ქუთაისში. 4624

დამწუხრებულნი მეუღლე ტერეზია, და ნატა, შვილი ალექსანდრე და დისშვილი იასონ ფოჩხუა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა წლის 21 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თადა მარკოზის-ძე პირტახია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1736

გულდათუთქული დედა მანუ ღვამიჩავასი და ნათესავები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ, რომ [illegible] 9 [illegible] დამთავრებული 20 წლის

თამარა ივანეს ასული ღვამიჩავას

ხსოვნის აღსანიშნავად ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ფოთში [illegible] სასაფლაოზე. 4636

უსაზღვროდ დამწუხრებული დეიდა მარიამ და მეუღლე მისი ანტონ ა. ბურზანია შვილებით: ელენე, ალექსანდრე და თამარი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 21 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ახალგაზრდა ექიმი

გიორგი (გოგი) იპოლიტეს-ძე ვართაგავა

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე წერეთლის (ყოფ. განოვის) ქუჩა № 3, დაკრძალვა 25 ოქტომბერს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. ნ. 1737

უზომოდ დამწუხრებულნი დეიდა ელისაბედ ბარათაშვილისა შვილებით: ელენე, ნინო სვიმონი და იოსები, რძლით და სიძეებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ ახალგაზრდა ექიმ

გიორგი (გოგი) იპოლიტეს-ძე ვართაგავას

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 6 საათზე. 4639

დეიდა სოფიო და მეუღლე მისი ზაქარია [illegible] შვილებით: ლევანი, თამარი, მარო, კოტე და ირაკლი, რძლით და სიძეებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფას ახალგაზრდა ექიმ

გიორგი (გოგი) იპოლიტეს-ძე ვართაგავას

უდროოდ გარდაცვალებას. 4639

უსაზღვროდ დამწუხრებულნი დეიდა ნინო და მეუღლე მისი იაკობ ფანცხავა შვილებით ელენე და არჩილით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ ახალგაზრდა ექიმ

გიორგი (გოგი) იპოლიტეს-ძე ვართაგავას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე ა. წერეთლის ქ. № 3. 4639

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მედტეხნიკუმის მე-3-ე კურსის მსმენელები აუწყებენ მათთვის ძვირფას ამხანაგის

ლიდა ადეიშვილის

დაკარგვას. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან, ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს, ნ შუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში. 4640

ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში
(რუსთაველის პროსპექტი № 34)
დანიშნულია
გაზეთზე ხელის მომწერის შემკრებ აგენტების **კრება**

დასწრება სავალდებულოა. ის აგენტები, რომლებიც, კრებაზე არ გამოცხადდებიან, მოხსნილი იქნებიან სამუშაოდან.

2—2 მთავარი კანტორა

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებული კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს
საკონდიტრო ნაწარმოებთა კოლექტივი
რუსთაველის პრ. № 12
იღებს შეკვეთებს ყოველგვარ საკონდიტრო ნაწარმოებთ დასამზადებლად, როგორც მაგალითად: ტორტები, სხვადასხვა ნამცხვრები, შოკოლადის კონფეტის და სხ. საკონდიტრო ნაწარმოები.
ფასები კონკურენციის გარეშე.
13—10 ნ. 1649

„პარიზის კომუნის" სახელობის ტუბ-დისპანსერის
სოციალური საბჭო
(ბორჯომის ქ. 10)
აცხადებს, რომ ოთხშაბათს 1928 წ. 24 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე შესდგება
საბჭოს პლენუმის კრება
დღის წესრიგი:
1. დისპანსერის სოციალურ დახმარების საბჭოს ანგარიში.
2. საბჭოს გადარჩევა.
3. ღამის სანატორიუმის გახსნის შესახებ.
4. მიმდინარე საქმეები.

კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი კაციც არ უნდა დაესწროს მას
4631 საბჭოს პრეზიდიუმი

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ცეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 28 ოქტომბერს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1734

შაუმიანის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი
ოგანეზოვი
აცხადებს, რომ კვირას, ა. წ. 28 ოქტომბერს ქალ. შაუმიანში, შაუმიანის სახ. სასამართლოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა;** გაიყიდება 2 სართულიანი ქვის სახლი, რომელიც 12 ოთახისაგან შესდგება: 6 ოთახი ზემო სართულშია, 6 ოთახი ქვემო სართულში, სახლს აქვს შესაფერი მოწყობილობა იგი ეკუთვნის ქალ. შაუმიანის მოქალაქეს არტაშეს ეგორის ძე როსტევანოვს და იყიდება იმ ვალში, რომელიც მას მ. ვ. არისტენკოსი მართებს. ვაჭრობა დანიშნულია შაუმიანის რაიონის სასამართლოს ბრძანებით, № 1168.
საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა ბედ უნდა შეიტანონ შეფასებული თანხის 10%.
ზემოაღნიშნული სახლი შეფასებულია 1000 მანეთად. 4634

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 25—2

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 6.

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს-დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის) ქ.), , კადეტთა კორპუსის უკან.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
5—6 ქალებს.
25—1

ექიმი **ივ. გველესიანის**
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე
შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.
იღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-
კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდკიძის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ.

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი. (ფსიხოტერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ.; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ცირესის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს-მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914", ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ხოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 25—2

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვის ექიმობა.
პავლოვაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

დავკარგე: პარტიული მანდატი № 0851434 ირაკლი ჩუბინიძის სახელზე, ჩ. გ. 4625

დავკარგე: ს. ა. ლ. კ. კ. საწევრო წიგნაკი № 47365 დავით მელიტონის ძე სვანიძის სახელზე, ჩ. გ. 4626

დავკარგე: პირადობის მოწმობა ნინო დიმიტრის ასული ლოლაძე-ბაუჩიანის სახელზე, ჩ. გ. 4627

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახკომისართა საბჭოს 1926 წლის 15 მარტ ს № 12 ცირკულიარისა ადიგენის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. პავლე როსტომის-ძე სულუხიამ თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე „როსტომიშვილზე".
მმაჩის ბიუროს გამგე
4623 (ხელმოწერილია)

დავკარგე: თბ. სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტის მიერ გაცემული მატრიკული № 1443 იაკობ გოგსაძის სახელზე, ჩ. გ. 4622

დავკარგე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა, გერასიმე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 4625

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 3975 გერასიმე ლებანიძეს სახელზე. ჩ. გ. 4629

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 2047 ნიკო გოსაძეს სახელზე, ჩ. გ. 4630

დავკარგე: განათ. კავშირის წიგნაკი № 13347 ვერა ცირილაძეს სახელზე, ჩ. გ. 4633

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 1044 და მუშკოოპის წიგნაკი № 28076 სოლომონ გიორგისძე პაპალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4632

დავკარგე: კოოპერატივის წიგნაკები „ზაკტპოსი" და „მუშკოოპის" № 9791 ილია როსტომისძე ქავთარაძის სახელზე, ჩ. გ. 4628

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი № 140 ივანე შუბლაძის სახელზე, ჩ. გ. 4637

დავკარგე მოწმობა გაცემული ქუთაისის 1-ლი ცხრაწლიანი შრომის სკოლის მიერ № 1542 გიორგი სერგოსძე შელქაძის სახელზე, ჩ. გ. 4638

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904